

საქართველოს
სახალხო დამცველთან შექმნილი
საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში

2012 წლის 28 აგვისტოს
სოფელ ლაფანყურთან,
ლოკობას ხეობაში
ჩატარებული სპეციალური
ოპერაციის შესახებ



2014 წელი

საქართველოს
სახალხო დამცველთან
შექმნილი
საზოგადოებრივი საბჭოს
ანგარიში
2012 წლის 28 აგვისტოს
სოფელ ლაფანყურთან,
ლოკოტას ხეობაში
ჩატარებული სპეციალური
ოპერაციის შესახებ



სახალხო
დამცველის
ავტარატი

2014 წელი



ევროკავშირი

ეს ანგარიში ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველი და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ევროკავშირს.

შინაარსი

შესავალი	2
1. მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია სოფელ ლაფანყურში 2012 წლის 26 აგვისტოს დაპარბულთა შესახებ	5
2. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ	6
i. სოფელ ლაფანყურთან განვითარებულ მოვლენებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ..	13
3. საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოვლენებული ინფორმაცია	18
i. ინფორმაცია 2012 წლის 28—29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეც.ოპერაციის შედეგად გარდაცვლილ პირთა შესახებ	18
ii. ინფორმაცია 2012 წლის 28—29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილმდებარეობის და ამჟამად იქ არსებული მდგომარეობის შესახებ.....	23
iii. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა მიერ გამოკითხულ პირთა მონათხრობი	31
ბოლოთქმა	43
1. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდნენ.	44
2. უცნობია როდის და როგორ მოხვდნენ საქართველოში უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები და როგორ დატოვეს (ან დატოვეს თუ არა) ჯგუფის გადარჩენილმა წევრებმა საქართველოს ტერიტორია.	45
3. რატომ განსხვავდება უკანონო შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების რაოდენობის შესახებ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია (11 პირის შესახებ) ამჟამად არსებული მონაცემებისგან (7 პირი).....	47
4. რატომ ასაიდუმლოებდა საქართველოს ხელისუფლება უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრებს შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნის ფაქტს..	48
5. საქართველოს საგამოძიებო ორგანოები ადასტურებენ, რომ სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზები არ ჩატარებულა..	49
6. შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ნივთმტკიცებათა ამოღება	51
7. საქართველოს შს სამინისტროს მიერ წარმოებულ გამოძიებაში არსებული ხარვეზები ..	51
დანართი	54

**საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი
საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში
2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტას
ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ**

შესავალი

2012 წლის 28–29 აგვისტოს, სოფელ ლაფანყურთან, მდინარე ლოპოტას ხეობაში საქართველოს სამართალდამცავ უწყებათა წარმომადგენლებმა ჩატარეს სპეციალური ოპერაცია, რომელსაც, ოფიციალური ინფორმაციით, შეიარაღებული დაჯგუფების 7 წევრისა¹ და საქართველოს სამართალდამცავი უწყებების 3 თანამშრომლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2012 წლის დეკემბრიდან საკუთარი ინიციატივით დაიწყო აღნიშნული ფაქტის შესწავლა და 2013 წლის მარტში, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით წარდგენილ ანგარიშში შესწავლის შედეგებს შესაბამისი თავები დაეთმო². საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს, შექმნილიყო საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიკვლევდა 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან მომხდარ ფაქტს³. თუმცა, საქართველოს პარლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უარი განაცხადა, იმ მიზეზით, რომ გამოძიებას საქართველოს საგამოძიებო ორგანოები ატარებდნენ⁴.

საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და დაზარალებულ პირთა უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით, 2013 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, შექმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომლის მიზანი, სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საგარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლა და დოკუმენტირება იყო. საზოგადოებრივი საბჭოს წევრები არიან უჩა ნანუაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ლია

1 თავდაპირველად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრის გარდაცვალების შესახებ, რაზეც წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის საუბარი.

2 იხ. ლოპოტას ხეობაში სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ, გვ. 408–414, სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები, გვ. 417–421, საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში. <http://www.ombudsman.ge/ge/reports/saparlamento-angarishebi>

3 იხ. რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს, საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 412–413. <http://www.ombudsman.ge/ge/reports/saparlamento-angarishebi>

4 იხ. „პარლამენტმა უარი უთხრა სახალხო დამცველს ლაფანყურის საქმე საგამოძიებო კომისიას შეესწავლა“, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 17.04.2013, <http://www.ick.ge/articles/14122-i.html> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „სახალხო დამცველს უმრავლესობამ უარი უთხრა“, News.ge, 16.04.013 <http://news.ge/ge/news/story/52072-sakhalkho-damtsvels-umravlesobam-uari-utkhra> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

მუხაშავრია, კახა კახიშვილი, უმარ იდიგოვი, ზაურ გუმაშვილი, ხასო ხანგოშვილი, მორატ ქავთარაშვილი, ვახტანგ მაისაია, მამუკა არეშიძე, თამარ გაბისონია და გელა ნიკოლაიშვილი.

საზოგადოებრივი საბჭო არ წარმოადგენს ალტერნატიულ საგამოძიებო უწყებას, პირიქით, მისი მიზანია ხელი შეუწყოს გამოძიების ყოველმხრივ, ეფექტურად და გამჭვირვალედ წარმართვას⁵.

საზოგადოებრივი საბჭოს მეთოდოლოგიას წარმოადგენდა ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაციის მატარებელ პირთა ვინაობის დადგენა და მათი გამოკითხვა, დაზარალებულთა ოჯახის წევრების გამოკითხვა. საბჭომ ერთწლიანი მუშაობის შედეგად გამოკითხა სულ 14 პირი, მათ შორის, სპეციალური ოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, სოფელ ლაფანყურის მცხოვრებლები, მათ შორის მძევლად მყოფი პირი, აგრეთვე, ის პირები, ვისაც, მათი განცხადებით გააჩნდათ ინფორმაცია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის 16 მაისს იმყოფებოდა სოფელ ლაფანყურში, სადაც გამოძიების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, მოხდა დაპირისპირება სამართალდამცავებსა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს შორის.

საზოგადოებრივი საბჭოს წევრების არაერთი მცდელობის მიუხედავად, საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდებაზე უარი თქვეს, გამოძიების ოფიციალური ვერსიით, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების მიერ მძევლად აყვანილმა პირებმა (ერთის გარდა), შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთი გარდაცვლილი თანამშრომლის — სოლომონ წიკლაურის ოჯახის წევრებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ — გიორგი ლორთქიფანიძემ.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობის შედეგად მოძიებული ფაქტობრივი მონაცემების თავმოყრას, სოფელ ლაფანყურთან, 28–29 აგვისტოს განვითარებული მოვლენების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავრცელებული ოფიციალური ვერსიის აღწერას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებულ ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო, ანგარიშის ბოლოთქმა შეეხება, მოძიებული ინფორმაციების განზოგადების შედეგად, იმ საკითხების განხილვას, რაზეც დღემდე რჩება კითხვის ნიშნები და რაზეც შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ნათელი პასუხები უნდა გასცენ. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველს არ მიეწოდა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საქართველოს შს სამინისტროდან პასუხები მთელ რიგ შეკითხვებზე, სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის საფუძველით. ამ გარემოებებზე ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, საზოგადოებრივი საბჭო შეძლებდა მეტი სიზუსტით გამოეკვლია მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები და გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე ანგარიშში არ არის განხილული სოფელ ლაფანყურში განვითარებული მოვლენები გეოპოლიტიკურ და

5 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება საზოგადოებრივი საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით, 22.10.2013, <http://www.ombudsman.ge/ge/news/1927-sazogadoebrivi-sabchhos-sheqmnastan-dakavshirebit.page>

გეოსტრატეგიულ (სამხედრო-პოლიტიკურ) კონტექსტში, რაც საბჭოს აზრით, საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების კომპეტენციაა და მათი მხრიდან უნდა იყოს შესწავლის და ანალიზის საგანი.

წინამდებარე ანგარიში ასახავს და ეყრდნობა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოპოვებულ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რამდენიმე სხვადასხვა წყაროს მიერ იქნა მოწოდებული ან/და კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ასევე ღია წყაროებით. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიაწოდა 2012 წლის 28–29 აგვისტოს, სოფელ ლაფანყურთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალების მცირე ნაწილი, რაც არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით და საქართველოს სახალხო დამცველი არ არის უფლებამოსილი გააცნოს იგი საზოგადოებრივი საბჭოს წევრებსა თუ ფართო საზოგადოებას. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ არის შესული წინამდებარე ანგარიშში.

2012 წლის 28–29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ ჩეჩნეთის არაღიარებული რესპუბლიკა იჩქერიის მინისტრთა კაბინეტის მეთაურმა ახმედ ზაკაევმა⁶ სახელმწიფო კომისია შექმნა⁷. კომისიის მიერ მომზადებული ანგარიში ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნდა 2013 წლის 1 მაისს⁸. აღნიშნული კომისიის დასკვნაში მოცემული ფაქტობრივი მასალა წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული არ ყოფილა.

6 ახმედ ზაკაევი არის ჩეჩენური წინააღმდეგობის ლიდერი. ის გენერალ ჯოხარ დუდაევის თანამებრძოლია. იყო საგარეო საქმეთა მინისტრი და ჩეჩნეთის არაღიარებული რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის მეთაურია დევნილობაში. რუსეთის ფედერაციაში 2002 წელს ა.ზაკაევს წაეყენა ბრალი ტერორიზმში, თუმცა, მას ამ დროს უკვე დატოვებული ჰქონდა რუსეთის ფედერაცია. 2003 წელს დიდი ბრიტანეთის სასამართლოების მიერ რუსეთს უარი ეთქვა ა. ზაკაევის ექსტრადიაციაზე, იმ საფუძველით, რომ ზაკაევის წინააღმდეგ ბრალდებები სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული იყო და რუსეთში ექსტრადიაციის შემთხვევაში იგი შეიძლება წამების მსხვერპლი გამხდარიყო. დიდი ბრიტანეთის სასამართლოების მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობა ა. ზაკაევის ყოფილი პირადი მცველის, დუკახაა დოშუევის (დუშუევის) (რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციაში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ერთ-ერთი გარდაცვლილი წევრია) მიერ მიცემულმა ჩვენებამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსეთის სამართალდამცავებს, ა. ზაკაევის წინააღმდეგ ჩვენება წამების შედეგად მისცა. ა. ზაკაევი ამჟამად ცხოვრობს ლონდონში, სადაც პოლიტიკური თავშესაფრით სარგებლობს.

7 ახმედ ზაკაევმა რადიო „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისმა მთავრობამ შესთავაზა საქართველოს იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს ივანე მერაბიშვილს თანამშრომლობა, რათა ერთობლივად დაედგინათ, თუ რა მოხდა 2012 წლის 28–29 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში, თუმცა, პასუხი არ მიუღიათ. ამიტომ გადაწყვიტეს სახელმწიფო კომისიის შექმნა და ამ საკითხის დამოუკიდებლად შესწავლა. იხ. დანართი 12, „ახმედ ზაკაევი: საქართველოს ხელისუფლება სიმაღლეს მალავს“, ინტერვიუ ახმედ ზაკაევთან, „ამერიკის ხმა“, 24.09.2012 [ბოლოს ნანახია: 01.11.2014].

8 Доклад Государственной Комиссии Чеченской Республики Ичкерия о результатах расследования инцидента в ущелье Лопота Республики Грузия 29 августа 2012, 03.05.2013, <http://thechechenpress.com/news/3903-doklad-goskomissii-chri-o-rezultatakh-rassledovaniya-intsidenta-v-ushchele-lopota.html> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

1. მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია სოფელ ლაფანყურში 2012 წლის 26 აგვისტოს დაკარგულთა შესახებ

2012 წლის 26 აგვისტოს თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში მცხოვრები 5 ახალგაზრდა გაუჩინარდა. მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, მათი ძებნა ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ 26 აგვისტოს საღამოს დაიწყო. 28 აგვისტოს საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუებში ადგილობრივი მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ისინი ტყეში წააწყდნენ დაკარგულებს, თუმცა, რადგან ისინი შეიარაღებული პირების გარემოცვაში იყვნენ, მათი გათავისუფლება თვითონ ვერ მოახერხეს. ამიტომ, მათ ეს ინფორმაცია სოფელ ლაფანყურში მყოფ შესაზღვრეებს მიაწოდეს. მათივე განცხადებით, სწორედ ამის შემდეგ გათავისუფლდნენ დაკარგულები⁹. მოგვიანებით, საინფორმაციო საშუალებებთან გაკეთებულ განცხადებებში, დაკარგულთა ოჯახის წევრები და სოფელ ლაფანყურის მკვიდრნი გამორიცხავენ, რომ 5 ახალგაზრდას შესაძლოა ტყეში გზა არეოდა; მათი თქმით, ისინი გაიტაცეს ან გატაცების ინსცენირება მოხდა¹⁰.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებებით, რაც სხვადასხვა მედია საშუალებებით გავრცელდა, მათ სოფელ ლაფანყურის ტერიტორიაზე ბოლო ორი თვის განმავლობაში არაერთხელ ნახეს უცხო, სავარაუდოდ ჩეჩნური გარეგნობის არაერთი პირი. მათივე თქმით, ისინი ჯიბით გადაადგილდებოდნენ სოფლიდან სახელმწიფო საზღვრის მიმართულებით¹¹. ბოლო წლების განმავლობაში ადგილობრივები ვერ იხსენებენ პერიოდს, როცა ჩრდილო კავკასიის მხრიდან გადმოიკვეთა საქართველოს საზღვარი; ასევე, აცხადებენ, რომ თუკი წლების წინ ვინმე გადმოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად სამუშაოდ, რაიმე ძალადობრივ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია¹².

2012 წლის 28 აგვისტოდან, მას შემდეგ რაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ სოფელ ლაფანყურის მკვიდრი შეიარაღებული პირების მიერ იყვნენ დატყვევებულნი, საქართველოს ხელისუფლების თანამდებობის პირები, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტი აცხადებდა, რომ შეიარაღებული დაკავშირება საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდა და რომ საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებდა მსგავს ინციდენტებს საქართველოს

9 იხ. „გატაცება ლაფანყურიდან“, ტელეკომპანია მესტრო, 29.08.2012 <http://www.youtube.com/watch?v=Ue-OIO6H-28> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „დაკარგულები თელავში“, TV9, <http://www.youtube.com/watch?v=zNPn5BssMsY> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

10 იხ. „მძევლის მამის კომენტარი“, ტელეკომპანია TV9, 29.08.2012, http://www.youtube.com/watch?v=7x9u_xJgrdQ [ბოლოს ნანახია 09.11.2014]; იხ. ასევე, „ბოევიკებმა მძევლები დაასაჩუქრეს“, „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“, 02.09.2012, <http://www.youtube.com/watch?v=AfoQyhyqwKc> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

11 „ლაფანყურის სპეცოპერაციამდე“, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 31.08.2012, <http://www.youtube.com/watch?v=abTaK84WsXI> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

12 იხ. „რატომ აეჭვებთ ლაფანყურელებს სპეცოპერაციის შესახებ ოფიციალური ვერსია“, „ნეტგაზეთი“, 30.08.2012, <http://www.netgazeti.ge/GE/105/law/12463/> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

ტერიტორიაზე¹³.

სოფელ ლაფანყურის, ისევე, როგორც პანკისის ხეობის მოსახლეობა სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალურ ვერსიას, რომ შეიარაღებული დაჯგუფება საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდა, ეჭვქვეშ ჯერ კიდევ 2012 წლის 28–30 აგვისტოს აყენებდა¹⁴. ჟურნალისტი ნანა ლეჟავა, რომელიც 2012 წლის 30 აგვისტოდან პანკისის ხეობაში იმყოფებოდა, „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში ამბობს: „რაც შეეხება ვერსიას, რომ ეს ხალხი იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული, ამას კატეგორიულად უარყოფდნენ და ამბობდნენ, რომ ის ჩეჩნებიც კი, ვინც ლოპოტას ხეობაში დაიღუპნენ, ბოლო პერიოდში ცხოვრობდნენ პანკისის ხეობაში, ეს ხალხი იყო პანკისიდან გასული და არა სხვა ქვეყნიდან შემოსული.“¹⁵ მიუხედავად ახალი გარემოებებისა, რაც ჯერ კიდევ 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში გახდა ცნობილი, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება კომენტარს აღარ აკეთებდა და კვლავ ამტკიცებდა, რომ პანკისელ ვაჭაბიტთა ჯგუფი დაღესტნიდან საქართველოსკენ მოძრაობდა და არა პირიქით¹⁶.

2. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ

სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირველი ოფიციალური ინფორმაცია 2012 წლის 28 აგვისტოს გაავრცელა: „საქართველო–რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია“¹⁷. ზემოაღნიშნული მწირი ინფორმაცია სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური პირების, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოცემულ დღეს საზოგადოებისთვის მიწოდებული ერთადერთი ცნობა იყო.

2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ცნობილი ხდება ჯერ სპეციალური ოპერაციის შედეგად გარდაცვლილი სამართალდამცავი პირების რაოდენობა და ვინაობა: „შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ გამოთქვამს მწუხარებას

13 იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, ტელეკომპანია მაესტრო, 29.08.2012, <http://www.youtube.com/watch?v=OpF6VNUKZos> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „ლოპოტის სპეცოპერაციისა და ივანიშვილის ულტიმატუმის კვირა“, „რადიო თავისუფლება“ 02.09.2012, <http://www.radiotavisupleba.ge/content/week-in-georgia/24695443.html> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

14 იხ. „რას ფიქრობენ სპეცოპერაციის ზონაში მაცხოვრებლები“, კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 29.08.2012, <http://www.youtube.com/watch?v=6gzTmE-w7f8> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

15 იხ. „რა მოხდა სინამდვილეში ლოპოტას ხეობაში“, „ამერიკის ხმა“, 04.09.2012, http://www.amerikiskhma.com/content/georgia_lopota_killed/1501201.html [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

16 იხ. ზემოთ.

17 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 28.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/3993> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

და უსამძიმრებს სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. გარდაცვლილები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები: წიკლაური სოლომონი და ჩოხელი არჩილი; თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ექიმი ხვედელიძე ვლადიმერი¹⁸; მოგვიანებით — შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების რაოდენობა: „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეიარაღებული დაჯგუფების მიმართ დევნის ოპერაციის განხორციელების დროს დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი და დაიჭრა 5. რაც შეეხება დივერსანტთა ჯგუფს, ლიკვიდირებულია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი. მიმდინარეობს 6 დივერსანტის დევნის ოპერაცია. შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს გარდაცვლილების ოჯახებს“¹⁹. იქვე განთავსებულია ვიდეო მასალა, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს: „როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველო—რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთზე, აღმოჩენილი იქნა დივერსანტთა შეიარაღებული დაჯგუფება. მათ მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებული იქნა დევნის ოპერაცია. დივერსანტთა მხრიდან აყვანილი იქნა მძევალთა რამდენიმე ჯგუფი. ამ დროისთვის ყველა მძევალი გათავისუფლებულია უვნებლად. სამწუხაროდ, სპეცოპერაციის მიმდინარეობის დროს დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმის 2 თანამშრომელი, თავდაცვის სამინისტროს ერთი თანამშრომელი — სპეცრაზმის ექიმი. ხოლო, დაჭრილია 5 თანამშრომელი. დივერსანტთა მხრიდან ლიკვიდირებული იქნა შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი, ამჟამად, 6 დივერსანტი იმყოფება ალყაში, სპეცოპერაცია გრძელდება მათი დაკავების მიზნით“.

იმავე დღეს, 2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გათავისუფლებული მძევლების მონათხრობის ამსახველ ვიდეო მასალას აქვეყნებს შემდეგი სათაურით: „ტყვეობიდან გათავისუფლებულები აცხადებენ, რომ ისინი შეიარაღებულმა პირებმა აიყვანეს მძევლად. შეიარაღებული დივერსანტები მათ წინააღმდეგობის გაწევის ან გაქცევის შემთხვევაში მოკვლით ემუქრებოდნენ“²⁰. აღნიშნულ ვიდეო მასალაში 2 პირი აცხადებს, რომ მეგობრები ბუნებაში იყვნენ საქეიფოდ. უკან დაბრუნებისას, მდინარე ლოპოტას ნაპირზე შეხვდა ავტომატებით შეიარაღებული, წვერიანი რამდენიმე ადამიანი და განუცხადეს, რომ იყვნენ მძევლები და უნდა წასულიყვნენ მათთან ერთად. მათთან ყოფნისას მკაცრად გააფრთხილეს, რომ თუ გაქცევას შეეცდებოდნენ, მოკლავდნენ. მეორე პირი აცხადებს, რომ იყო 15 ადამიანზე მეტი. ჰქონდათ საკმაოდ ბევრი შეიარაღება: ავტომატები, სხვა იარაღები და ე.წ. „მუხა“.

იმავე დღეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული კიდევ ერთი განცხადებით ირკვევა ლაფანყურში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმის შექმნისა და მისი ხელმძღვანელი თანამდებობის

18 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 29.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/4000> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

19 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 29.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/3997> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

20 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 29.08.2012, <http://police.ge/ge/gatavisuflebuli-mdzevle-bi/3996> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

პირების ვინაობა: „ხეობაში გრძელდება სპეცოპერაცია შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით. პრემიერ-მინისტრის [ივანე მერაბიშვილის] ხელმძღვანელობით შექმნილია კრიზისების მართვის შტაბი, რომელშიც შედის შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროები. შემუშავებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.“²¹

2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებისა და ვიდეო მასალის მიხედვით, „საქართველო-რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე, აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს ბლოკირებული აქვთ ხეობა. საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველა ზომები მიღებულია. დამატებითი დეტალების შესახებ საზოგადოება მოგვიანებით იქნება ინფორმირებული.“²² მოცემულ განცხადებას ერთვის ვიდეო მასალა. სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეო მასალაში (ხანგრძლივობა 15 წმ) ასახულია სამუშაო კაბინეტში, სათათბირო მაგიდასთან მჯდომი 7 პირი: პრემიერ მინისტრი (ივანე მერაბიშვილი), იუსტიციის მინისტრი (ზურაბ ადეიშვილი), თავდაცვის მინისტრი (დიმიტრი შაშკინი) და შინაგან საქმეთა მინისტრი (ბაჩო ახალაია), შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (გია ლორთქიფანიძე), შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი (შოთა ხიზანიშვილი) და კიდევ ერთი პირი სამხედრო ფორმით.

2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს პირველ ვიდეო მასალას სოფელ ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ.²³ ვიდეო მასალაში დაფიქსირებულია სავარაუდო შემთხვევის ადგილი, სამხედროები, ჯგუფის გარდაცვლილი პირები, მიწაზე დალაგებული საბრძოლო მასალა და ცეცხლსასროლი იარაღები; ასევე, ასახულია ის ეპიზოდი, როცა სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს მოაქვთ საძილე ტომრებში მოთავსებული გარდაცვლილთა ცხედრები.

ამავე ვიდეო მასალაში, სასაზღვრო პოლიციის მაიორი რამაზ ფარადაშვილი აცხადებს, რომ იგი თანამშრომლებთან ერთად იყო ასული ლოპოტას ხეობაში 5 დაკარგული ახალგაზრდის მოსაძებნად, როდესაც გზაზე შეიარაღებული დაჯგუფების მიერ მოწყობილ ჩასაფრებაში მოყვა: დაახლოებით 10—მა პირმა შემოარტყა ალყა სასაზღვრო პოლიციის ავტომანქანას, მესაზღვრეები ძალის გამოყენებით გაიყვანეს მანქანიდან და უთხრეს, რომ მძევლებად იყვნენ აყვანილები. ამის შემდეგ, გამოჩნდნენ ჯგუფის სხვა წევრებიც (ასევე შეიარაღებულები) და 5 დაკარგული მოქალაქე. რამაზ ფარადაშვილის თქმით, მან ჯგუფის წევრებს წარუდგინა თავი, რომ იყო სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელი და მოცემული სექტორის უფროსი, ის იქნებოდა უფრო ღირებული მათთვის და გაეთავისუფლებინათ მძევლობიდან 5 მოქალაქე

21 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 29.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/3995> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

22 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 29.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/3994> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

23 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, სპეცოპერაცია, ვიდეო მასალა, 30.08.2012, <http://police.ge/ge/spetsoperatsia-93-videomasala/4002> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

და მესაზღვრეები. გარკვეული დროის შემდეგ დაარწმუნა ისინი, რის შედეგადაც 5 მოქალაქე და მისი თანამშრომლები გაათავისუფლეს მძევლობიდან. ჯგუფის წევრები შეიარაღებულები იყვნენ, ჰქონდათ ყუმბარმტყორცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. მძევლად აყვანის შემდეგ რამაზ ფარადაშვილმა არ იცოდა ჯგუფის წევრების კონკრეტული მიზნები. რამაზ ფარადაშვილი მათთან ერთად წავიდა ხეობაში ქვევით, სადაც მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და სამინისტროს წარმომადგენელსა და ჯგუფის წევრებს შორის საუბრის შემდეგ უთხრეს, რომ მათთვის უკვე აღარ იყო საჭირო და გაუშვეს.

იმავე მასალაში პოლიციის ოფიცერი ნიკა კობახიძე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ლოპოტას ხეობაში იმყოფებოდა შეიარაღებული დაჯგუფება, რომელსაც მძევლად ჰყავდა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი, მიიღეს გადაწყვეტილება, მათთან მოსალაპარაკებლად მისულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. აღნიშნული თანამშრომელი მასთან მივიდა და განუცხადა საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება ხეობაში არანაირი შეიარაღებული ჯგუფის გადაადგილებას არ დაუშვებდა. ოფიცერმა შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს განუცხადა, გაეთავისუფლებინათ დაკავებული მესაზღვრე, ვინაიდან იგი მათთან მოლაპარაკების საწარმოებლად იყო მისული და მხოლოდ მესაზღვრის გათავისუფლების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი მოლაპარაკების დაწყება. ამაზე შეიარაღებული დაჯგუფების წევრები დათანხმდნენ, გაათავისუფლეს მესაზღვრე და დაიწყო მოლაპარაკება. ოფიცერმა მათ განუცხადა, რომ სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი გზა იარაღის დაყრა და დანებება იყო, რაზეც მათ კატეგორიული უარი განაცხადეს. მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს უთხრეს, რომ იგი მათი მძევალი ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით ოფიცერმა მათ განუცხადა, რომ აუცილებელი იყო აღნიშნული სიტუაციის შესახებ ხელმძღვანელობისთვის ტელეფონით მოეხსენებინა და მოითხოვა იმ ადგილას გასვლა, სადაც იყო მობილური კავშირის საშუალება, რაზეც მათგან თანხმობა მიიღო, მაგრამ გააყოლეს 2 შეიარაღებული პირი. ოფიცერი გაემართა წინასწარ შერჩეული ადგილისაკენ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი იყო ჩასაფრებული, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი შეიარაღებული პირის ლიკვიდაცია და აღნიშნული თანამშრომლის გამოყვანა.²⁴

2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან ცნობილი ხდება ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობა: „ლოპოტის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია. შეიარაღებულ დივერსანტთა ჯგუფის 11 წევრის გვამი

24 აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელზეც სავარაუდოდ, ვიდეო მასალაშია საუბარი, ალექსანდრე ამირიძე, საქართველოს სახალხო დამცველის საზოგადოებრივი საბჭოსთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში (რაზეც დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი) განსხვავებულად აღწერს ჯგუფის წევრებთან დაშორების პროცესს, კერძოდ, ამბობს, რომ გამოეყვანა ჯგუფის წევრებს, როდესაც ისინი ე.წ. მომლაპარაკებლებთან საუბრით იყვნენ გართულები და მისი იქ ყოფნისას არცერთი პირის ლიკვიდაცია არ განხორციელებულა – სპეცოპერაცია მისი თვლაში წასვლის შემდეგ დაიწყო, იხ. დანართი 2, ა. ამირიძის ახსნა-განმარტება.

ნაპოვნია²⁵. მათი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდაცვლილთა დაკრძალვა მოხდება მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე დაჭრილი წევრი შეიძლება იმალებოდეს ხეობაში. დივერსანტთა ჯგუფი სავარაუდოდ 20 (ოცი) შეიარაღებული პირისგან შედგება. პოლიცია აგრძელებს ძებნის ღონისძიებებს. ხეობაში მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია. მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრება.“²⁶

შეიარაღებული ჯგუფის წევრთა იგივე რაოდენობა (საერთო და გარდაცვლილთა რაოდენობა) დასახელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2012 წლის 30 აგვისტოს განცხადებაშიც: „ლოპოტის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია. შეიარაღებულ დივერსანტთა ჯგუფის 11 წევრის გვამი ნაპოვნია. მათი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდაცვლილთა დაკრძალვა მოხდება მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე დაჭრილი წევრი შეიძლება იმალებოდეს ხეობაში. დივერსანტთა ჯგუფი სავარაუდოდ 20 (ოცი) შეიარაღებული პირისგან შედგება. პოლიცია აგრძელებს ძებნის ღონისძიებებს. ხეობაში მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია. მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ.“²⁷

2012 წლის 3 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ცნობილი გახდა ჯგუფის გარდაცვლილ წევრთა ვინაობა და მოქალაქეობა:²⁸ „სამოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს მოგაწოდოთ ახალი ინფორმაცია ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულ პირთა ვინაობის შესახებ. ცხედრების ექსპერტიზის, დათვალიერებისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შესაძლებელი გახდა 11 ლიკვიდირებული პირიდან 7 ცხედრის ვინაობის დაბუსტება“²⁹.

იდენტიფიცირებული 7 ცხედრიდან 2 იყო საქართველოს მოქალაქე.

1. ასლან მარგოშვილი, დაბადების თარიღი: 28/06/1990;

2. ბაჰაუდინ ქავთარაშვილი, დაბადების თარიღი 07/02/1986;

25 უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სპეცოპერაციის შემდგომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებებით, ნაპოვნი იქნა შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრის ცხედარი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 6 აგვისტოს #1512646 ნერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2012 წლის 28 აგვისტოს თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა უკანონო შეიარაღებული ჯგუფის 7 წევრი.

26 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 30.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/4001> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

27 იხ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება, 30.08.2012, <http://www.mod.gov.ge/index.php?newsid=1509> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

28 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 03.09.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/4007> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

29 იხ. ზემოთ სქოლიო 25.

გარდაცვლილი 5 პირი იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ჩრდილოეთ კავკასიიდან, აქედან ერთ-ერთი

3. ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი, დაბადებულია გროზნოში, 1986 წლის 10 თებერვალს და მას ნათესავები ჰყავს პანკისის ხეობაში;

დანარჩენი 4 იდენტიფიცირებული პირი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან:

4. დუკვახა დოშუევი, დაბადების თარიღი: 19/01/1968 დაბადების ადგილი: ჩენჩეთი, ქ. ვეგენო;

5. სალამ ზაურბეკოვი, დაბადების თარიღი: 14/12/1991 დაბადების ადგილი: ჩენჩეთი, ქ. გროზნო;

6. ჯაბრაილ ხაშიევი, დაბადების თარიღი: 24/01/1989 დაბადების ადგილი: ინგუშეთი;

7. მუსა ადუევი, დაბადების თარიღი: 28/03/1981 დაბადების ადგილი: ქ. გროზნო, ეროვნებით ინგუში.

იქვე განთავსებული ვიდეო მასალა ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ზემოაღნიშნული განცხადების ტექსტის ვერბალურ გადმოცემას და გარდაცვლილთა პასპორტების ამსახველ ფოტოებს.

2012 წლის 2 სექტემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: „სპეციალური ოპერაციების ცენტრის, პოლიციის კაპიტანი სოლომონ წიკლაური დღეს დაკრძალეს. კაპიტანი წიკლაური ლოპოტას ხეობაში დივერსანტთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმდინარე სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. სოლომონ წიკლაურს გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა, რომელიც მისი ოჯახის წევრებს დღეს გადაეცათ. პოლიციის კაპიტანი მის მშობლიურ სოფელში, რუსიანში დაკრძალეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ გამოთქვამს მწუხარებას სოლომონ წიკლაურის, არჩილ ჩოხელისა და ვლადიმერ ხვედელიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმოებს მათ ოჯახებს. 30 იქვეა ვიდეო მასალა, რომელშიც ასახულია დაკრძალვის კადრები და საქართველოს პრეზიდენტის და შინაგან საქმეთა მინისტრის მისვლა სამოქალაქო პანაშვიდზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 4 სექტემბრის განცხადება: „სპეციალური ოპერაციების ცენტრის, პოლიციის მაიორი არჩილ ჩოხელი დღეს დაკრძალეს. მაიორი ჩოხელი ლოპოტას ხეობაში დივერსანტთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმდინარე სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. არჩილ ჩოხელს გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა, რომელიც მისი ოჯახის წევრებს დღეს გადაეცათ. პოლიციის მაიორი მის მშობლიურ სოფელში, გაღავანში დაკრძალეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ გამოთქვამს მწუხარებას არჩილ ჩოხელის, სოლომონ

30 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 02.09.2012 <http://police.ge/ge/gantskhadeba/4006> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

წიკლაურისა და ვლადიმერ ხვედელიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მათ ოჯახებს.³¹ იქვეა ვიდო მასალა, სადაც ასახულია საქართველოს პრეზიდენტის და შინაგან საქმეთა მინისტრის მისვლა სამოქალაქო პანაშვიდზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 4 სექტემბრის განცხადება: „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამტრედიაში, ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციისას დაღუპული სპეციალური ოპერაციების ძალების ექიმის კაპრალ ვლადიმერ მურადის ძე ხვედელიძის დაკრძალვის ცერემონიაზე დაესწრნენ. საქართველოს პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს პირადად მიუსამძიმრეს და თანადგომა გამოუცხადეს. კაპრალ ვლადიმერ ხვედელიძეს გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა. ჯილდო გარდაცვლილის ოჯახს საქართველოს პრეზიდენტმა გადასცა. თავდაცვის სამინისტრო კიდევ ერთხელ გამოთქვამს მწუხარებას ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციისას დაღუპული ვლადიმერ ხვედელიძის, არჩილ ჩოხელისა და სოლომონ წიკლაურის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მათ ოჯახებს.“³²

2012 წლის 8 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით: „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ლოპოტას ხეობაში დაკავებული იქნა შეიარაღებული დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი³³, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ჩრდილოეთ კავკასიიდან ახმედ ჩატაევი³⁴. დაკავებული იყო დაჭრილი, მას გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ლოპოტას ხეობაში ძებნის ღონისძიებას.“³⁵

31 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 04.09.2012 <http://police.ge/ge/gantskhadeba/4009> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

32 იხ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება, 04.09.2012 <http://www.mod.gov.ge/index.php?newsid=1514> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

33 ამ განცხადების სანაწილმდეოდ, საქართველოს სახალხო დამცველის საზოგადოებრივი საბჭოს მიერ გამოკითხული – ალექსანდრე ამირიძის ახსნა–განმარტების მიხედვით, ახმედ ჩატაევი იყო ერთ–ერთი ე.წ. მომლაპარაკებელთაგანი, რომელიც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებასთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა, თუმცა, სპეცოპერაცია ისე დაიწყო, რომ იგი უკან აღარ დაბრუნებულა. იხ. დანართი 2, ალექსანდრე ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა–განმარტება. იხ. ასევე, დანართი 11, ზელიმხან ხანგოშვილის ინტერვიუები მედიასთან.

34 იხ. ასევე ქვემოთ, სქოლიო 81. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დავიდ მაიერს (იგივე ახმედ ჩატაევს) წარედგინა ბრალი საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, საქართველოს სს კოდექსის 236–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე); თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა, დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო დავიდ მაიერის მიმართ ბრალზე უარის თქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, სისხლის სამართლის საქმეზე #1/3955–12(089071012001). გათავისუფლების შემდგომ, ახმედ ჩატაევმა დატოვა საქართველო, იგი გაემგზავრა ავსტრიაში ოჯახთან ერთად. იხ. ასევე, „უკანონო შემლუღვა – ახმედ ჩატაევის მეუღლეს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ აძლევენ,“ „კახეთის საინფორმაციო ცენტრი,“ 02.07.2013, <http://www.ick.ge/articles/14847-2013-07-02-08-34-43.html> [ბოლოს ნანახია 16.11.2014].

35 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 08.09.2012 <http://police.ge/ge/gantskhadeba/4014> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

2012 წლის 10 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების მიხედვით, „შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა ლაფანყურის ინციდენტის გამოძიება იყო. ადგილობრივებმა ირაკლი ღარიბაშვილს მომხდარის შესახებ საკუთარი ვერსიები გააცნეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა მოსახლეობას პირობა მისცა, რომ აღნიშნული საქმის გამოძიება ობიექტურად წარიმართება და მას პირადად გააკონტროლებს.“³⁶

2012 წლის 31 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: „ირაკლი ღარიბაშვილმა ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცრაზმის თანამშრომლების, სოლომონ წიკლაურის და არჩილ ჩოხელის ოჯახები მოინახულა. მინისტრმა განაცხადა, რომ საქმე პირად კონტროლზე აქვს აყვანილი და ოჯახის წევრებს პირობა მისცა, რომ გამოძიება მაქსიმალურად ობიექტურად წარიმართება. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ამ საქმეში მონაწილე ყველა დამნაშავე პირი კანონის შესაბამისად დაისჯება. მინისტრმა ასევე სპეცოპერაციის დროს დაჭრილი სპეცრაზმელის ოჯახი მოინახულა“³⁷ (იქვეა ვიდეო მასალა).

მიუხედავად ზემოაღნიშნული განცხადებებისა, გამოძიება დღემდე მიმდინარეობს და არ არის შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული.

i სოფელ ლაფანყურთან განვითარებულ მოვლენებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2012 წლის 2 ნოემბრის №13/45748 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაიწყო და მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირების მიერ ლერი ხუცურაულის, ლევან გარაშვილის და სხვათა მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, საქართველოს

36 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 10.12.2012, <http://police.ge/ge/shs-ministri-sofel-duis-mosakhleobas-shekhvda/4187> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

37 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 31.12.2012 <http://police.ge/ge/shs-ministrma-la-fankuris-spetsoperatsiis-dros-daghupuli-da-dachrili-spetsrazmelebis-odjakhebi-moinakhula/4280> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით³⁸.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია (2012 წლის 27 ნოემბრის №1096/04-6 და 2012 წლის 25 დეკემბრის №1242/-4-6 წერილები) მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით, ჩატარდა თუ არა სამსახურებრივი შემოწმება სპეცოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ შესაძლო ძალის გადამეტებისა და ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს კანონმდებლობის შესაძლო დარღვევით გამოყენების შესწავლის მიზნით და რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემოწმების საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 14 დეკემბრის №1783530 წერილით აპარატს ეცნობა, რომ პოლიციელის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება და წარმოება პროკურატურის პრეროგატივაა. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გამოკვლევა სცილდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას. ხოლო, 2014 წლის 3 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №1267439 წერილით აპარატს ეცნობა, რომ 2012 წლის 28—29 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში არ ჩატარებულა სამსახურებრივი შემოწმება სამინისტროს მოსამსახურეთა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე.

38 მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება

1. მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე. (28.04.2006. N2937)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;
- ბ) არაერთგზის;
- გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- დ) დაზარალებულის სამღვარგარეთ გაყვანით;
- ე) შვიდ დღეზე მეტი ხნით;
- ვ) ანგარებით;
- ზ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;
- თ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ;
- ი) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე. (28.04.2006. N2937)

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

- ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან თვრამეტ წლამდე (28.04.2006. N2937).

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 23 იანვრის №13/8932 წერილით აპარატს ეცნობა, რომ 2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირების მიერ ლერი ხუცურაულის, ლევან გარაშვილის და სხვათა მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მოცემულ ეტაპზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილი. ზემოაღნიშნულ საქმეში მიმდინარეობდა ასევე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტის შესწავლა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 12 დეკემბრის №2534739 წერილით აპარატს ეცნობა, რომ 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა დეპარტამენტის 2 ბატალიონი (თავდაცვის სამინისტროს რეინჯერთა და სწრაფი რეაგირების ყოფილი ბატალიონები), ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს და სპეციალური ოპერაციების ცენტრის თანამშრომლები. კონკრეტულად შეტაკებაში მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის 17 თანამშრომელი, ხოლო რეგიონში მთლიანად მობილიზებული იყო ზემოაღნიშნული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობების ნაწილი. სპეცოპერაცია უკანონო შეიარაღებულ პირთა ჯგუფის გაუვნებელყოფის მიზნით განხორციელდა 28–29 აგვისტოს ღამით, ხოლო მომდევნო დღეებში ლოპოტას ხეობაში მიმდინარეობდა პატრულირება, რომლის მიზანი იყო ცოცხლად გადარჩენილ პირთა მოძებნა. უშუალოდ სპეცოპერაციაში მონაწილე 17–კაციანი ჯგუფი შეიარაღებული იყო და ასევე ახორციელებდა პატრულირებას სპეცდანიშნულების რაზმისთვის განკუთვნილი სტანდარტული შეიარაღებით. სპეცოპერაციის დროს გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა არ შედგენილა, ხოლო სპეცოპერაციის განხორციელებას ხელმძღვანელობდა სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი შტაბი (შტაბის დისლოკაციის ადგილი—თელავის სამხედრო აეროდრომის ტერიტორია), რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები.³⁹

39 2012 წლის 29 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით (იხ. <http://police.ge/ge/gantskhade-ba/3995>): „ხეობაში გრძელდება სპეცოპერაცია შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილია კრიზისების მართვის შტაბი, რომელშიც შედის შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროები. შემუშავებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო“. ამდენად გაუგებარია, მოქმედების გეგმა არსებობდა თუ არა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2014 წლის 16 იანვრის #MOD 8 14 00025156 წერილით აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2013 წლის 22 ნოემბრის #836/04 წერილი, რომელიც ეხებოდა ინფორმაციის მიწოდებას 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა საიდუმლო ინფორმაციას, თანახმად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის #42 ბრძანებულების მოთხოვნების შესაბამისად.

2014 წლის 25 ივნისს, საქართველოს მთავარი პროკურატურის №13/40108 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს წარმომადგენელმა არსებულ სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე, 2012 წლის აგვისტოს ბოლოს თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ პირთა ჯგუფის მიერ ლევან ხუცურაულისა და სხვათა მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, გამოძიებას აწარმოებს აღნიშნული დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისგან შექმნილი გამომძიებელთა ჯგუფი, ხოლო მათზე საპროცესო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში, კონტრტერორისტულ ცენტრში, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და დაზვერვის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ—სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველო.

2014 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურის №13/40136 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს წარმომადგენელმა არსებულ სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე, 2012 წლის აგვისტოს ბოლოს, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის ტერიტორიაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ პირთა ჯგუფის მიერ ლევან ხუცურაულისა და სხვათა მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება, თუმცა ამ ეტაპზე, შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე—18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდნენ საქმის მასალების ასლების გადაგზავნას.

2014 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს მთავარი პროკურატურის №13/50414 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2012 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33—ე მუხლით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე, 2012 წლის აგვისტოს ბოლოს, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის ტერიტორიაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ პირთა ჯგუფის მიერ ლევან ხუცურაულისა და სხვათა მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს. საქმეზე მოცემული დროისთვის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი არც ერთი პირის, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების: არჩილ ჩოხელისა და სოლომონ წიკლაურის, ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის — ვლადიმერ ხვედელიძის გვამებს არ ჩატარებია სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზა. ჩატარებული იყო მხოლოდ შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი 7 წევრის გვამების გარეგნული დათვალიერება. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ ჩატარდა გარდაცვლილი პირების საექსპერტო გამოკვლევა, სხვა საკითხებთან

ერთად, წარმოადგენს საქმეზე მიმდინარე გამოძიების საგანს⁴⁰.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 24 სექტემბრის №7/1 7–267–შ/ს წერილით აპარატს ეცნობა, რომ სისხლის სამართლის №043300812001 საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარების მიზნით ჩატარებულია ჭეშმარიტების დადგენისთვის საჭირო ყველა აუცილებელი საგამოძიებო ღონისძიება, მათ შორის სხვადასხვა ექსპერტიზა, რომელთა დასკვნების ასლები მიეწოდა საქართველოს სახალხო დამცველს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს წარუდგინა სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი 7 პირის (ჯგუფის წევრების) გვამის ექსპერტიზის დასკვნა⁴¹.

როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, სპეცოპერაციის შემდეგ, გარდაცვლილი პირების გვამების სასამართლო–სამედიცინო წესით გამოკვლევა არ განხორციელებულა, ჩატარდა მხოლოდ უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების გარდაცვლილი 7 პირის გვამების გარეგნული დათვალიერება.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაცვლილი თანამშრომლების გვამის ექსპერტიზის დასკვნებს, როგორც ზემოთ მოყვანილი საქართველოს მთავარი პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილებიდან ირკვევა, მათი ცხედრების სასამართლო–სამედიცინო წესით გამოკვლევა არ ჩატარებულა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული არც მათი ცხედრების გარეგნული დათვალიერების ოქმების არსებობაზე. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატს აღნიშნული დოკუმენტაცია არ წარუდგენია. საქართველოს სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია, 2012 წლის აგვისტოში ჩატარდა თუ არა საქართველოს სამართალდამცავ უწყებათა სამი გარდაცვლილი თანამშრომლის ცხედრების გარეგნული დათვალიერება⁴², თუმცა, ამ კითხვაზე აპარატს პასუხი არ მიუღია.

2013 წლის 8 მაისს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ჩატარდა სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების: ასლან მარგოშვილის, ბაჰაუდინ ბალაკაშვილის და სალამ ზაურბეკოვის

40 იმავე შინაარსს შეიცავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 11 აგვისტოს #1547371 წერილიც, რომლითაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოში გამოძიების შემდგომი ორგანიზების მიზნით, სისხლის სამართლის #043300812001 საქმე 2012 წლის აგვისტოს ბოლოს თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის მიმდებარედ მდინარე ლოპოტას ხეობაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შემოვიდა 2012 წლის 10 დეკემბერს. ამ დროისთვის სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი არცერთი პირის, მათ შორის, შსს–ს თანამშრომლების: არჩილ ჩოხელის და სოლომონ ნიკლაურის, ასევე თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლის – ვლადიმერ ხვედელიძის გვამების სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. ჩატარებული იყო მხოლოდ შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი 7 წევრის გვამების გარეგნული დათვალიერება. რაც შეეხება მიზეზს, თუ რატომ არ ჩატარდა გარდაცვლილი პირების საექსპერტო გამოკვლევა, სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენს საქმეზე მიმდინარე გამოძიების საგანს.

41 აღნიშნული დასკვნები არ არის საჯარო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

42 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილი #04–12/12694.

გვამების ექსპერტიზა. საქართველოს სახალხო დამცველის და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შუამდგომლობით, საქსპერტო კვლევაში ჩაერთო სასამართლო—სამედიცინო ექსპერტი რუსუდან ბერიაშვილი. 2013 წლის 16 მაისს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში განხორციელდა სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების: ბაჰაუდინ ქავთარაშვილის, დუკვახა დოშუევის, ჯაბრაილ ხაშიევის, მუსა ადუევის გვამების ექსპერტიზა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 6 აგვისტოს №1512646 და 9 ოქტომბრის №2008132 წერილებით ეცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე №043300812001 ჩატარებული გამოძიებით უტყუარად არის დადგენილი, რომ 2012 წლის 28 აგვისტოს თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა უკანონო შეიარაღებული ჯგუფის 7 წევრი. შს სამინისტროს ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ის თუ რატომ გავრცელდა საქართველოს შს სამინისტროს 2012 წლის 29 და 30 აგვისტოს და 3 სექტემბრის ოფიციალურ განცხადებებში, შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების როდენობის შესახებ განსხვავებული ინფორმაცია, მიმდინარე გამოძიების პროცესში გაირკვევა.

3. საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა ახსნა—განმარტებები ჩამოართვეს დაბა ლაფანყურის მცხოვრებლებს, გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს, ასევე, სხვა პირებს, რომლებიც ფლობდნენ ინფორმაციას ლაფანყურის მოვლენებთან დაკავშირებით. ასევე, მოიძიეს ფაქტობრივი მონაცემები, სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი პირების შესახებ. სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზეც.

ამ თავში მოცემული იქნება იმ ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, რაც საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოსათვის გახდა ცნობილი მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად.

i ინფორმაცია 2012 წლის 28—29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეც.ოპერაციის შედეგად გარდაცვლილ პირთა შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 16 იანვრის №87799 წერილით აპარატს ეცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაცვლილი თანამშრომლების: არჩილ ჩოხელის და სოლომონ წიკლაურის თანამდებობაზე დანიშვნისა და წოდებათა მინიჭების შესახებ მოძიებული ბრძანებების ნაწილი წარმოადგენდა საიდუმლო გრიფის მქონე დოკუმენტაციას და მოგვეწოდა მხოლოდ იმ ბრძანებათა ასლები, რომლებსაც არ ჰქონდათ მინიჭებული საიდუმლო გრიფი.

1. სოლომონ წიკლაური — 2004—2012 წლებში იყო სპეცოპერაციების ცენტრის კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს მე-6 დანაყოფის საბრძოლო

ქვედანაყოფის უფროსი. 2010 წლის 6 აპრილიდან სოლომონ ოთარის ძე წიკლაურს მიენიჭა უმცროსი ოფიცრის მორიგი სამხედრო წოდება „კაპიტანი“⁴³.

2. არჩილ ჩოხელი — დაბადებული 1971 წელს. 2009–2012 წლებში იყო სპეცოპერაციების ცენტრის კონტრტერორისტული ოპერაციების სამმართველოს მე–3 დანაყოფის საბრძოლო ქვედანაყოფილების უფროსი⁴⁴; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 15 სექტემბრის №9560 პ/შ ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის (დეპარტამენტი) სწრაფი რეაგირების სამმართველოს „ც“ (ჩარლი) დანაყოფის (განყოფილება) პირველი ქვედანაყოფის პირველი ჯგუფის, ჯგუფის უფროსს (ქვედანაყოფის უფროსის მოადგილე), კაპიტან არჩილ რომანის ძე ჩოხელს მიენიჭა უფროსი ოფიცრის მორიგი სამხედრო წოდება „მაიორი.“ არჩილ ჩოხელს დამთავრებული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი; ასევე, პოლიციის აკადემია. იყო საქართველოს სამხრეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

3. ვლადიმერ ხვედელიძე — 2012 წლის 2 აპრილის საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრის უბრუნველყოფისა და სატრანსპორტო ასეულის სამედიცინო ჯგუფის ფერმლად⁴⁵.

უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების გარდაცვლილი წევრების შესახებ ინფორმაცია მოძიებული იქნა მათი ოჯახის წევრების გამოკითხვის ან/და ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

1. ასლან მარგოშვილი — საქართველოს მოქალაქე, დაბადებული — 28/06/1990; 2008 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე.⁴⁶

მერაბ მარგოშვილის განმარტებით, მისი შვილი — ასლან მარგოშვილი 2011 წლის სექტემბერში წავიდა საქართველოდან ფინეთში, ხოლო თენახევერის შემდეგ — გადავიდა სლოვაკეთში. მ. მარგოშვილი აცხადებს, რომ 2011 წლიდან 2012 წლის აგვისტომდე ასლან მარგოშვილი ოჯახის წევრებს უკავშირდებოდა ელექტრონული ფოსტის და სოციალური ქსელების საშუალებით, ასევე, მობილური ტელეფონით, უცხოური ნომრიდან და მათ ის კვლავ სლოვაკეთში ეკონათ. მხოლოდ სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ გახდა მერაბ მარგოშვილისთვის ცნობილი, რომ ასლან მარგოშვილი საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნდა 2012 წლის 13 მარტს. ასლან მარგოშვილის მამიდა, თამარ მარგოშვილიც აცხადებს, რომ მხოლოდ სპეცოპერაციის შემდეგ გაიგეს, რომ ასლან მარგოშვილი ეგვიპტეშიც ყოფილა, სადაც არაბულ ენას და ყურანს

43 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 9 დეკემბრის #2520382 წერილი.

44 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსის 2009 წლის 1 ოქტომბრის #10263 პ/შ ბრძანება.

45 საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და ინსპექტირების მთავარი სამმართველოს უფროსის 2012 წლის 31 აგვისტოს დასკვნა.

46 იხ. #52, მარგოშვილი ასლან, ჩარიცხულ აბიტურიენტთა სია, გვ.36, <http://www.naec.ge/images/doc/EXAMS/2008-charicxul-abiturienta-sia.pdf> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

სწავლობდა⁴⁷. მ. მარგოშვილის განცხადებით, შს სამინისტროში ნაცნობებისგან გაიგო, რომ სასაზღვრო პოლიციას წაშლილი აქვს მონაცემები და ასლან მარგოშვილის საქართველოში შემოსვლის თარიღი და სასაზღვრო მონაკვეთი, საიდანაც იგი შემოვიდა აღარ ფიქსირდება⁴⁸.

საქართველოს შს სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციით, ასლან მარგოშვილმა საქართველოს ტერიტორია 2011 წლის 9 სექტემბერს სარფის გავლით დატოვა. სხვა დროს მის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა ოფიციალურად არ ფიქსირდება⁴⁹. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველს მიაწოდეს ლაფანყურის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის სახელზე, საქართველოს შს სამინისტროს მიერ 2012 წლის 23 ივლისს, 10:37:55 საათზე, გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა, სტეჩკინის სისტემის (APS, იარაღის ნომერი GB 3638) ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლებით, (იარაღის) რეგისტრაციის თარიღია — 13.07.2012 წელი⁵⁰, მაშინ როცა საქართველოს შს სამინისტროს გემოთაღნიშნული მონაცემებით, ასლან მარგოშვილი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა⁵¹.

ოჯახის წევრების განცხადებით, განადგურებულია ასლან მარგოშვილის მონაცემები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ის სამშენებლო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო⁵². საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უარყოფდა ფაქტს, რომ ასლან მარგოშვილი გემოთაღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, რაც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა გააპროტესტეს⁵³.

2. ბაჰაუდინ ქავთარაშვილი — საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 07/02/1986; დაიბადა და ცხოვრობდა საქართველოში, ახმეტის რაიონის სოფელ დუისში. იგი სახლიდან წავიდა 2012 წლის (სავარაუდოდ) 16 აგვისტოს (ასევე გარდაცვლილ) ბაჰაუდინ ბალაგაშვილთან ერთად და სახლში აღარ დაბრუნებულა. ბაჰაუდინ ქავთარაშვილის დედა — ასმათ ქავთარაშვილი გაზეთ „რეზონანსთან“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი შვილი მეგობრობდა ბაჰაუდინ ბალაგაშვილთან, რომელიც ოჯახთან ერთად ავსტრიაში ცხოვრობდა და სტუმრად ჩამოდიოდა სოფელ დუისში ნათესავებთან. ასმათ ქავთარაშვილი ასევე აცხადებს, რომ მისი შვილი

47 იხ. „როგორ მოხვდა ასლან მარგოშვილი ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა შორის — მაშიდა ახალ ვერსიებზე საუბრობს“, „MediaMall.ge“, 15.05.2014 <http://press.mediamall.ge/?id=10790> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

48 იხ. დანართი 5, მერაბ მარგოშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტება.

49 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

50 შენიშვნა: ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ნებართვის თაობაზე განცხადებით პირმა უნდა მიმართოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ განცხადებით. დისტანციურ მომსახურების სერვისი გათვალისწინებული არ არის, იხ. საქართველო შსს მომსახურების სააგენტო, <http://sagency.ge/index.php?m=372> [ბოლოს ნანახია 16.11.2014].

51 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 409.

52 იხ. დანართი 5, მერაბ მარგოშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტება.

53 იხ. „ლოპოტას ხეობაში დაღუპულ სტუდენტს ანტიმილიტარისტული ნახატები ჰქონდა“, for.ge, 20.09.2012 http://for.ge/view.php?for_id=16511&cat=2 [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

თბილისში არ ცხოვრობდა, ის სულ სოფელში იყო, ჰყავდა ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი. მხოლოდ 2012 წლის აგვისტომდე იყო თბილისში რამდენიმე დღით წასული. სავარაუდოდ 16 აგვისტოს ბაჰაუდინი სახლიდან გავიდა, როგორც დედამისის უთხრა, ბაჰაუდინ ბალაკაშვილისთვის⁵⁴ ქურთუკის მისაცემად და უკან აღარ დაბრუნებულა. ასმათ ქავთარაშვილმა იცოდა, რომ ბაჰაუდინ ბალაკაშვილი თურქეთში აპირებდა წასვლას, ხოლო იქიდან ავსტრიაში⁵⁵.

3. ბაჰაუდინ ბალაკაშვილი — რუსეთის მოქალაქე, დაბადებული გროზნოში 1986 წლის 10 თებერვალს. ბაჰაუდინ ბალაკაშვილის მამის — გურამ ბალაკაშვილის განცხადებით, ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ ოჯახთან ერთად საქართველოში ცხოვრობდნენ. დაახლოებით 5 წლის წინ მისი ვაჟი ავსტრიაში წავიდა, რის შემდეგაც მთელი ოჯახი ავსტრიაში გადავიდა საცხოვრებლად. მას შემდეგ ბაჰაუდინ ბალაკაშვილი ავსტრიაში ოჯახთან - მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობდა. მისი მშობლები და ძმები ამჟამად ავსტრიაში ცხოვრობენ. მათ ნათესავები ჰყავთ პანკისის ხეობაში⁵⁶. გურამ ბალაკაშვილი ამბობს, რომ ბაჰაუდინი საქართველოში დასთან და დისშვილებთან ერთად 2012 წლის ივლისში წამოვიდა. მართალია ბაჰაუდინი მორწმუნე იყო და 7 წლიდან ლოცულობდა, ოჯახის წევრებმა მისი განზრახვების შესახებ არაფერი იცოდნენ. გ.ბალაკაშვილი ამბობს, რომ ვიდრე მისი შვილის სურათი არ ნახა სპეცოპერაციის შემდეგ, ვერ დაიჯერა, რომ შეიძლება ის ამ ჯგუფის წევრი ყოფილიყო⁵⁷. საქართველოს შს სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციით, ბაჰაუდინ ბალაკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე 2012 წლის 1 ივლისს ავსტრიიდან შემოვიდა, ხოლო 2012 წლის 3 ივლისს საქართველო ყაზბეგის გამშვები პუნქტით დატოვა⁵⁸. საპირისპირო ინფორმაციას ფლობენ პანკისის ხეობის მაცხოვრებლები, რომელთა განცხადებით, ბაჰაუდინ ბალაკაშვილი, გარდაცვლილ სალამ ზაურბეგოვთან ერთად ბოლოს ბაირამობის დღესასწაულზე (2012 წლის 19 აგვისტოს) ნახეს, სოფელ ღუისში⁵⁹.

54 განსხვავებულია საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის #2094482 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით ბაჰაუდინ ბალაკაშვილმა საქართველოს ტერიტორია 2012 წლის 3 ივლისს დატოვა.

55 იხ. „რას ამბობს დაღუპულის ოჯახი სპეცოპერაციაზე“, „რეზონანსი“, 23.01.2014, http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=18855 [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

56 იხ. დანართი 7, ზურაბ ბალაკაშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტება. იხ. ასევე, „რას მალავს გამოძიება ლაფანყურის საქმეში“, ინტერვიუ ბაჰაუდინ ბალაკაშვილის მამასთან — გურამ ბალაკაშვილთან, Prime Time, 2013 წელი http://www.ptpress.ge/index.php?year=2031&magazine_id=24&topic_id=234#.U5LWnXKSxMg [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

57 იხ. „რას მალავს გამოძიება ლაფანყურის საქმეში“, ინტერვიუ ბაჰაუდინ ბალაკაშვილის მამასთან — გურამ ბალაკაშვილთან, Prime Time, 2013 წელი,

http://www.ptpress.ge/index.php?year=2031&magazine_id=24&topic_id=234#.U5LWnXKSxMg [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

58 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

59 იხ. „ლაფანყურის სპეცოპერაციის დაღუპული ახალგაზრდები წუხელ დაკრძალეს“, „ambebi.ge“, 31.10.2012, <http://www.ambebi.ge/regionebi/64514-lafanyuris-specoperaciis-daghupuli-akhalgazrdebi-tsukhel-dakrdzales.html> [ბოლოს ნანახია 09.11.2014]. იხ. ასევე, „რას ამბობს დაღუპულის ოჯახი სპეცოპერაციაზე“, „რეზონანსი“, 23.01.2014, http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=18855 [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

4. დუკვახა დოშუევი (დუშუევი) — რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადებული 19/01/1968 ჩენნეთში, ქ. ვეგენო. საქართველოს შს სამინისტროს ანტიტერორისტული დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსის, ალექსანდრე (სანდრო) ამირიძის განცხადებით, სწორედ დ. დოშუევი იყო უხუცესი უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრებს შორის, თუმცა, როგორც მანვე თქვა, ის ჯგუფის ხელმძღვანელი არ იყო და ჯგუფის წევრები მას არ უსმენდნენ⁶⁰.

რუსული „კომერსანტის“ ცნობით, დუკვახა დოშუევი არის ჩენნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოადგილის და ამჟამად ჩენნეთის დევნილი მთავრობის ხელმძღვანელის — ახმედ ზაკაევის⁶¹ ყოფილი პირადი მცველი. 2000 წლის დასაწყისში, როდესაც ა. ზაკაევი საზღვარგარეთ წავიდა, დოშუევი რუსეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს, მაგრამ მოგვიანებით ამნისტიის შედეგად გაათავისუფლეს. ა. ზაკაევმა TV9-სთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან დაზუსტებით იცის, რომ დუკვახა დოშუევი ბოლო 6 თვის განმავლობაში რუსეთში არ იმყოფებოდა და მთელი ეს პერიოდი საქართველოში ცხოვრობდა⁶².

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით, დ.დოშუევს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არაერთხელ აქვს გადაკვეთილი 2010–2012 წლებში. იგი საქართველოში დიდი ბრიტანეთიდან შემოდიოდა და უკანვე ბრუნდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს დ. დოშუევი საქართველოში შემოვიდა და გავიდა ორჯერ — 23.01.2012–07.04.2012 და 16.04.2012–02.06.2012 პერიოდებში. შესაბამისად, საქართველოს შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დ.დოშუევმა საქართველოს ტერიტორია 2012 წლის 2 ივნისს სარფის გავლით დატოვა⁶³.

5. სალამ ზაურბეკოვი — რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადებული 14/12/1991 ჩენნეთში, ქ. გროზნო. საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, სალამ ზაურბეკოვი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ავსტრიაში. „ამერიკის ხმაზე“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ჩენნეთის ომის დროს ს.ზაურბეკოვის ოჯახი ჯერ ინგუშეთში, 2000 წელს კი ავსტრიაში გაიქცა. მას მერე ზაურბეკოვები ფედერალური მიწის ფორარლბერგის, სოფელ გიოტცისში ცხოვრობენ და ლტოლვილის სტატუსით სარგებლობენ. სალამ ზაურბეკოვი ავსტრიაში, 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა; იყო ახალგაზრდებს შორის ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. ავსტრიული სპორტული პრესის ცნობით 2012 წლის მარტში, სალამს ავსტრიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრისა და ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობის შანსი ჰქონდა, თუმცა, სრულიად მოულოდნელად ზაურბეკოვი ავსტრიის ნაკრებს მძიმე ტრავმის გამო ჩამოშორდა, ხოლო 22 მარტს მოჭიდავე საერთოდ გაუჩინარდა. სალამ ზაურბეკოვის

60 იხ. დანართი 2, ალექსანდრე ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა-განმარტება.

61 იხ. ზემოთ, სქოლიო 6.

62 იხ. „ახმედ ზაკაევი: საქართველოში დაღუპული დიკვახა დოშუევი ბოლო 6 თვის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე იყო და რუსეთში არ შესულა“, geoarmy.ge, 05.09.2012, <http://georgianarmy.wordpress.com/tag/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98/> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „ახმედ ზაკაევი: საქართველოს ხელისუფლება სიმართლეს მალავს“, ამერიკის ხმა, 24.09.2012, http://www.amerikiskhma.com/content/georgia_lopota_zakaev/1513667.html [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

63 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

დედის, მალკან ისრაპილოვას განცხადებით, ავსტრიის პოლიციამ აცნობა, რომ სალამის კვალი საქართველოში მიდიოდა. მ.ისრაპილოვა ამბობს, რომ ივნისში, როდესაც საქართველოში შვილის საძებნელად ჩამოვიდა, შეხვდა ახმედ ჩატაევს⁶⁴, რომელმაც დაარწმუნა, რომ მისი შვილი საქართველოში მას არ ჩამოუყვანია, სხვა არხებით ჩამოვიდა, მაგრამ იმ დროს მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მ.ისრაპილოვა ამბობს, რომ ის შვილს არ შეახვედრეს, მხოლოდ სკაიპით ესაუბრა და სთხოვა, რომ ავსტრიაში დაბრუნებულიყო, თუმცა, უშედეგოდ. 2012 წლის ივლისში ოჯახის წევრებმა გაიგეს, რომ სალამ ზაურბეგოვი სოფელ დუისში იმყოფებოდა⁶⁵. ს.ზაურბეგოვი ნათესავებმა უკანასკნელად სპეცოპერაციის დროს მოკლულ ბაჰაუდინ ბაღაკაშვილთან ერთად ბაირამობის დღესასწაულზე (2012 წლის 19 აგვისტოს) ნახეს, სოფელ დუისში⁶⁶.

საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის №2094482 წერილით, სალამ ზაურბეგოვი საქართველოში 2012 წლის 23 მარტს ავსტრიიდან ჩამოვიდა, ხოლო 2012 წლის 30 მაისს დატოვა საქართველო სარფის გამშვები პუნქტის მეშვეობით.

6. ჯაბრაილ ხაშიევი — რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადებული 24/01/1989, ინგუშეთში. ღია წყაროებით მის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება. საქართველოს შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ჯ.ხაშიევს 2012 წლის ზაფხულში არაერთხელ აქვს გადაკვეთილი საქართველოს საზღვარი, კერძოდ, 04.06.2012—16.06.2012, 19.06.2012—10.08.2012 და 16.08.2012—18.08.2012 პერიოდში. ის საქართველოში ყოველთვის ფინეთიდან შემოდიოდა და უკან ფინეთში ბრუნდებოდა. ოფიციალური მონაცემებით, ჯაბრაილ ხაშიევმა საქართველოს ტერიტორია 2012 წლის 18 აგვისტოს ყაზბეგის გამშვები პუნქტიდან დატოვა⁶⁷.

7. მუსა ადუევი — რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადებული 28/03/1981 ჩეჩნეთში, ქ. გროზნო. ღია წყაროებით მის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება. საქართველოს შს სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, 2010—2012 წლებში არც მის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ფაქტი ფიქსირდება⁶⁸.

ii ინფორმაცია 2012 წლის 28—29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილმდებარეობის და ამჟამად იქ არსებული მდგომარეობის შესახებ

2014 წლის 16 მაისს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები.

ლოპოტას ხეობაში, 2012 წლის 28—29 აგვისტოს სპეცოპერაციის ჩატარების ადგილამდე

64 იხ. ქვემოთ, სქოლიო 81.

65 იხ. „ავსტრიის ჩემპიონი ლაფანყურთან მოკლეს“, „ამერიკის ხმა“, 12.11.2012 <http://www.amerikiskhma.com/content/voa-lapankuri-austrian/1543825.html> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

66 იხ. „ლაფანყურის სპეცოპერაციის დაღუპული ახალგაზრდები წუხელ დაკრძალეს“, „ambebi.ge“, 31.10.2012, <http://www.ambebi.ge/regionebi/64514-lafanyuris-specoperaciis-daghupuli-akhlagazrdebi-tsukhel-dakrdzaes.html> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

67 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

68 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

მისასვლელი ერთადერთი გზა სოფელ ლაფანყურზე გადის. თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი ლაფანყური საქართველო–რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან 20 კმ–ში, ხეობის შესასვლელში მდებარეობს. ლოპოტას ხეობა, სადაც სოფელი ლაფანყური მდებარეობს, ესაზღვრება პანკისს⁶⁹.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე სასაზღვრო გამტარი პუნქტები განთავსებული არ არის, თუმცა, დაახლოებით 3–4 კმ–ში დისლოცირებულია საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის სამმართველო სასაზღვრო სექტორი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვას ახორციელებს მუდმივად, 24 საათიან რეჟიმში (მათ შორის, საზღვრის დაცვას ახორციელებდა 2012 წლის 20–29 აგვისტოს პერიოდში). დეტალური ინფორმაცია სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასაზღვრო სექტორებზე განწესების რაოდენობისა და მდებარეობის შესახებ საიდუმლოა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად⁷⁰.

სოფელ ლაფანყურიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 1,5 კმ–ში იწყება ტყე და ხეობაში შესასვლელი ერთადერთი გზა, რომელიც ზემოაღნიშნული სასაზღვრო სექტორის დასავლეთით, დაახლოებით 20–30 მეტრში გადის. სასაზღვრო სექტორის აღმოსავლეთით კი მიედინება მდინარე ლოპოტა, რომლის სიგანე თავის დამშრალ კალაპოტიანად 350–400 მეტრს შეადგენს. მთის რელიეფიდან და მიწის გრუნტიდან გამომდინარე, გზაზე მოძრაობა მხოლოდ მაღალი გამავლობის ტრანსპორტით არის შესაძლებელი. მთელი ამ ტერიტორიის გარშემო არის ტყე, სადაც გავლა შესაძლებელია, თუმცა, რთულია, არსებული რელიეფის გამო. სამანქანო გზა დაახლოებით 15 კმ–ს გრძელდება, რის შემდეგაც იწყება ბილიკი, რომელიც 250–300 მეტრის სიმაღლის ხრამზე გადის. ადგილ–ადგილ ბილიკის სიგანე 50 სმ–ს არ აღემატება.

69 იხ. ასევე, სოფელი ლაფანყური, ტელეკომპანია მაესტრო, 29.08.2012, <http://www.youtube.com/watch?v=Sg1DVBfohug> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

70 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 28 ოქტომბრის წერილი #2156938.



ფოტოზე აღბეჭდილია სოფელ ლაფანყურიდან 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილისკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკი. ფოტოზე მარცხენა მხარეს ხეებს შორის მოჩანს ვიწრო ბილიკი, ხოლო მარჯვენა მხარეს მიედინება მდინარე ლოპოტა. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

ბილიკი მიემართება საქართველო–რუსეთის სახელმწიფო საზღვრამდე და მისი სიგრძე დაახლოებით 9–10 კმ–ია.

2012 წლის 28—29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილი⁷¹ არის ხეებით დაფარული ფერდობი, რომლის ჩრდილო—აღმოსავლეთით 60—70 მ—ში მდებარეობს ხევი. ეს არის ღია ადგილი, ხეების გარეშე, სადაც მდინარე მიედინება. ინციდენტის ადგილის ჩრდილოეთიდან არის ტყით დაფარული მთა, სადაც გადაადგილება რთულია. სწორედ ამ მხარეს არის რუსეთის საზღვრისაკენ მიმავალი ბილიკი.



ფოტოზე აღბეჭდილია 2012 წლის 28—29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილი. ფოტოზე მარცხენა მხარეს გრძელდება ფერდობი, სადაც არის რუსეთის ფედერაციის საზღვრისკენ მიმავალი ბილიკი, ხოლო მარჯვენა მხარეს ჩანს ხევი და მდინარე ლოპოტა, საიდანაც არის ამოსასვლელი ფერდობზე და სოფელ ლაფანყურიდან მომავალი ბილიკი. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

71 იხ. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალა, 30.08.2012, <http://police.ge/ge/spetsoperatsia-93-videomasala/4002> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].



ფოტოზე აღბეჭდილია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილი. ფოტოზე მარცხენა მხარეს მოჩანს სოფელ ლაფანყურიდან და მდინარე ლოპოტას კალაპოტიდან ფერდობზე ამოსასვლელი ბილიკი, რომელიც ფოტოზე მარჯვენა მხარეს გრძელდება ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის საზღვრისკენ. ფოტოზე პირდაპირ ჩანს გარდაცვლილ სამართალდამცავთა ქვის მემორიალი, რომლის უკან არის პატარა ხევი. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

ფერდობის ჩრდილო—დასავლეთით ასევე არის ხევი, რომელიც პატარა ხეებითაა დაფარული და ალაგ—ალაგ სრულიად შიშველია. მისი სიღრმე დაახლოებით 50–60 მეტრია. მას არ აქვს ისეთი ადგილები, სადაც ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩებოდა. სწორედ ამ ხევის თავზე ამჟამად არის გარდაცვლილი ქართველი სამართალდამცავების მემორიალი.



ფოტოზე აღბეჭდილია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილი, სადაც ამჟამად განთავსებულია სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილ სამართალდამცავთა მემორიალი. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

შემთხვევის ადგილზე და არც მიმდებარე ტერიტორიაზე, არ არის ადგილი, სადაც ვერტმფრენის დაჯდომა იქნებოდა შესაძლებელი.

უშუალოდ ფერდობზე ჯერ კიდევ არის მრავალი ნივთმტკიცება, რომელიც იქ შეიარაღებული დაჯგუფების წევრების ყოფნას და ბრძოლის კვალს ადასტურებს. დიდი ზომის ხეების ძირში, რომელსაც უკანონო შეიარაღებული ჯგუფების წევრები ერთი შეხედვით, შესაძლოა საფარად იყენებდნენ, ყრია დიდი რაოდენობით გასროლილი ტყვიები.



ფოტოზე აღბეჭდილია 2012 წლის 28—29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილზე მიმოფანტული ტყვიების მასრები, რომელიც მრავლად არის მთელ ფერდობზე. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

ამავე ხეებზე კვლავ არის შემორჩენილი მრავალრიცხოვანი დაზიანებები, რაც სავარაუდოდ სხვადასხვა კალიბრის და ტიპის ცეცხლსასროლი იარაღითაა მიყენებული.



ფოტოებზე აღბეჭდილია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილზე ხეებზე შემორჩენილი მრავალი ნატყვიარი. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

იმავე ადგილებში ნაპოვნია ასევე გამოუყენებელი ტყვიებიც. ადგილზე აღმოჩნდა პირადი მოხმარების ისეთი ნივთებიც, როგორიცაა კბილის ჯაგრისები, შოკოლადის თუ სხვა საკვების ქაღალდები, მათ შორის არაბული წარწერით და სხვა პირადი მოხმარების ნივთები.



ფოტოებზე აღბეჭდილია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილზე სხვადასხვა პირადი მოხმარების ნივთები. ფოტო გადაღებულია საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 16 მაისს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურიდან როდის და რომელი უწყების მიერ ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. თუმცა, ამ ანგარიშსზე მუშაობის დასრულების დროისათვის პასუხი მიღებული არ ყოფილა.

iii საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა მიერ გამოკითხულ პირთა მონათხრობი

ანგარიშის ამ ნაწილში მოცემული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრების მიერ გამოკითხულ პირთა ახსნა—განმარტებების საფუძველზე მოვლენათა განვითარება 2012 წლის აგვისტოში და მის შემდგომ პერიოდში სოფელ ლაფანყურსა და პანკისის ხეობაში.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა გამოკითხეს უკანონო შეიარაღებული ჯგუფების მიერ 2012 წლის 26 აგვისტოს მძევლად აყვანილი, სოფელ ლაფანყურის მცხოვრები ტატო ლაღოლიშვილი⁷². მასთან ერთად დაკავებულმა სხვა პირებმა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებისთვის ახსნა—განმარტების მიცემისგან თავი შეიკავეს.

72 იხ. დანართი 1, ტატო ლაღოლიშვილის 2013 წლის 17 აპრილის ახსნა—განმარტება.

ტ.ღაღლიშვილის განმარტებით, 2012 წლის 26 აგვისტოს დაახლოებით დილის 11 საათზე, ის ლაფანყურში მცხოვრებ თავის ოთხ მეგობართან ერთად წავიდა საქეიფოდ სოფელ ლაფანყურიდან დაახლოებით 4 კმ-ის მოშორებით, ე.წ. გონჯახევის ხეობაში. ისინი ხუთნი იყვნენ: ტატო ღაღლიშვილი, თამაზ მამიერაშვილი, ლერი ხუცურაული, ლევან გარაშვილი და ბესიკ მიჯახაშვილი. როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, დაახლოებით საღამოს 18 საათზე, ის და მისი მეგობრები უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა დააკავეს. ტატო ღაღლიშვილი განმარტავს, რომ შეიარაღებული დაჯგუფება 17 წევრისაგან შედგებოდა, რომელთაგან ყველას შერეული სამხედრო ფორმა ეცვა. ყველას ჰქონდა წვერი (ზოგს — გრძელი, ზოგს მოკლე) და ყველა იყო შეიარაღებული: ჰქონდათ „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატები, 2 ტყვიამფრქვევი, 2 სნაიპერული შაშხანა და ყუმბარმტყორცნები. ერთმანეთთან საუბრობდნენ, სავარაუდოდ, ჩინურ ენაზე. მობილური ტელეფონები და რაციები არ ჰქონიათ. მათ ჰქონდათ მხოლოდ ერთი მობილური ტელეფონის მსგავსი ანტენიანი და ციფერბლატიანი აპარატი, ყვითელი ეკრანით, რითიც არ უსარგებლიათ და მან ზუსტად არ იცის, რა იყო. ტატო ამბობს, რომ ჯგუფს გამოკვეთილი მეთაური არ ჰყავდა. მისი განმარტებით, ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ ერთი მეტყველებდა ქართულად, თუმცა, მის საუბარში შეინიშნებოდა აქცენტი. მას თავი გადახოტრილი ჰქონდა და წვერი მოშვებული. სახელი ზუსტად არ ახსოვს, მაგრამ თანამებრძოლები მას სავარაუდოდ „ფეიზულას“⁷³ ეძახდნენ. სწორედ ამ პირმა უთხრა ტატოს და მის მეგობრებს, რომ არაფერს დაუშავებდნენ, თუ გაქცევას არ ეცდებოდნენ. ქართულად მოსაუბრე მებრძოლმა ტატოს უთხრა, რომ ისინი საზღვარზე გადასვლას აპირებდნენ. მათ იმავე ღამეს უნდოდათ გადასვლა, რის შემდეგაც ტატოს და მის მეგობრებს გაუშვებდნენ. მანვე უთხრა, რომ ტატო და მისი მეგობრები ბარგის სატარებლად დაატყვევეს. ტატოს განმარტებით, მთელი ჯგუფი წავიდა რუსეთის საზღვრისკენ და დაახლოებით 4 კმ-ში გაჩერდა. იქნებოდა დაახლოებით ღამის 10–11 საათი. მებრძოლმა უთხრა, რომ ღამე იქ უნდა გაეტარებინათ და გზას დილით განაგრძობდნენ. გათენდა 27 აგვისტო და ამ დღეს ფაქტობრივად არსად წასულან, მხოლოდ 300–400 მეტრით გადაადგილდნენ და დაიმაღლნენ. ისინი თავიანთ გეგმებზე მძევლებთან არაფერს ამბობდნენ. დაახლოებით 23 საათიდან დაიწყეს გადაადგილება საზღვრის მიმართულებით, მარმარილოს კარიერებისკენ მიმავალ სამანქანე გზაზე. გაიარეს დაახლოებით 6 კმ. და გაჩერდნენ. იქნებოდა სავარაუდოდ ღამის 3 საათი. ღამე გაათენეს და 28 აგვისტოს დილის 10 საათზე განაგრძეს გზა. დაახლოებით 13:00 საათზე, გზაზე წამოეწიათ სასაზღვრო პოლიციის სატვირთო ბორტიანი მანქანა. მებრძოლებმა ეს მანქანა გააჩერეს და ალყაში მოაქციეს. მათ იარაღი ჩამოართვეს და ყველანი მიწაზე დაწვინეს. სულ იყო 5 მესაზღვრე. ერთ–ერთი იყო სექტორის უფროსი რამაზ ფარადაშვილი. რამაზმა შესთავაზა,

73 მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, პანკისის ხეობის მოსახლეობა 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის შემდგომ ეძებდა რამდენიმე პიროვნებას, მათ შორის იყვნენ - სოფელ ომალოს მკვიდრი, 26 წლის რუსლან ფხაკალაშვილი, დუისელი ბეიზულა მარგოშვილი, იგივე გიორგი კუშტანაშვილი. ასევე, სოფლების - ბირკიანისა და ჯოყოლოს ორი მცხოვრები, რომელთა ზუსტი ვინაობა უცნობია, იხ. ახმედ ზაკაევი: საქართველოს ხელისუფლება სიმართლეს მალავს, „ამერიკის ხმა“, 24.09.2012 http://www.amerikiskhna.com/content/georgia_lopota_zakaev/1513667.html [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2014 წლის 16 ოქტომბერს #04–12/12606 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შს სამინისტროდან ამ ადამიანების უგზო–უკვლოდ გაუჩინარების შესახებ თუ ფლობს რაიმე ინფორმაციას, რაზეც ამ ანგარიშზე მუშაობის დასრულებამდე პასუხი არ მიგვიღია.

ყველა სხვა დაკავებული გაეშვათ და მართო ის დაეტოვებინათ, მაგრამ უარი უთხრეს და ყველა მესაზღვრე დაიტოვეს, ხოლო ტატოს და მის მეგობრებს ბარგი მოხსნეს და გაუშვეს⁷⁴. ტატოს განმარტებით, წასვლისას მის მეგობარს, ლევანს მისცეს 200 აშშ დოლარი და მადლობა გადაუხადეს დახმარებისთვის. ტატოს განმარტებით, მეზობლები ხეობაში კარგად ექცეოდნენ, მშვიდად ესაუბრებოდნენ და საკვებსაც აძლევდნენ. სასაზღვრო შტაბში მის მეგობრებს, ლევანს და ბესოს სამართალდამცავებმა ჟურნალისტებისთვის მიაცემინეს ინტერვიუ, თითქოს ისინი ტყეში დაიკარგნენ და არანაირი მეზობლები იქ არ ყოფილან⁷⁵. შემდეგ წაიყვანეს თელავში სამხედრო ბაზაზე, სადაც მათ ღამე გაატარეს. ამ დღეს მათთვის არაფერი უკითხავთ. მეორე დღეს წაიყვანეს კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოში, სადაც ხუთივეს ჩამოართვეს დეტალური ჩვენებები და გადაიღეს ვიდეო კამერით. პოლიციიდან სახლში წაიყვანეს 30 აგვისტოს დილის 4 საათზე. წამოსვლისას ჩამოართვეს ხელწერილები, რომ მომხდარის შესახებ არსად არაფერს იტყოდნენ, არც ჟურნალისტებთან და არც ოჯახის წევრებთან.⁷⁶ ტატო ღაღოლიშვილი აცხადებს, რომ ისინი (5 ყოფილი მძევალი) დაკითხეს 2012 წლის 19 დეკემბერს თელავში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში და 2013 წლის თებერვალში იყვნენ მეზობლების ამოცნობაზე, სადაც წარუდგინეს 17—ვე მეზობლის ფოტო და მათ ისინი ამოიცნეს.

2012 წლის 28 აგვისტოს სპეცოპერაციის დაწყებამდე, უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრების მეორე თვითმხილველი, ვინც საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა გამოკითხეს, არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი ალექსანდრე (სანდრო) ამირიძე. მისივე განცხადებით, იგი დაიკითხა საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მიერ და იდენტური ჩვენება აქვს მიცემული. ალექსანდრე ამირიძემ გამოთქვა თანხმობა მისი ახსნა—განმარტების გასაჯაროებაზე⁷⁷.

ა.ამირიძის განმარტებით, 2012 წლის აგვისტოში ის კუთვნილ შევებულებაში იმყოფებოდა და 2012 წლის 27 აგვისტოს გამოცხადდა სამსახურში. 28 აგვისტოს დილით ის მართო, სამსახურებრივი ავტომანქანით გაემგზავრა პანკისის ხეობაში მივლინებით. მისი თქმით, პანკისის ხეობაში ხშირად უწევდა სამსახურებრივი მივლინებით ჩასვლა. მართალია ამ დროს მან უკვე იცოდა საინფორმაციო საშუალებებით სოფელ ლაფანყურში დაკარგული პირების შესახებ, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე სამსახურებრივი დავალება არ ჰქონია. გზაში მას დაუკავშირდა მისი უშუალო ხელმძღვანელი და სთხოვა რომ დროულად ჩასულიყო დანიშნულების ადგილას,

74 იხ. ასევე, სასაზღვრო სექტორის უფროსის – რამაზ ფარადაშვილის ინტერვიუ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალა, 30.08.2012, <http://police.ge/ge/spetsoperatsia-93-videomasala/4002> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

75 იხ. ასევე, „მძევლის მამის კომენტარი“, ტელეკომპანია TV9, 29.08.2012, http://www.youtube.com/watch?v=7x9u_xJgrdQ [ბოლოს ნანახია 09.11.2014]; იხ. ასევე, „ბოევიკებმა მძევლები დაასაჩუქრეს“, „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“, 02.09.2012, <http://www.youtube.com/watch?v=AfoQyhyqwKc> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

76 შენიშვნა: ფაქტობრივად დღენახევრის განმავლობაში მათ თავისუფლება ჰქონდათ ადკვეთილი, პოლიციის შენობიდან მხოლოდ 30 აგვისტოს გაათავისუფლეს, როცა ჯგუფის წევრების მძევლობიდან 28 აგვისტოს გაათავისუფლდნენ.

77 იხ. დანართი 2, სანდრო ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა—განმარტება.

შემდეგ კი სოფელ ლაფანყურში ჩასვლა სთხოვეს. სოფელში ის პირადად გაესაუბრა უკვე გათავისუფლებულ მძევლებს, რომ გაეგო, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ამ დაჯგუფების წევრები. მისი განცხადებით, მართალია, მისთვის უცნობი იყო საიდან და როგორ შევიდა ეს ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე, ლოპოტას ხეობაში, თუმცა, 2000 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, პანკისის ხეობაში თვეების განმავლობაში უცხოვრია და იქ ყველას იცნობდა. რადგან ადგილობრივებთან დაძაბული ურთიერთობა არ ჰქონია, ამიტომაც გამოთქვა სურვილი, რომ წავიდოდა შეიარაღებული ჯგუფის წევრებთან შესახვედრად. მისი ვარაუდით, ისინი იყვნენ მებრძოლები, სავარაუდოდ ჩეჩნები, მითუმეტეს 2 პირი⁷⁸ ქართულად საუბრობდა, რაც იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ისინი ქისტები იყვნენ. ქისტებს კი იგი ყველას იცნობდა და შეუძლებელია, მათაც არ ცოდნოდათ სანდრო ამირიძე. ა. ამირიძე განმარტავს, რომ მან გარკვეული მანძილი, ვიდრე სამანქანე გზა მიდის ხეობაში, გაიარა ავტომანქანით, ხოლო, შემდეგ გზა ფეხით განაგრძო. დაახლოებით 2 კმ.—ს გავლის შემდეგ ხევში, კლდის მეორე მხარეს პირისპირ შეეჩეხა ჯგუფის ერთ—ერთ წევრს. ის წყალში (მდინარეში) პირს იბანდა. ფეხის ხმაზე წამოდგა და როგორც კი ერთმანეთი დაინახეს, ორივემ იარაღისკენ წაიღო ხელი. სწორედ ამ დროს იცნეს ერთმანეთი. ალექსანდრე ამირიძე ამ პირის სახელს არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ის ქართველი არ იყო, იყო ჩრდილოკავკასიელი, მაგრამ საქართველოში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობდა. მიხვდა, რომ ის ჯგუფის წევრი იყო, ჩაცმულობითაც მებრძოლს ჰგავდა, წვერიც ჰქონდა, დიდი არა, რომელსაც ყოველთვის ატარებდა. ამირიძე აცხადებს, რომ დაიბნა მის დანახვაზე, რადგან მისი პიროვნებიდან გამომდინარე, გაუკვირდა მისი იქ ყოფნა. ამირიძე აღწერს, რომ კლდის იქით იშლება მდინარის ხეობა — ღია ადგილი, სადაც ნახა შეიარაღებული ჯგუფის სხვა წევრებიც. ის ამბობს, რომ ჯგუფი შედგებოდა 17 პირისგან, რადგან დაითვალა ისინი. დაკავებული მესაზღვრეც [რამაზ ფარადაშვილი] იქ ჰყავდათ, რომელიც მოგვიანებით გაუშვეს ამირიძის თხოვნით. ამირიძე ამბობს, რომ ჯგუფის წევრებიდან ზოგს იცნობდა, ზოგს არა. მისივე თქმით, მან ჯგუფის ყველა წევრი ნახა სახეზე, ერთის გარდა, რომელსაც ნილაბი ეკეთა⁷⁹. ამირიძე ვარაუდობს, რომ ნილაბი იმის გამო ეკეთა, რომ იგი პანკისის ხეობიდან იყო და სავარაუდოდ ჯგუფს მეგობრად მიყვებოდა. ამირიძე დარწმუნებულია, რომ ნილაბიანი პირი გარდაცვლილებში არ არის. ამირიძე ასევე განმარტავს, რომ ჯგუფის ორი წევრი ქართულად, უმრავლესობა კი ჩეჩნურად საუბრობდა, ხოლო, ჯგუფის ორ წევრს დანარჩენები რუსულად ესაუბრებოდნენ. მისი აზრით, სწორედ ეს ორი იყო დაღესტნელი, რადგან მათ ჩეჩნური არ იციან და ჯგუფის სხვა წევრებთან რუსულად უწევდათ საუბარი.

ამირიძის განმარტებით, ჯგუფის წევრებს ის აგრესიულად არ მიუღიათ და შეეცადა მათთან მოლაპარაკება გაემართა. მისი განზრახვა იყო, ჯგუფის წევრებს იარაღი დაეყარათ და ჩაბარებოდნენ. მისი ბოლო მიზანი იყო, არ დაეშვა ამ ჯგუფის რუსეთის ფედერაციის საზღვარზე

78 განსხვავებულია ტატო დადოლიშვილის ახსნა—განმარტება, რომელიც ამბობს, რომ ქართულად საუბრობდა შეიარაღებული ჯგუფის მხოლოდ ერთი წევრი; შესაბამისად, მძევლებთან გასაუბრების შედეგად ა. ამირიძეს სხვა ინფორმაცია ვერ ექნებოდა. იხ. დანართი 1, ტატო დადოლიშვილის 2013 წლის 17 აპრილის ახსნა—განმარტება.

79 განსხვავებით ა. ამირიძის მონათხრობისა, ტატო დადოლიშვილი თავის 2013 წლის 17 აპრილის ახსნა—განმარტებაში არ ახსენებს, რომ ჯგუფის რომელიმე წევრი ნილაბს ატარებდა; იხ. დანართი 1.

გადასვლა. მისი განცხადებით, ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში რუსები აკონტროლებდნენ რუსეთ—საქართველოს საზღვარს, დაფრინავდა მათი ვერტმფრენი, 45 000 ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკა საზღვრისპირა რაიონში იყო შეყვანილი. ამირიძე ამბობს, რომ ამ ინფორმაციის მიღებისას თითქმის დაფიქრდნენ ჯგუფის წევრები, თუმცა, შემდეგ ერთ—ერთმა თქვა, რომ მათთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენდა და ჰქონდათ ალტერნატიული გეგმაც. ამირიძე ასევე განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაცნობი [ჩრდილოკავკასიელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა ლტოლვილის სტატუსით] იყო ჯგუფის ხელმძღვანელი, მანვე უთხრა ამირიძეს, რომ ჯგუფის სხვა წევრები მას არაფერს ეკითხებოდნენ და არ უჯერებდნენ.

ამირიძე ასევე აცხადებს, რომ ის რაციით (რადგან იმ ადგილას მობილური კავშირი არ არის) უკავშირდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს და აწვდიდა მოვლენების განვითარების შესახებ ინფორმაციას. მისი განმარტებით, შეიარაღებული ჯგუფის წევრები ამ ყველაფერს ხედავდნენ, მაგრამ არ უშლიდნენ. ამირიძის განცხადებით, ის შეიარაღებულ ჯგუფთან ერთად დარჩა, ვიდრე მათთან არ მივიდნენ საქართველოს სამართალდამცავი უწყების მიერ გამოგზავნილი ე.წ. „მომლაპარაკებლები“ — სულ სამი ადამიანი: შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტის) უფროსი — ზურაბ მაისურაძე, ზელიმხან ხანგოშვილი⁸⁰ და ახმედ ჩატაევი (იგივე დავიდ მაიერი)⁸¹. ა.ამირიძე განმარტავს, რომ ამ დროისათვის, ჯგუფის წევრებმა ხევიდან გადაინაცვლეს ფერდობზე, ტყეში, საიდანაც მიემართება ბილიკი რუსეთის საზღვრისკენ. ამირიძე ამბობს, რომ ეს სწორედ ის ადგილია,

80 სოფელ დუისის მკვიდრი; დაუდასტურებელი ინფორმაციით, იგი იყო საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელი.

81 ახმედ ჩატაევი, იგივე დავიდ მაიერი ცნობილია, როგორც ჩეჩნური ომის მებრძოლი. ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაციით, ის მოიხსენიება, როგორც კავკასიის იმარატის ემირის, დოკუ უმაროვის პირადი წარმომადგენელი საქართველოში(?!). მას „ცალხელა ახმედადაც“ იცნობენ. ჩეჩნეთის მეორე ომის შემდგომ, ახმედ ჩატაევი ჩეჩნეთის სასამართლომ დამნაშავედ ცნო ტერორიზმსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლაში. იგი 2000 წელს ერთ—ერთი პარტიზანული ბრძოლის დროს ხელში დაიჭრა. ხელი მას უკვე რუსეთის ციხეში მოჰკვეთეს. ჩატაევმა შეძლო საპრობოლიდან თავის დაღწევა და ცოლთან და შვილებთან ერთად ავსტრიაში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობდა. ლტოლვილის სტატუსი ა.ჩატაევმა ავსტრიაში 2003 წლის 24 ნოემბერს მიიღო. 2010 წელს იგი უკრაინაში დააკავეს, თუმცა, უკრაინის სასამართლომ რუსეთში მისი ექსტრადიციაზე უარი თქვა, იხ. Ukraine must not forcibly extradite Chechen man to Russia, Amnesty International, 14.01.2010, <http://www.amnesty.org/en/news-and-updates/news/ukraine-must-not-forcibly-extradite-chechen-man-to-russia-20100114> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „როგორც აღმოჩნდა ჩატაევი ლოპოტას ხეობაში“, „ამერიკის ხმა“, 10.09.2012 http://www.amerikiskhma.com/content/_chataev_kadirov_chaechnia/1504789.html [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

საქართველოს შს სამინისტროს მიერ 2012 წლის 8 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული იქნა უკანონო შეიარაღებული ჯგუფის ერთ—ერთი წევრი, ახმედ ჩატაევი (იგივე დავიდ მაიერი) და წარედგინა ბრალი საქართველოს სს კოდექსის 236—ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე); თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა, დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო დავიდ მაიერის მიმართ ბრალზე უარის თქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე #1/3955—12(089071012001). გათავისუფლების შემდგომ, ახმედ ჩატაევმა დატოვა საქართველო, იგი გაემგზავრა ავსტრიაში ოჯახთან ერთად. იხ. ასევე, „უკანონო შეზღუდვა — ახმედ ჩატაევის მუდღეს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის უფლებას არ აძლევენ“, „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“, 02.07.2013, <http://www.ick.ge/articles/14847-2013-07-02-08-34-43.html> [ბოლოს ნანახია 16.11.2014].

სადაც შეტაკება მოხდა. ამირიძის განცხადებით, ე.წ. „მომლაპარაკებლების“ მისვლის შემდეგ სიტუაცია დაიძაბა და ა.ამირიძე და ზ.მაისურაძე გამოეპარნენ შეიარაღებული ჯგუფის წევრებს; მათ უკან გამოჰყვათ ზ. ხანგოშვილიც, ხოლო, ა.ჩატაევი ჯგუფთან დარჩა. ამირიძის განცხადებით, ის ამის შემდეგ დაბრუნდა სოფელ ლაფანყურში და მოვლენების განვითარების და ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

ა.ამირიძე ახსნა—განმარტებაში ამბობს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებიდან მის დათხოვნამდე (2013 წლის 15 აპრილი), არ დაწყებულა შიდა მოკვლევა ან გამოძიება იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ როგორ შემოვიდნენ აღნიშნული უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები საქართველოში. მისთვის ასევე უცნობია, თუ როდის და რა გზით დატოვეს საქართველოს ტერიტორია დაჯგუფების ცოცხლად გადარჩენილმა წევრებმა⁸². ამირიძე ამბობს, რომ მან მიიღო გარდაცვლილთა ამოცნობაში მონაწილეობა. შეამოწმეს საქართველოს შს სამინისტროს მონაცემთა ბაზებიც. ჯგუფის რამდენიმე წევრზე არ არსებობდა არანაირი მონაცემი. მისი აზრით, დაღესტნელები მთით გადმოვიდნენ და ლოპოტას ხეობაში შეხვდნენ დანარჩენებს. რამდენიმე (უცხო ქვეყნის მოქალაქე: ავსტრიის და რუსეთის) — ოფიციალურად იყო შემოსული საქართველოს ტერიტორიაზე 2 კვირით ადრე⁸³. ვერ დაადგინეს, როგორ შემოვიდა საქართველოში ჯგუფის რამდენიმე წევრი. ამირიძე ამტკიცებს, რომ შეიარაღებულ დაჯგუფებაში იყო რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების 2 აგენტი — ერთი დაღესტნელი, მეორე — ჩეჩენი ეროვნების. ის ამბობს, რომ სწორედ ეს ადამიანები გადასცემდნენ ინფორმაციას რუსეთში, მათ წააქებეს დანარჩენი წევრები, შეკრიბეს ისინი და წაიყვანეს ხეობაში. ა. ამირიძე ამტკიცებს, რომ ორივე ეს პირი გარდაცვლილებში არიან⁸⁴.

ბელიშხან ხანგოშვილმა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ შეიარაღებული ჯგუფის წევრებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ერთ—ერთი პირია, მართალია საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს ახსნა—განმარტება არ მისცა, მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა „კვირის პალიტრაში“

82 აღნიშნულის საწინააღმდეგოდ შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების ნათესავები, მერაბ მარგოშვილი და ასლაუდინ დუაკალაევი ამტკიცებენ, რომ ცხედრების გადმოცემისათვის შს სამინისტროს შენობაში მისულებს, ა. ამირიძემ და ზ. მაისურაძემ უთხრეს, თუკი ჰქონდათ ინფორმაცია ჯგუფის გადარჩენილი წევრების შესახებ და იცოდნენ მათი ადგილსამყოფელი, მათთვის ეცნობებინათ და ისინი დაეხმარებოდნენ უსაფრთხოდ დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია; იხ. დანართები 5 და 6.

83 ამ ინფორმაციისგან განსხვავებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მონოდებული მონაცემები, რომლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორია ოფიციალურად დატოვებული ჰქონდა ჯგუფის ყველა იმ გარდაცვლილ წევრს, რომლებიც ოფიციალურად იმყოფებოდნენ საქართველოში 2012 წლის განმავლობაში, საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

84 იხ. დანართი 2, ალექსანდრე ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა—განმარტება. თუმცა, განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება მედია საშუალებებით, იხ. „ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ჩეჩნურ საზოგადოებას ახალი კითხვები აქვს“, „ფრონტნიუსი“, 18.11.2014, <http://frontnews.ge/ge/news/61429> [ბოლოს ნანახია 18.11.2014].

2013 წლის 26 აგვისტოს⁸⁵. ვინაიდან, იგი ასევე არის ერთ—ერთი თვითმხილველი, რომელმაც მოვლენების შესახებ ინფორმაცია ღიად დააფიქსირა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მის აქ წარმოდგენას.

გელიმხან ხანგოშვილის განცხადებით, ის და ახმედ ჩატაევი უკანონო შეიარაღებულ ჯგუფთან მოსალაპარაკებლად საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლებმა გააგზავნეს. ის ამბობს, რომ ახმედ ჩატაევი მოსალაპარაკებლად უშუალოდ მისი თხოვნით წავიდა. მისივე თქმით, ა.ჩატაევე საქართველოს ხელისუფლებამ არჩევანი იმიტომ შეაჩერა, რომ იგი ჩეჩნეთის ომის ცნობილი მეგრძოლია და ჩეჩნები პატივს სცემენ; ხოლო, იმ დროს უკვე ცნობილი იყო, რომ ლოპოტას ხეობაში მყოფ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრებში ჩეჩნებიც იყვნენ⁸⁶.

ზ.ხანგოშვილი აცხადებს, რომ ადგილზე მისულმა პირადად სულ დაჯგუფების 5—6 წევრი ნახა, რომელთაგან ამოიცნო სურხო დუდაევი, ინგუში ასლანი, რომელიც, ზ.ხანგოშვილის აზრით, ლიდერობას ჩემულობდა და აბუ ჰამზა. ზ.ხანგოშვილის განცხადებით, შს სამინისტრომ მოლაპარაკებებისთვის მხოლოდ 20 წუთი მისცათ, თუმცა ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის. საუბრისას სიტუაცია დაიძაბა, რადგან შეიარაღებულ ჯგუფის წევრებთან იარაღის დაყრაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს; ა. ამირიძემ და ზ. მაისურაძემ დატოვეს მოლაპარაკებების ადგილი, ხოლო მოგვიანებით მათ თვითონაც გამოჰყვა. მისი განცხადებით, ახმედ ჩატაევი შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა არ გამოუშვეს. ხანგოშვილის განცხადებით, ახმედ ჩატაევმა რამდენიმე დღე ითხოვა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ დაეთანხმებინა შეიარაღებული ჯგუფის წევრები მათ პირობებზე, თუმცა ამაზე საქართველოს ხელისუფლებისგან უარი მიიღო⁸⁷.

სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველისა და საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა, გარდა შემთხვევის ადგილზე ვიზიტის დროს ნანახისა, რომელზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველისა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებისათვის მოწოდებული ინფორმაცია 2012 წლის აგვისტომდე პანკისის ხეობასა და სოფელ ლაფანყურში მოვლენების განვითარების შესახებ, რომელზეც არაერთი ადგილობრივი მცხოვრები საუბრობს, მათ შორის შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების მშობლები და ნათესავები.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრების

85 იხ. „ნიღბიანი უცნობი, ანუ კიდევ რა საიდუმლოს მალავს ლაფანყური, „კვირის პალიტრა“, 26.08.2013 <http://www.kvirispalitra.ge/versia/18441-nighbiani-ucnobi-anu-kidev-ra-saidumlos-malavs-lafanyuri.html> [ბოლოს ნანახია 10.11.2014]; იხ. ასევე, „ლოპოტას ხეობის შუამავლის თქმით, ჯგუფის წევრებს რუსებთან ჰქონდათ კავშირი“, „ნიუპოსტი“ 18.06.2013, <http://www.newposts.ge/?id=14485> [ბოლოს ნანახია 10.11.2014].

86 იხ. დანართი 11, გელიმხან ხანგოშვილის მიერ მედიისთვის მიცემული ინტერვიუები.

87 იხ. „ნიღბიანი უცნობი, ანუ კიდევ რა საიდუმლოს მალავს ლაფანყური, „კვირის პალიტრა“, 26.08.2013 <http://www.kvirispalitra.ge/versia/18441-nighbiani-ucnobi-anu-kidev-ra-saidumlos-malavs-lafanyuri.html> [ბოლოს ნანახია 10.11.2014]; იხ. ასევე, „ლოპოტას ხეობის შუამავლის თქმით, ჯგუფის წევრებს რუსებთან ჰქონდათ კავშირი“, „ნიუპოსტი“ 18.06.2013, <http://www.newposts.ge/?id=14485> [ბოლოს ნანახია 10.11.2014].

მიერ გამოკითხულ პირთა ნაწილი, ამბობს, რომ 2012 წლის ზაფხულში შეინიშნებოდა პანკისის ხეობაში ევროპიდან ჩამოსული ჩეჩენი ახალგაზრდების სიმრავლე.

სოფელ ლაფანყურის მკვიდრის, ტატო ღაღოლიშვილის განმარტებით, სოფლის რამდენიმე მცხოვრებმა 2012 წლის 28 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე სოფელში დაინახა შეიარაღებული ადამიანები, კერძოდ, სოფელ ლაფანყურში მცხოვრებმა სალომე კარატიელმა, 2012 წლის 20 აგვისტოს სოფლიდან დაახლოებით 2 კმ—ში, დაინახა მწვანე ჯიპი, რომელშიც ისხდნენ წვერებიანი, ფორმიანი მეზრძოლები და როგორც შემდგომში ამოიციო, ერთ—ერთი იყო ბაჰაუდინ ბალაკაშვილი; ასევე, სოფლის მცხოვრებმა ემზარ ჟულაკაშვილმა სპეცოპერაციამდე პერიოდში ორჯერ დაინახა, როგორ შევიდა სოფლის შემოვლითი გზით ხეობაში მწვანე ჯიპი, თუმცა, ვინ იჯდა მანქანაში, არ დაუნახავს⁸⁸. სოფელ ლაფანყურში 2012 წლის აგვისტომდე დაახლოებით ორი თვის განმავლობაში პიკაპებით წვერებიანი, თავგადაპარსული პირების გადაადგილებაზე საუბრობენ „ნეტგაზეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუებში ადგილობრივი მაცხოვრებლები⁸⁹.

2012 წლის ზაფხულში, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ახალგაზრდების მომრავლებაზე საუბრობენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის მიცემულ ახსნა—განმარტებებში გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის და ბაჰაუდინ ქავთარაშვილის მამები — მერაბ მარგოშვილი და ასლაუდინ ღუაკალავეი.

მერაბ მარგოშვილის განმარტებით, 2012 წლის ზაფხულში პანკისის ხეობაში შეინიშნებოდა ჩეჩენი ეროვნების პირების მოჭარბებული სიმრავლე. ისინი ჩამოსულები იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. მერაბ მარგოშვილის ინფორმაციით, აღნიშნული პირები ცხოვრობდნენ თბილისში, დაქირავებულ ბინებში. ბინები მათთვის დაქირავებული ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სპეცოპერაციის ჩატარებამდე აღნიშნული პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ჯიპებით გადაიყვანეს ლაფანყურში. აღნიშნულის შესახებ, მერაბ მარგოშვილის განმარტებით, ერთ—ერთი ცოცხლად გადარჩენილი პირი მოუყვა ერთ—ერთი გარდაცვლილის, სალამ ზაურბეკოვის დედას. მერაბ მარგოშვილი ასევე განმარტავდა, რომ მისი ინფორმაციით, ჯგუფი, რომელშიც იყო მისი შვილი, ასლან მარგოშვილი, წვრთნას გადიოდა შავნაბადას ბაზაზე. მისი ინსტრუქტორი იყო სპეც ოპერაციის დროს გარდაცვლილი სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი⁹⁰.

ზურაბ ბალაკაშვილის განმარტებით, 2012 წლის აგვისტოში, ლაფანყურში სპეცოპერაციის ჩატარებამდე, სოფელ ღუისში შეინიშნებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჩეჩენი ახალგაზრდების სიმრავლე. ასეთი რაოდენობით ისინი წინა წლებში არ ჩასულან სოფელში. ზურაბ ბალაკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, ეს პირები ლაფანყურის ტერიტორიაზე პიკაპის ტიპის მანქანებით ჩაიყვანეს. ის ფიქრობს, რომ 2012 წლის ზაფხულში ჩეჩენი ეროვნების ახალგაზრდები ევროპიდან რაიმე დაჯგუფებაში მონაწილეობის მიზნით

88 იხ. დანართი 1, ტატო ღაღოლიშვილის ახსნა—განმარტება, 2013 წლის 17 აპრილი.

89 იხ. „რატომ აეჭვებთ ლაფანყურელებს სპეცოპერაციის შესახებ ოფიციალური ვერსია“, „ნეტგაზეთი“, 30.08.2012 <http://netgazeti.ge/GE/105/law/12463/> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

90 იხ. დანართი 5, მერაბ მარგოშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა—განმარტება.

ჩამოვიდნენ. მოგვიანებით, მათი ნაწილი იმავე ზაფხულს წავიდა საქართველოდან⁹¹.

ასლაუდინ დუაკალაევის განმარტებით, მისი შვილის — ბაჰაუდინ ქავთარაშვილის დაკრძალვიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ თანასოფელელმა უთხრა, რომ სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე მან დაინახა, თუ როგორ წაიყვანეს პოლიციის მანქანით ლაფანყურის მიმართულებით მისი შვილი და ინციდენტის სხვა მონაწილეები⁹².

სამოგადოებრივი საბჭოს წევრების მიერ გამოკითხული გარდაცვლილ პირთა ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სურდათ გარდაცვლილები მალულად, გაუხმაურებლად დაეკრძალათ.

მერაბ მარგოშვილის, ასლაუდინ დუაკალაევის და ზურაბ ბაღაკაშვილის ახსნა-განმარტებებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის — გელიმხან ხანგოშვილის დახმარებით ისინი ცხედრების გადმოსასვენებლად წავიდნენ თბილისში. ორთაჭალაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მათ შეხვდათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსი ალექსანდრე ამირიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს — გიორგი ლორთქიფანიძე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი, რომლის ვინაობა მათ არ იციან. ასლაუდინ დუაკალაევი განმარტავს, რომ გიორგი ლორთქიფანიძემ მათ უთხრა, რომ მომხდარი ქართული მხარის ბრალი არ ყოფილა. მათ ეგონათ, რომ ბიჭები დაუჯერებდნენ და იმ შემთხვევაში, თუ იარაღს დაყრიდნენ, დერეფნის მეშვეობით საზღვარგარეთ გაყვანას პირდებოდნენ, თუმცა ჯგუფის წევრებმა არ დაუჯერეს. ზურაბ ბაღაკაშვილის განმარტებით, ალექსანდრე ამირიძემ მათთან შეხვედრისას თქვა, რომ იგი არ მოელოდა ამ პირებისგან წინააღმდეგობის გაწევას⁹³.

როგორც ასლაუდინ დუაკალაევი, ისე მერაბ მარგოშვილი და ზურაბ ბაღაკაშვილი აცხადებენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მოთხოვნა იყო, რომ ცხედრებს მხოლოდ იმ პირობით გადასცემდნენ, თუ მათ იმავე ღამეს დაკრძალავდნენ, ჭირისუფლების მონაწილეობის და სამძიმრის გარეშე, არ გაახმაურებდნენ არც სოფელში და არც ოჯახებში ცხედრების ჩასვენების ამბავს⁹⁴. ამ ინფორმაციას ადასტურებს „კვირის პალიტრისთვის“ 2013 წლის 26 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში გელიმხან ხანგოშვილიც⁹⁵.

ამასთან, ასლაუდინ დუაკალაევის, მერაბ მარგოშვილის და ზურაბ ბაღაკაშვილის განცხადებებით, სამინისტროში შეხვედრისას ა. ამირიძემ მათ უთხრა, რომ ინციდენტის დროს

91 იხ. დანართი 7, ზურაბ ბაღაკაშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტება.

92 იხ. დანართი 6, ასლაუდინ დუაკალაევის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტება.

93 იხ. დანართი 7, ზურაბ ბაღაკაშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტება.

94 იხ. დანართები 5, 6 და 7, მერაბ მარგოშვილის, ასლაუდინ დუაკალაევის და ზურაბ ბაღაკაშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა-განმარტებები.

95 „ნიღბიანი უცნობი, ანუ კიდევ რა საიდუმლოს მალავს ლაფანყური, „კვირის პალიტრა“, 26.08.2013 <http://www.kvirispalitra.ge/versia/18441-nighbiani-ucnobi-anu-kidev-ra-saidumlos-malavs-lafanyuri.html> [ბოლოს ნანახია 10.11.2014].

შეიარაღებული ჯგუფის ყველა წევრი არ გარდაცვლილა, იყვნენ ცოცხლად გადარჩენილები, რომლებიც გაიქცნენ და თუ რომელიმე მათგანი მათთან მივიდოდა, გაეგზავნათ ამირიქესთან და ის დაეხმარებოდა საქართველოს ტერიტორიის დატოვებაში⁹⁶.

საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს გარდაცვლილი თანამშრომლების ოჯახის წევრებიც საუბრობენ, რომ მათ სამართალდამცავების მხრიდან ფაქტობრივად აკრძალული ჰქონდათ კონტაქტი ჟურნალისტებთან და მომხდარის შესახებ საუბარი.

ა.ჩოხელის მამის განმარტებით, ის და მისი ოჯახის წევრები იმავე დღეს გააფრთხილეს სამართალდამცავებმა, რომ ჟურნალისტებისთვის ინტერვიუ არ მიეცათ. ოჯახის წევრების განცხადებით, ა. ჩოხელის გარდაცვალების შემდეგ სოფელში და მათი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მუდმივად იმყოფებოდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები⁹⁷.

ჟურნალისტი ზვიად თხელიძე სამოგადოებრივი საბჭოს წევრებისათვის მიცემულ ახსნა—განმარტებაში აცხადებს, რომ 30 აგვისტოს სოლომონ წიკლაურის ოჯახის წევრებმა ჟურნალისტ ნანა ლეჟავას ჯერ თანხმობა განუცხადეს ინტერვიუს მიცემაზე, მაგრამ ვიდრე ოპერატორი სახლში ავიდოდა, გარდაცვლილის ძმამ სთხოვა ჟურნალისტს, რომ მათი სახლი დაეტოვებინათ⁹⁸.

არჩილ ჩოხელის, ისევე როგორც ვლადიმერ ხვედელიძის ოჯახის წევრების განცხადებით, 2012 წლის 28 აგვისტომდე პერიოდში არაფერი განსაკუთრებული არ შეუნიშნავთ მათ ქცევაში. ორივე მათგანი 28 აგვისტოს ჩვეულებისამებრ წავიდა სამსახურში. როგორც ა.ჩოხელის, ასევე ვ. ხვედელიძის ახლობლების განმარტებით, არცერთი მათგანი სამსახურთან დაკავშირებულ დეტალებს ოჯახის წევრებს არ უყვებოდა. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გაიგეს, რომ ისინი სოფელ ლაფანყურთან მომხდარ სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ.

უკანონო შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილ წევრთა ოჯახის წევრების მსგავსად, ა.ჩოხელის და ვ.ხვედელიძის მშობლებისა და ნათესავებისთვის უცნობია მათი გარდაცვალების დეტალები. მათი განცხადებით, ბევრი კითხვა აქვთ ამ მოვლენებთან დაკავშირებით და ეჭვს ბადებს სამართალდამცავთა მოქმედებები.

ა.ჩოხელის დის — ხათუნა ჩოხელის განცხადებით, 2012 წლის 30 აგვისტოს აცნობეს ოჯახს, რომ მისი ძმის ცხედარი ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში იყო გადასვენებული. თუმცა, ხათუნა ჩოხელის ვაჟს — რატის, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში განუცხადეს, რომ არჩილ ჩოხელის შესახებ მათ ინფორმაცია არ გააჩნდათ⁹⁹. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცხედრებს სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებიათ. ამ ეტაპზე, საქართველოს სახალხო დამცველისათვის

96 იხ. დანართები 5, 6 და 7, მერაბ მარგოშვილის, ასლანდინ დუაკალავეის და ზურაბ ბაღაკაშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა—განმარტებები.

97 იხ. დანართი 3, ხათუნა ჩოხელის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა—განმარტება.

98 იხ. დანართი 9, ნანა ლეჟავას და ზვიად თხელიძის 2013 წლის 26 ნოემბერი ახსნა—განმარტებები.

99 იხ. დანართი 3, ხათუნა ჩოხელის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა—განმარტება.

უცნობია ჩატარდა თუ არა ა. ჩოხელის, ს. წიკლაურის და ვ. ხვედელიძის გვამის გარეგნული დათვალიერება¹⁰⁰.

ხათუნა ჩოხელი აცხადებს, რომ მის ძმას ეცვა დამცავი ჟილეტი და ტყვია ჰქონდა მოხვედრილი ფერდში იმ ადგილას, სადაც ჟილეტი იკვრება¹⁰¹. მცხეთის რაიონის სოფ. გაღავანში მცხოვრები ვაჟა დორეული, რომელიც არის გარდაცვლილი არჩილ ჩოხელის თანასოფელელი, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ იგი, არჩილ ჩოხელის ცხედრის სახლში მისვენების შემდეგ, სხვა თანასოფლელებთან ერთად დაეხმარა ექიმს ცხედრისათვის ტანსაცმლის გახდაში. სწორედ ამ დროს ექიმმა მათ აჩვენა გარდაცვლილის სხეულზე არსებული ნატყვიარი, რომელიც მდებარეობდა მარცხენა მხარეს, ფერდში, იმ ადგილას, სადაც ნეკნები მთავრდება. ნატყვიარის ზომა, ვაჟა დორეულის განმარტებით, დაახლოებით ცერა თითის ზომის შემავალ ჭრილობას წარმოადგენდა. სხვა დაზიანება მას არჩილ ჩოხელის სხეულზე არ შეუმჩნევია, მხოლოდ შესამჩნევი იყო სახეზე მარჯვენა მხარეს თვალის არეში არსებული ჩაღურჯება, რომელიც განსხვავდებოდა გვამის სიშავისგან. ექიმის თქმით, შესაძლოა, გარდაცვლილი ეგდო დაღმართ ადგილას, რის გამოც სისხლი წავიდა თავისკენ და ამან გამოიწვია ცხედრის გაშავება. ვაჟა დორეულის თქმით, მისი ინფორმაციით, ექიმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა მიყვანილი და არა ოჯახის წევრების¹⁰².

ვლადიმერ ხვედელიძის ოჯახის წევრებსაც აქვთ შეკითხვები სოფელ ლაფანყურში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. ვლადიმერ ხვედელიძის მშობლები — მურად (ზურაბ) ხვედელიძე და მაყვალა ხვედელიძე აცხადებენ, რომ როგორც ირკვევა, მათ შვილს არ ეცვა დამცავი ჟილეტი და ის მაშინ დაიღუპა, როდესაც დაჭრილი თანამებრძოლის გამოყვანას ცდილობდა. ვ. ხვედელიძის მშობლებმა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს გადასცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მათთვის გადაცემული დასკვნა ვ. ხვედელიძის გარდაცვალების შესახებ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და ინსპექტირების მთავარი სამმართველოს უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე მახათაძის 2012 წლის 31 აგვისტოს დასკვნით, 2012 წლის 28 აგვისტოს, მეთაურის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, ვლადიმერ ხვედელიძე, სასწავლო ცენტრის სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად იმყოფებოდა თელავის რაიონის ლოპოტას ხეობაში, სადაც საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოჭრილ, შეიარაღებულ პირთა ჯგუფის დასაკავებლად, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები ატარებდა ანტიტერორისტულ ოპერაციას. 2012 წლის 29 აგვისტოს, დაახლოებით 2 საათზე, სპეციალური ოპერაციების

100 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 20 ოქტომბერს, #04-12/12694 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჩატარდა თუ არა ა. ჩოხელის, ვ. ხვედელიძის და ს. წიკლაურის გვამების გარეგნული დათვალიერება, თუმცა, ამ წერილზე, წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის დასრულებამდე პასუხი არ მიგვიღია.

101 იხ. დანართი 3, ხათუნა ჩოხელის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა-განმარტება.

102 იხ. დანართი 4, ვაჟა დორეულის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა-განმარტება.

ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს შეიარაღებულ პირთა ჯგუფი, რომლებმაც ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს სამხედრო მოსამსახურეებს. ორმხრივი სროლების შედეგად დაიჭრა სპეციალური დანიშნულების ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე, კაპრალი ბ. ბ.. დაჭრილი სამხედრო მოსამსახურისათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად გაემართა სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრის ფერშალი, კაპრალი ვლადიმერ ხვედელიძე, რომელმაც მოწინააღმდეგის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი ჭურვების ზემოქმედებით მიიღო სიცოცხლისთვის შეუთავსებელი მრავლობითი დაზიანება. სამხედრო მოსამსახურეებმა მოახერხეს დაჭრილი ვლადიმერ ხვედელიძის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა და სამედიცინო დახმარების გაწევა, მაგრამ ამის მიუხედავად, მიღებული დაზიანებების შედეგად იგი გარდაიცვალა¹⁰³.

აღნიშნული დასკვნის საპირისპიროდ, ვლადიმერ ხვედელიძის მშობლები ადასტურებენ, რომ ვლადიმერ ხვედელიძის ცხედარს ჰქონდა ნაფხაჭნები სახეზე და მხოლოდ ერთი გამჭოლი ჭრილობა გულში, რომელიც თირკმლის მხარეს იყო გამოსული.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები 2013 წლის ნოემბერში იმყოფებოდნენ საგარეჯოს რაიონის სოფელ რუსიანში გარდაცვლილი სოლომონ წიკლაურის ოჯახის წევრებთან შესახვედრად. ადგილზე მისულებს სოლომონ წიკლაურის დედამ საუბარზე უარი განუცხადა. არჩილ ჩოხელის და — ხათუნა ჩოხელი ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, სოლომონ წიკლაური სნაიპერი იყო. მას თავში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი¹⁰⁴.

2014 წლის 20 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მომართა სოფელ დუისში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ — საიხან მუზაევმა, რომელიც აცხადებდა, რომ მას მზად ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტები დიდ ბრიტანეთში სასწავლო ვიზიტით გამგზავრებისათვის, თუმცა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, 2014 წლის 13 და 18 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების — სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, არ მისცეს შესაძლებლობა გადაეკვეთა საქართველოს საზღვარი. საიხან მუზაევის თქმით, ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ მან არ მისცა „საჭირო“ ჩვენება ყოფილი მაღალჩინოსნების (გია ლორთქიფანიძის და სანდრო [ალექსანდრე] ამირიძის) მიმართ, რომლებიც, თითქოს, არიან ლაფანყურის მოვლენების ორგანიზატორები. განმცხადებლის განმარტებით, უცნობმა პირებმა იგი დაიბარეს ე.წ. „მოდულის“ შენობაში და აიძულეს მიეცა ცრუ ჩვენება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ. განმცხადებლის განმარტებით, მსგავს ქმედებებს მისთვის უცხო პირების, ვინმე „გიორგის“ და „გენადის“ მხრიდან, არაერთხელ ჰქონდა ადგილი და ასევე, მის მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარას, რომ თუ არ ითანამშრომლებდა მათთან აღნიშნულ საკითხზე, მას და მისი ოჯახის წევრებს პრობლემები შეექმნებოდათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოქალაქე საიხან მუზაევმა ინფორმაცია გაავრცელა მედიის საშუალებითაც, კერძოდ, 2014 წლის 22 იანვარს გამართა პრესკონფერენცია, 2014 წლის 16 იანვარს კი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ზე,

103 საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და ინსპექტირების მთავარი სამმართველოს უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკის ალექსანდრე მახათაძის 2012 წლის 31 აგვისტოს დასკვნა.

104 იხ. დანართი 3, ხათუნა ჩოხელის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა-განმარტება.

გადაცემა „პოსტსკრიპტუმში“, აღნიშნულ თემას მიეძღვნა სიუჟეტი.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა გამოკითხეს საიხან მუზაევი 2014 წლის 14 თებერვალს. საიხან მუზაევის განცხადებით, იგი ცოლ—შვილთან ერთად საქართველოში 2011 წლიდან ცხოვრობს, 2012—2013 წლებში მუშაობდა არაბული ენის თარჯიმნად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში. ახსნა—განმარტებაში ს. მუზაევმა დაადასტურა, რომ 2013 წლის ოქტომბრიდან განიცდის ზეწოლას საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის თანამშრომლები მხრიდან, კერძოდ, ასახელებს ვალერი ზუმბაძეს (ამბობს, ზუსტად არ იცის, მაგრამ მისი ინფორმაციით, არის გამომძიებელი, რომელიც მას ემუქრებოდა), გენადი მაისურაძეს, ასევე, გამომძიებელ გიორგი გიორგაძეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 05 მარტის №13/13394 წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე, 2012 წლის აგვისტოს ბოლოს, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის ტერიტორიაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ პირთა ჯგუფის მიერ ლევან ხუცურაულის და სხვათა მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, 2013 წლის 12 ოქტომბრიდან 2014 წლის 07 თებერვლის პერიოდში, კანონით დადგენილი წესით (უწყებით და ზეპირსიტყვიერად) ხუთჯერ გამოძახებული იქნა საიხან მუზაევი და დაიკითხა მოწმის სახით. საგამოძიებო მოქმედებების მსვლელობისას, მათ შორის ბოლო დაკითხვის დროს, რაიმე ზემოქმედების ანდა იძულების თაობაზე საიხან მუზაევის მიერ განცხადებები (შენიშვნები) არ დაფიქსირებულა და აღნიშნულის შესახებ მუზაევს სამართალდამცვი ორგანოებისთვის არ მიუმართავს.

საქართველოს სახალხო დამცველმა საიხან მუზაევის მიმოსვლის თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით 2014 წლის 6 მაისს №04—12/6995 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს; ასევე, საიხან მუზაევის განცხადებაში დაფიქსირებულ ფაქტებზე გამოძიების დაწყების სავალდებულობის თაობაზე 2014 წლის 6 მაისს №04—6/6994 წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. თუმცა, აპარატს პასუხი აღნიშნული უწყებებიდან დღემდე არ მიუღია.

ბოლოთქმა

საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობის შედეგად, წინამდებარე ანგარიშში თავმოყრილია 2012 წლის 26 აგვისტოდან სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების აღწერა, სხვადასხვა, პირდაპირ თუ ირიბ წყაროებზე დაყრდნობით.

როგორც შესავალში აღინიშნა, საბჭოს მიზანს არ წარმოადგენს საქართველოს საგამოძიებო უწყებების მიღმა, ალტერნატიული გამოძიების წარმოება. შესაბამისად, ანგარიშში არ არის შემოთავაზებული სოფელ ლაფანყურში მოვლენების განვითარების ესა თუ ის ვერსია ან/

და დასკვნები. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველს არ მიეწოდა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საქართველოს შს სამინისტროდან პასუხები მთელ რიგ შეკითხვებზე, სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის საფუძველით. ამ გარემოებებზე ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, საზოგადოებრივი საბჭო შეძლებდა მეტი სიზუსტით გამოეკვლია მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები ან/და გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე ანგარიშში არ არის განხილული სოფელ ლაფანყურში განვითარებული მოვლენები გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ (სამხედრო-პოლიტიკურ) კონტექსტში, რაც საბჭოს ამრით, საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების კომპეტენციაა და მათი მხრიდან უნდა იყოს შესწავლის და ანალიზის საგანი.

შესაბამისად, ანგარიშში მოცემულ, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივმა საბჭომ გამოკვეთა საკითხები, რაზეც საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა პასუხი უნდა გასცენ. საზოგადოებრივი საბჭოს ამრით, ამ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აუცილებელია როგორც 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. კერძოდ,

1. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდნენ.

2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები აცხადებდნენ, რომ რუსეთიდან საქართველოში ფარულად გადმოსული იყო დივერსიული ჯგუფი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტები უნდა განეხორციელებინა¹⁰⁵. იგივე ინფორმაცია ვრცელდებოდა მომდევნო დღეებშიც, საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ, მაშინ როცა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, სავარაუდოდ უკვე ცნობილი იყო, რომ ჯგუფის წევრების მიზანი ჩრდილო კავკასიაში გადასვლა იყო¹⁰⁶. ამასთან, მაგალითად, გარდაცვლილ ბაჰაუდინ ბააკაშვილს საქართველო ოფიციალურად არასოდეს დაუტოვებია და ის სახლიდან სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე წავიდა¹⁰⁷, რაც გამორიცხავს ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში მის შემოსვლას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა მიზანს ემსახურებოდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არაერთი დღის განმავლობაში საზოგადოებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

¹⁰⁵ იხ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, ტელეკომპანია მაესტრო, 29.08.2012, <http://www.youtube.com/watch?v=OpF6VNUKZos> [ბოლოს ნანახია 08.11.2014]; იხ. ასევე, „ლოპოტის სპეცოპერაციისა და ივანიშვილის ულტიმატუმის კვირა“, „რადიო თავისუფლება“ 02.09.2012, <http://www.radiotavisupleba.ge/content/week-in-georgia/24695443.html> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

¹⁰⁶ იხ. დანართი 2, ალექსანდრე ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა–განმარტება; იხ. ასევე დანართი 11, ზელიმხან ხანგოშვილის ინტერვიუები მედიასთან.

¹⁰⁷ იხ. ზემოთ, თავი 3 (ი), ინფორმაცია 2012 წლის 28–29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა შესახებ.

სოფელ ლაფანყურის მკვიდრის, ტატო ლაღოლიშვილის ახსნა—განმარტებით ნათელი ხდება, რომ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები სოფელ ლაფანყურის მხრიდან ჩრდილოეთის საზღვრისკენ გადაადგილდებოდნენ და ამ მიმართულებით მიმავალ ბილიკს მიუყვებოდნენ. მისივე განცხადებით, მისი და მისი მეგობრების დაკავების შემდეგ, ანუ 26—28 აგვისტოს შორის პერიოდში ჯგუფმა მხოლოდ მცირე მანძილი გაიარა¹⁰⁸.

იმის გათვალისწინებით, რომ სოფელ ლაფანყურიდან სპეცოპერაციის ჩატარების ადგილამდე დაახლოებით 20 კმ—ია, ხოლო, არსებული ინფორმაციით, ჯგუფის წევრების ურყევი განზრახვა ჩრდილო კავკასიაში გადასვლა იყო, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რამ დააყოვნა ისინი მინიმუმ ორი დღის განმავლობაში გზაზე, რომლის გავლა გაცილებით მცირე დროშია შესაძლებელი. ამასთან, ტატო ლაღოლიშვილის განცხადებით, 27 აგვისტოს ჯგუფს ფაქტიურად არ გაუვლია 300—400 მეტრზე მეტი; ხოლო, 26—27 აგვისტოს მთელი ღამის განმავლობაში ჯგუფი ისვენებდა¹⁰⁹.

2. უცნობია როდის და როგორ მოხდნენ საქართველოში უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები და როგორ დატოვეს (ან დატოვეს თუ არა) ჯგუფის გადარჩენილმა წევრებმა საქართველოს ტერიტორია.

სამოგადოებრივი საბჭოს წევრების მიერ გამოკითხულ თვითმხილველთა განცხადებით, უკანონო შეიარაღებული ჯგუფი 17 წევრისგან შედგებოდა¹¹⁰. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონზე მითითებით¹¹¹, უარი განაცხადა ოფიციალურად მიეწოდებინა საქართველოს სახალხო დამცველისათვის ინფორმაცია იმის შესახებ, გამოძიების მიერ დადგენილია თუ არა ჯგუფის წევრების რაოდენობა და ვინაობა, როგორ შემოვიდნენ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე და როგორ დატოვეს ჯგუფის გადარჩენილმა წევრებმა საქართველო¹¹².

შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების — ასლან მარგოშვილის, ბაჰაუდინ ქავთარაშვილის და ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ოჯახის წევრების და ახლობლების ახსნა—განმარტებების მიხედვით, საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლებმა, ალექსანდრე ამირიძემ და გიორგი ლორთქიფანიძემ მათ უთხრეს, რომ თუკი ჰქონდათ ინფორმაცია ჯგუფის გადარჩენილი წევრების შესახებ, ან/და იცოდნენ მათი ადგილსამყოფელი, ეცნობებინათ მათთვის და ისინი დაეხმარებოდნენ საქართველოს ტერიტორიის უსაფრთხოდ დატოვებაში¹¹³.

108 იხ. დანართი 1, ტატო ლაღოლიშვილის ახსნა—განმარტება.

109 იხ. დანართი 1, ტატო ლაღოლიშვილის ახსნა—განმარტება.

110 იხ. დანართები 1 და 2, ალექსანდრე ამირიძის და ტატო ლაღოლიშვილის ახსნა—განმარტებები.

111 „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს „გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზეც მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.“

112 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 27 ოქტომბრის #2143786 წერილი.

113 იხ. დანართები 5, 6 და 7, მერაბ მარგოშვილის, ასლაუდინ დუაკალაევის და ზურაბ ბალაკაშვილის ახსნა—განმარტებები.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შს სამინისტრომ გაასაჯაროვა ჯგუფის გარდაცვლილი წევრების ვინაობა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოფიციალურად გამოითხოვა ინფორმაცია, ჰქონდათ თუ არა ამ პირებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი 2010–2012 წლებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების გარდაცვლილ წევრებს – ასლან მარგოშვილს, დუკვახა დოშუევს, ბაჰაუდინ ბალაკაშვილს, სალამ ზაურბეგოვს და ჯაბრაილ ხაშიევს უდასტურდებათ საქართველოს საზღვრის კვეთა, თუმცა, ამ მონაცემების მიხედვით, 2012 წლის 26–28 აგვისტოს პერიოდში არცერთი მათგანი ოფიციალურად არ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არასოდეს გადაუკვეთავს მუსა ადუევს, ხოლო, ბაჰაუდინ ქავთარაშვილს, რომელიც სოფელ დუისის მკვიდრი იყო, არასოდეს დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია¹¹⁴.

განსხვავებულია წინამდებარე ანგარიშში მოცემული, სხვადასხვა წყაროებით მოპოვებული ინფორმაცია ასლან მარგოშვილის, ბაჰაუდინ ბალაკაშვილის და სალამ ზაურბეგოვის ადგილსამყოფელის შესახებ 2012 წლის 26–28 აგვისტოს პერიოდში. ხოლო ასლან მარგოშვილის მამა, მერაბ მარგოშვილი აცხადებდა, რომ საქართველოს შს სამინისტრომ განზრახ გაანადგურა მონაცემები, მისი შვილის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შესახებ¹¹⁵. უფრო მეტიც, საქართველოს სახალხო დამცველს ასლან მარგოშვილის ოჯახის წევრებმა გადასცეს ასლან მარგოშვილზე, საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2012 წლის 23 ივლისს, 10:37:55 საათზე გაცემული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ნებართვა¹¹⁶. (იარაღის) რეგისტრაციის თარიღია — 13.07.2012 წელი. კანონმდებლობის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ნებართვის თაობაზე განცხადებით პირმა უნდა მიმართოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. დისტანციურ მომსახურების სერვისი გათვალისწინებული არ არის“¹¹⁷. რადგან ასლან მარგოშვილზე ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ნებართვა 2012 წლის 23 ივლისს გაიცა, მას სააგენტოსთვის იარაღის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადებით პირადად (და არა დისტანციურად) უნდა მიემართა, ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ასლან მარგოშვილმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა (გასვლა) 2011 წლის 15 სექტემბერს და ამის შემდეგ მისი შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება.

საქართველოს შს სამინისტროს ანტიტერორისტული დეპარტამენტის პირველი სამმართველოს იმჟამინდელმა უფროსმა, ალექსანდრე ამირიძემ საქართველოს სახალხო დამცველისათვის

114 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 21 ოქტომბრის წერილი #2094482.

115 იხ. დანართი 5.

116 იხ. ასევე, გადაცემა, „კვირის რეპორტაჟი“, 21.10.2012 <http://www.youtube.com/watch?v=A4RtejuGo1M> (05:45 საათი), [ბოლოს ნანახია 16.11.2014].

117 საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, <http://sagency.ge/index.php?m=372> [ბოლოს ნანახია 16.11.2014].

მიცემულ ახსნა—განმარტებაში¹¹⁸ დაადასტურა, რომ 2012 წლის 28—29 აგვისტოს სპეცოპერაციის შემდეგ, მისი შს სამინისტროდან დათხოვნამდე (ანუ 2013 წლის 15 აპრილი) არ დაწყებულა მოკვლევა ან/და არ დამდგარა ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი, იმ ფაქტის გამო, რომ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები მოხვდნენ და გადაადგილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 3 ივლისის №1267439 წერილი, რომლის მიხედვით, 2012 წლის 28—29 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში, დაბა ლაფანყურთან მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით შსს გენერალურ ნსპექციაში არ ჩატარებულა სამსახურებრივი შემოწმება სამინისტროს მოსამსახურეთა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე.

შესაბამისად, ჩნდება ლეგიტიმური კითხვები, თუ როგორ და როდის მოხვდნენ დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დაჯგუფების წევრები საქართველოს ტერიტორიაზე; როდის და როგორ (ვისი დახმარებით) დატოვეს (ან დატოვეს თუ არა) მათ საქართველო. წინამდებარე ანგარიშში მოყვანილ, თვითმხილველთა ახსნა—განმარტებების მიხედვით, უკანონო შეიარაღებული ჯგუფი 17 წევრისგან შედგებოდა, რომელთაგან (თუკი, საქართველოს შს სამინისტროს ამჟამინდელ ვერსიას გავიზიარებთ) 10 პირი ცოცხალი გადარჩა სპეცოპერაციის შემდეგ, თუმცა, ოფიციალური ვერსიით, არცერთი მათგანი საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს არ დაუკავებიათ. ასევე, შესასწავლილია იმ თანამდებობის პირთა ბრალეულობის საკითხი, ვინც შესაბამის სახელმწიფო უწყებებში პასუხისმგებელი იყო აღეკვეთა მსგავსი შემთხვევა.

3. რატომ განსხვავდება უკანონო შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების რაოდენობის შესახებ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია (11 პირის შესახებ) ამჟამად არსებული მონაცემებისგან (7 პირი).

2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების¹¹⁹ თანახმად, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებული იქნა შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი. 2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების მიხედვით, შეიარაღებული ჯგუფის 11 წევრის გვამი იქნა ნაპოვნი¹²⁰. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 3 სექტემბრის განცხადებით¹²¹, ცხედრების ექსპერტიზის, დათვალიერებისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 11 ლიკვიდირებული პირიდან შესაძლებელი გახდა 7 ცხედრის ვინაობის დაზუსტება.

ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული განცხადებების

118 იხ. დანართი 2.

119 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 29.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/3997> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

120 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 30.08.2012, <http://police.ge/ge/gantskhadeba/4001> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

121 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, <http://police.ge/ge/gantskhadeba/4007>

თანახმად, სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა 11 პირი, რომელთაგან მხოლოდ 7-ის იდენტიფიცირება მოხერხდა.

შეიარაღებული ჯგუფის წევრთა ზუსტ რაოდენობასთან დაკავშირებით, 2014 წლის 6 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №1512646 წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სისხლის სამართლის №043300812001 საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლის 28 აგვისტოს, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურის ტერიტორიაზე მდინარე ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაიცვალა უკანონო შეიარაღებული ჯგუფის 7 წევრი: ასლან მარგოშვილი, ბაჰაუდინ ბალაგაშვილი, სალამ ზაურბეკოვი, ბაჰაუდინ ქავთარაშვილი, ჯაბრაილ ხაშიევი, დუკვახა დოშუევი და მუსა ადუევი. საქართველოს შს სამინისტროს წერილში აღნიშნულია, რომ თავდაპირველ და ამჟამად არსებულ მონაცემებს შორის სხვაობა, გარდაცვლილ პირთა შესახებ, ასევე წარმოადგენს გამოძიების საგანს.

საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გაასაჯაროონ, თუ რამ განაპირობა ოფიციალურ მონაცემებში მსგავსი სხვაობის არსებობა, ხოლო, არასწორი ინფორმაციის გავრცელების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს, რა წარმოადგენდა, საქართველოს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან არასწორი ინფორმაციის გავრცელების მიზანს.

4. რატომ ასაიდუმლოებდა საქართველოს ხელისუფლება უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრებს შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნის ფაქტს.

საქართველოს ხელისუფლება არაერთი დღის განმავლობაში, ოფიციალურად უარყოფდა იმ ფაქტს, რომ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებაში იყვნენ საქართველოს მოქალაქეებიც, მაშინ როცა, 28 აგვისტოს მათთვის საგარაუდოდ უკვე ცნობილი იყო ამ ჯგუფში საქართველოს მოქალაქეების ყოფნის შესახებ¹²²; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავდაპირველად არც სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნის ფაქტს აღიარებდა.¹²³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მხოლოდ 2012 წლის 3 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში დადასტურდა, რომ სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა შორის იყო საქართველოს 2 მოქალაქე.

საქართველოს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები, უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრების მიერ დატყვევებულ ლაფანყურის მკვიდრთ უკრძალავდნენ მათთვის ცნობილი ფაქტების გახმაურებას; სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა ნათესავებს ასევე ეკრძალებოდათ მომხდარის შესახებ საუბარი.

უკანონო შეიარაღებული ჯგუფის მიერ 2012 წლის 26 მაისს დატყვევებულმა პირებმა, ტატო ლაღოლიშვილის გარდა, საქართველოს სახალხო დამცველისა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს უარი განუცხადეს ახსნა-განმარტების მიცემაზე. როგორც ცნობილია, 2012 წლის

122 იხ. დანართი 2, ალექსანდრე ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა-განმარტება; ასევე, იხ. დანართი 11, ზელიმხან ხანგოშვილის ინტერვიუები.

123 იხ. „შსს აცხადებს, რომ სპეცოპერაციის დროს მოკლულები საქართველოს მოქალაქეები არ არიან“, „ნეტგაზეთი“, 01.09.2012 <http://netgazeti.ge/GE/105/law/12505/> [ბოლოს ნანახია 14.11.2014].

28 აგვისტოს ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, 30 აგვისტომდე, ისინი ჯერ სასაზღვრო შტაბში, ხოლო შემდეგ საქართველოს შს სამინისტროს კახეთის სამხარეო სამმართველოში იმყოფებოდნენ. როგორც ტატო ღაღოლიშვილი აცხადებს, სასაზღვრო შტაბში მის მეგობრებს, ლევანს და ბესოს სამართალდამცავებმა ჟურნალისტებისთვის ინტერვიუ მიაცემინეს, თითქოს ისინი ტყეში დაიკარგნენ და იქ არანაირი მებრძოლები არ ყოფილან¹²⁴. მის ამ სიტყვებს ადასტურებს მედიისათვის სოფელ ლაფანყურის მცხოვრებთა მიერ მიცემული განმარტებები, რომელთა მიხედვით, შეუძლებელი იყო რომელიმე მათგანს ტყეში გზა არეოდა, რადგან ყველა მათგანი ადგილობრივი მკვიდრია და ამ ადგილებს ძალიან კარგად იცნობდა¹²⁵.

როგორც სახალხო დამცველისა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ისე მედიით გავრცელებული ინფორმაციით, დასტურდება, რომ საქართველოს სამართალდამცავ უწყებათა წარმომადგენლებმა შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების ნათესავებს და ახლობლებს აუკრძალეს ამ მოვლენებზე საუბარი, აიძულეს ცხედრები ჩუმად, ტრადიციული წესების დაუცველად დაეკრძალათ; მათივე განცხადებით, სწორედ ეს იყო ცხედრების გადაცემის წინაპირობა სამართალდამცავების მხრიდან¹²⁶. ასევე, საინტერესოა თუ რატომ უარყოფდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი იმ ფაქტს, რომ ასლან მარგოშვილი ამ უნივერსიტეტის სტუდენტი იყო¹²⁷.

ქართველი სამართალდამცავების მხრიდან იგივე მოთხოვნების არსებობას ადასტურებენ სპეც. ოპერაციის დროს საქართველოს შს სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს გარდაცვლილ თანამშრომელთა ოჯახის წევრებიც¹²⁸.

ეს გარემოებები, დაზარალებულ პირთა ახლობლებსა და ოჯახის წევრებში, ისევე როგორც საზოგადოებაში, დამატებით კითხვებს აჩენს 2012 წლის 26–29 აგვისტოს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით. აუცილებელია გაეცეს პასუხი შეკითხვას, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენდა მსგავსი აკრძალვების დაწესება, მაშინ როცა უკვე ცნობილი იყო გარდაცვლილ პირთა ვინაობა.

5. საქართველოს საგამოძიებო ორგანოები ადასტურებენ, რომ სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზები არ ჩატარებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ 2012 წლის 28–29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა გვამები სასამართლო–სამედიცინო წესით არ გამოუკვლევიან, ჩატარდა მხოლოდ უკანონო

124 იხ. დანართი 1, ტატო ღაღოლიშვილის ახსნა–განმარტება.

125 იხ. ზემოთ, თავი 1, მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, სოფელ ლაფანყურში 2012 წლის 26 აგვისტოს დაკარგულთა შესახებ.

126 იხ. დანართები 5, 6, 7 და 11; იხ. ასევე ზემოთ, თავი 3(i), ინფორმაცია 2012 წლის 28–29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა შესახებ.

127 იხ. ზემოთ, თავი 3(ii), ინფორმაცია 2012 წლის 28–29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა შესახებ.

128 იხ. დანართები 3 და 9; იხ. ასევე, ზემოთ, თავი 3(iii), საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა მიერ გამოკითხულ პირთა მონათხრობი.

შეიარაღებული დაჯგუფების გარდაცვლილი 7 პირის გვამების გარეგნული დათვალიერება¹²⁹.

2013 წლის 8 მაისს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ჩატარდა სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების: ასლან მარგოშვილის, ბაჰაუდინ ბალაკაშვილის და სალამ ზაურბეკოვის გვამების ექსპუნიცია. საქართველოს სახალხო დამცველის და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შუამდგომლობით, საექსპერტო კვლევაში ჩაერთო სასამართლო—სამედიცინო ექსპერტი რუსუდან ბერიაშვილი. 2013 წლის 16 მაისს კი ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ექსპუნიცია ჩატარდა სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების: ბაჰაუდინ ქავთარაშვილის, დუკვახა დოშუევის, ჯაბრაილ ხაშიევის, მუსა ადუევის გვამებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გარდაცვლილ ვლადიმერ ხვედელიძის მშობლებისათვის გადაცემული 2012 წლის 31 აგვისტოს დასკვნა, რომლის მიხედვით, ვ. ხვედელიძის გარდაცვალება მრავლობითმა ჭრილობებმა გამოიწვია, მაშინ როცა მშობლების განცხადებით, ვ. ხვედელიძეს მხოლოდ ერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი გულში, რომელიც უკან, თირკმლის მხარეს იყო გამოსული. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2014 წლის 20 ოქტომბერს №04—12/12694 წერილით გამოითხოვა საქართველოს შს სამინისტროდან ინფორმაცია, ჩატარდა თუ არა ა. ჩოხელის, ს. წიკლაურის და ვ. ხვედელიძის გვამებს გარეგნული დათვალიერება, რაზეც ამ ეტაპზე პასუხი არ მიგვიღია.

საქართველოს სახალხო დამცველს მიეწოდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შედეგად ჩატარებული ყველა ექსპერტიზის ასლი, თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მასალები არ არის საჯარო და საქართველოს სახალხო დამცველი არ არის უფლებამოსილი გაასაჯაროოს ამ დოკუმენტების შინაარსი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გადმოცემული სს საქმის მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ შესაძლოა იკვეთებოდეს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს სამართალდამცავთა მიერ არასათანადო და არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები, რაც გამოძიების ამ მხრივ წარმართვის აუცილებლობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის¹³⁰, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილების მიუხედავად¹³¹, 2012 წლის 30 აგვისტოდან დღემდე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მაშინ როცა ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიების პრინციპების დაცვისათვის აუცილებელია გამოძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურა აწარმოებდეს.

129 საქართველოს შს სამინისტროს 2014 წლის 11 აგვისტოს #1547371 წერილი.

130 საქართველოს სახალხო დამცველის 2012 და 2013 წლების საპარლამენტო ანგარიშები.

131 საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილება №912-რს, „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

6. შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ნივთმტკიცებათა ამოღება

საქართველოს სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები 2014 წლის 16 მაისს იმყოფებოდნენ 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეც.ოპერაციის ადგილზე. ადგილზე, ამ დრომდე რჩება არაერთი სავარაუდო ნივთმტკიცება, მათ შორის, ტყვიები, რაც ბრძოლის ინტენსივობის დამადასტურებელი ერთ–ერთი მთავარი ნივთმტკიცება შეიძლება იყოს. ამასთან, ადგილზე არაერთი პირადი მოხმარების ნივთის პოვნაც შეიძლება, რაც დეტალურად აღიწერა წინამდებარე ანგარიშში¹³².

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის 20 ოქტომბერს №04–12/12692 წერილით მიმართა საქართველოს შს სამინისტროს, თუ რომელმა საგამოძიებო უწყებამ და როდის ჩაატარა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. თუმცა, ამ შეკითხვაზე პასუხი, წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის დასრულების დროისთვის არ მიგვიღია.

7. საქართველოს შს სამინისტროს მიერ წარმოებულ გამოძიებაში არსებული ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში დეტალურად აღინიშნა იმ ხარვეზების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვს ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე ოფიციალურ გამოძიებაში. გამოძიების პროცესში ამ დრომდე პრობლემური რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქმის სათანადო კვალიფიკაცია, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და დაზარალებულთა პროცესუალური უფლებების დაცვა.

- **სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება კვლავ მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 144–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად მიმდინარეობს, რომელიც მძევლად ხელში ჩაგდების შემადგენლობას ითვალისწინებს.** თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას მოჰყვა შეიარაღებული დაჯგუფების წევრებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა სიცოცხლის ხელყოფა, არსებითია გამოძიების ფარგლებში შეფასდეს სამართალდამცავი პირების მიერ ლეიტალური ძალის გამოყენების აუცილებლობა, მართლზომიერება და პროპორციულობა. საგამოძიებო ორგანოებმა უნდა შეისწავლონ როგორ მოხდა სპეც.ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება; რომელმა უწყებამ/ებმა და რა გარდაუვალი აუცილებლობით მიიღეს გადაწყვეტილება ჯგუფის ლიკვიდაციის შესახებ; აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაგზავნილი ე.წ. მომლაპარაკებლები დამატებით დროს ითხოვდნენ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრების ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ პირობებზე დასაყოლიებლად¹³³. 2012 წლის 29

132 იხ. ზემოთ, თავი 3(ii), ინფორმაცია 2012 წლის 28–29 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის ადგილმდებარეობის და ამჟამად იქ არსებული მდგომარეობის შესახებ.

133 იხ. დანართები 2 და 11, ალექსანდრე ამირიძის 2014 წლის 22 იანვრის ახსნა–განმარტება და ზელიმხან ხანგოშვილის ინტერვიუები მედიასთან.

ავგისტოს საქართველოს შს სამინისტროს განცხადებით საქართველოს პრემიერ მინისტრის [ივანე მერაბიშვილის] ხელმძღვანელობით შეიქმნა კრიზისების მართვის შტაბი, საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროების მონაწილეობით, რომელმაც შეიმუშავა უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც ახორციელებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო¹³⁴. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 12 დეკემბრის №2534739 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სპეცოპერაციის დროს გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა არ შედგენილა, ხოლო სპეცოპერაციის განხორციელებას ხელმძღვანელობდა სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი შტაბი, რომლის შემადგენლობაში საქართველოს შს და თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები შედიოდნენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული კრიზისების მართვის შტაბის მოქმედებების და მუშაობის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება გამოძიების პროცესში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს ეფექტური და ოფიციალური გამოძიება სიცოცხლის ხელყოფის იმ ფაქტებზე, რომელიც სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შედეგად დადგა. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითხოვს არა მხოლოდ იმ სახელმწიფო მოხელეების ქმედების შეფასებას, რომლებმაც უშუალოდ გამოიყენეს ლეტალური ძალა, არამედ თუ როგორ დაიგეგმა და განხორციელდა სპეცოპერაცია. ამიტომ, გამოძიების მხოლოდ სსკ-ის 144-ე მუხლის საფუძველზე წარმართვა არასაკმარისია. სახელმწიფო ვალდებულია ცალკე წარმართოს გამოძიება შეიარაღებული დაჯგუფების წევრების სიცოცხლის ხელყოფის ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, გამოძიება უნდა ჩაატარონ პროკურატურის და არა საქართველოს შს სამინისტროს გამოძიებლებმა.

- **ამ დრომდე პრობლემატურია გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხი.** როგორც ცნობილია, სსკ-ის 144-ე მუხლით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს. ასევე, გამოძიების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სწორედ ამ საქმის ფარგლებში შეისწავლება სამართალდამცავების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მიზანშეწონილობის გარემოებები. ამ ფორმით გამოძიების წარმართვა პირდაპირ არღვევს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებულების სტანდარტს, რადგან ლაფანყურის სპეცოპერაციას, მათ შორის, შს სამინისტროს შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ. პროკურატურის ქვემდებარეა მსგავსი შემთხვევების გამოძიება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაც, თუმცა, საქმის პროკურატურის მიერ გამოძიების არაერთი მოთხოვნა ამ დრომდე არ დაკმაყოფილებულა. არც საქართველოს პარლამენტის 2013 წლის ივლისის დადგენილება შესრულებულა, რომლითაც გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში მოცემული რეკომენდაცია და გამოძიების წარმართვის რეკომენდაცია

134 იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 29.08.2014 <http://police.ge/ge/gantskhadeba/3995> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

საქართველოს მთავარ პროკურატურას მიეცა¹³⁵.

- **გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი**, მაშინ როცა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების დროს, დაზარალებულების წინაშე, სახელმწიფოს მაღალი ანგარიშვალდებულება და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირების ვალდებულება გააჩნია. დაზარალებულის სტატუსის არარსებობის პირობებში, გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრები იმ მცირედი უფლებებითაც ვერ სარგებლობენ, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანიჭებთ.

შესაბამისად, ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეზე ეფექტიანი, ობიექტური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მიზნით კვლავ აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების წარმოება: დაიწყოს გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მართლზომიერების და პროპორციულობის შესასწავლად; ამასთან, გამოძიებული იქნას სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების გარემოებები. გამოძიება წარიმართოს (მათ შორის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს) საქართველოს პროკურატურის მიერ. გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიენიჭოთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების პროცესში მათი ეფექტური მონაწილეობა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2014 წლის 16 იანვარს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარისათვის მიწოდებული ინფორმაცია, საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილებით გაწეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, არ არის

135 „4. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ:

[...]

გ) ჩაატაროს სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან, სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილთა საქმეზე, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებზე განხორციელებული უკანონო ზემოქმედების ფაქტებზე; მიუკერძოებლობისა და მაღალი სანდოობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოძიების წარმოებაში არ უნდა მონაწილეობდნენ ის პირები (გამომძიებლები, პროკურორები), რომლებიც რაიმე ფორმით დაკავშირებული იყვნენ აღნიშნულ საქმესთან; დ) საზოგადოების დიდი დიანტერესებიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანოს მეშვეობით პერიოდულად მიაწოდოს საქართველოს პარლამენტს ინფორმაცია ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან, 2012 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ; [...], საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის დადგენილება №912-რს, „2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ,“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე.

დამაკმაყოფილებელი¹³⁶. ამიტომ, **საზოგადოებრივი საბჭოს აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მოითხოვოს შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:** რა საფუძვლით აწარმოებს გამოძიებას საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი; რა ეტაპზეა გამოძიება და რატომ ჭიანურდება საქმეზე შემავამებული გადაწყვეტილების მიღება; რატომ არ ენიჭებათ სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს დამარალებულის სტატუსი და რატომ არ მიეწოდებათ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ამასთან, გარდაცვლილ პირთა ოჯახის წევრებისათვის უცნობია ექსპერტიზის შედეგად სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები.

მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა¹³⁷ მიერ გაკეთებული განცხადებებისა, რომ სოფელ ლაფანყურში განვითარებული მოვლენების შესახებ გამოძიება სწრაფად და ეფექტურად წარიმართებოდა, დაისჯებოდა ყველა დამნაშავე პირი, ამ დრომდე უცნობია ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და ჭიანურდება საქმეზე შემავამებული გადაწყვეტილების მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საბჭო მიიჩნევს, რომ წინამდებარე ანგარიშში დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა და საზოგადოების ინფორმირება არსებითია, იმისთვის, რათა 2012 წლის 28—29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციის გარშემო არსებულ ლეგიტიმურ კითხვებს პასუხი გაეცეს.

დანართი

1. ტატო ღაღოლიშვილის 2013 წლის 17 აპრილის ახსნა—განმარტება

2013 წლის 17 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა—განმარტება ჩამოართვეს სოფელ ლაფანყურში მცხოვრებ ტატო ღაღოლიშვილს.

მისი თქმით, 2012 წლის 26 აგვისტოს დაახლოებით დილის 11 საათზე, ის ლაფანყურში მცხოვრებ თავის 4 მეგობართან ერთად წავიდა საქეიფოდ სოფელ ლაფანყურიდან 4 კმ.—ის მოშორებით, ე.წ. გონჯახევის ხეობაში. ისინი ხუთნი იყვნენ: ტატო ღაღოლიშვილი, თამაზ მაძიერაშვილი, ლერი ხუცურაული, ლევან გარაშვილი და ბესიკ მიჯახაშვილი წაიყვანა მძლომმა გიორგი

136 საქართველოს მთავარი პროკურატურამ 2014 წლის 16 იანვრის #13/2566 წერილით საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს აცნობა, რომ [...] საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოში გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს 2012 წლის აგვისტოში, ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. გამოძიების დასრულების შემდეგ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

137 იხ. საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 10.12.2012, <http://police.ge/ge/shs-ministri-sofel-dui-sis-mosakhleobas-shekhvda/4187> [ბოლოს ნანახია 09.11.2014]; იხ. ასევე, საქართველოს შს სამინისტროს განცხადება, 31.12.2012 <http://police.ge/ge/shs-miniistrma-lafankuris-spetsoperatsiis-dros-daghupuli-da-dachri-li-spetsrazmelebis-odjakhebi-moinakhula/4280> [ბოლოს ნანახია 09.11.2014].

თურმანულმა საკუთარი სატვირთო მიკროავტობუსით. ქეიფის დროს დაუმთავრდათ სიგარეტი და დაახლოებით 16:00 საათზე, თამაზი და ლერი მანქანით წავიდნენ სოფელ ლაფანყურში, სიგარეტის საყიდლად. დანარჩენები იქ დარჩნენ და ქეიფი განაგრძეს. დაახლოებით 18:00 საათზე, ღვინო და საკვებიც გამოეღიათ და ფეხით წავიდნენ სოფელში. გზაში გიორგი ჩამორჩათ, რომელიც იყო ნასვამი. დანარჩენები უკან მიბრუნდნენ მის მოსაძებნად, მაგრამ ვერ იპოვეს. თურმე, ცუდად გამხდარა და სახლში სხვა გზით წასულა. მათ გზა სოფლისკენ განაგრძეს. გზაში შორიდან დაინახა, როგორ გადაკვეთა გზა მათ წინ 3 ფორმიანმა და შეიარაღებულმა ადამიანმა, მაგრამ სამხედროები ეგონათ და გზა განაგრძეს. შეიარაღებულმა პირებმა, როდესაც მიუახლოვდნენ, ანიშნეს, გაჩერებულიყვნენ და გაჩერდნენ. შემდეგ ანიშნეს დაწოლილიყო, რაც შეასრულა. გაჩხრეკის შემდეგ მისცეს ადგომის შესაძლებლობა. სამიდან ანუ მეგობრებიდან მხოლოდ მას ეცვა სამხედრო ფორმა. მათ ანიშნეს, რომ წინ ევლოთ და ისევ იქ მიიყვანეს, საიდანაც წამოვიდნენ. დასვეს მიწაზე და 10 წუთში მოვიდა კიდევ 5 მებრძოლი. მათგან მხოლოდ ერთი ლაპარაკობდა ქართულად, თუმცა მეტყველებაში შეინიშნებოდა აქცენტი, ამასთანავე, აღნიშნულ პირს თავი გადახოტილი ჰქონდა და წვერი მოშვებული. სახელი ზუსტად არ ახსოვს, მაგრამ თანამებრძოლები მას სავარაუდოდ „ფეიზულას“ ეძახდნენ. მან უთხრა, რომ არაფერს დაუშვებდნენ, თუ გაქცევას არ ეცდებოდნენ. ასევე, უთხრა, რომ თამაზი და ლერიც მათ ჰყავდათ აყვანილი. დაახლოებით 10 წუთში მოვიდა 9 მებრძოლი და მოიყვანეს თამაზი და ლერი. თამაზს და ლერის ბარგი ჰქონდათ აკიდებული. მათ გადაინაცვლეს გონჯახევის მეორე მხარეს და დასხდნენ. სულ იყო 17 მებრძოლი, რომელთაგან ყველას შერეულად სამხედრო ფორმა ეცვა. მათგან მხოლოდ ერთი ლაპარაკობდა ქართულად. ყველას ჰქონდა წვერი (ზოგს — გრძელი, ზოგს მოკლე) და ყველა იყო შეიარაღებული: ჰქონდათ „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატები, 2 ტყვიამფრქვევი, 2 სნაიპერული შაშხანა და ყუმბარმტყორცნები. ერთმანეთთან საუბრობდნენ, სავარაუდოდ, ჩეჩნურ ენაზე. არც მობილური ტელეფონები ჰქონდათ და არც რაციები. მათ ჰქონდათ მხოლოდ ერთი მობილური ტელეფონის მსგავსი ანტენიანი და ციფერბლატიანი აპარატი ყვითელი ეკრანით, რითიც არ უსარგებლიათ და ზუსტად არ იცის, რა იყო. გამოკვეთილი მეთაური არ ჰყოლიათ.

ქართულად მოსაუბრე მებრძოლმა უთხრა, რომ ისინი აპირებდნენ საზღვარზე გადასვლას. მათ იმავე ღამეს უნდოდათ გადასვლა, რის შემდეგაც გაუშვებდნენ. მანვე უთხრა, რომ უნდა ეტარებინათ ბარგი, რაზეც იძულებულები იყვნენ, დათანხმებოდნენ. მთელი ჯგუფი წავიდა საზღვრისკენ და დაახლოებით 4 კილომეტრში გაჩერდა. იქნებოდა დაახლოებით ღამის 10—11 საათი. მებრძოლმა უთხრა, რომ ღამე იქ უნდა გაეტარებინათ და გზას დილით გააგრძელებდნენ. მას და ბესოს ტელეფონები ტყეში არ წაუღიათ, ხოლო თამაზს და ლერის მანქანაში დაუტოვებიათ, ლევანის ტელეფონი დამჯდარი იყო და გაითიშა. მებრძოლებმა დაკავებისას ჩამოართვეს და დაშალეს.

გათენდა 27 აგვისტო და ამ დღეს ფაქტობრივად არსად წასულან, მხოლოდ 300—400 მეტრით გადაადგილდნენ და დაიმალნენ. ისინი თავიანთ გეგმებზე მძევლებთან არაფერს ამბობდნენ და არ იცოდნენ რას აპირებდნენ. ისინი ხედავდნენ ხეობაში როგორ ეძებდა სოფლის მოსახლეობა, მაგრამ მათთან არ მისულან. დაახლოებით 23 საათიდან დაიწყეს გადაადგილება საზღვრის მიმართულებით, მარმარილოს კარიერებისკენ მიმავალ სამანქანო გზაზე. გაიარეს დაახლოებით 6 კმ. და გაჩერდნენ. იქნებოდა სავარაუდოდ ღამის 3 საათი.

ღამე გაათენეს და 28 აგვისტოს დილის 10 საათზე გზა განაგრძეს. დაახლოებით 13:00 საათზე, გზაზე წამოეწიათ სასაზღვრო პოლიციის სატვირთო ბორტიანი მანქანა. მებრძოლებმა ეს მანქანა გააჩერეს და ალყაში მოაქციეს. მესაზღვრეებს იარაღი ჩამოართვეს და დაბლა დააწვივნეს. სულ იყო 5 მესაზღვრე. ერთ—ერთი იყო სექტორის უფროსი რამაზ ფარადაშვილი. რამაზმა შესთავაზა, რომ ისინი გაეშვა და ის დაეტოვებინათ, მაგრამ უარი უთხრეს და ყველა დაიტოვეს. მათ ბარგი მოხსნენ (მოქეფეებს) და გაუშვეს. წასვლისას ლევანს მისცეს 200 აშშ დოლარი და მადლობა გადაუხადეს დახმარებისთვის. მებრძოლები ხეობაში კარგად ექცოდნენ, მშვიდად ესაუბრებოდნენ და საკვებსაც აძლევდნენ. ასევე უთხრეს, რომ მესაზღვრეები მანქანებით არ ასულიყვნენ, თორემ ცეცხლს გახსნიდნენ. ისინი, 5 მეგობარი წამოვიდნენ სოფლისკენ. გზაში შეხვდნენ პოლიციელები, რომლებმაც წაიყვანეს სამაშველო მანქანით სასაზღვრო შტაბში. შტაბის უფროსი ლომიძე მებრძოლებისკენ მართო წავიდა და როგორც იცის, სპეცოპერაციამდე იქ იყო. სასაზღვრო შტაბში ლევანს და ბესოს ჟურნალისტებისთვის ინტერვიუ მიაცემინეს, თითქოს ისინი ტყეში დაიკარგნენ და არანაირი მებრძოლები იქ არ ყოფილან. შემდეგ წაიყვანეს თელავში სამხედრო ბაზაზე ლეგიონი, სადაც გაატარეს ღამე. ამ დღეს მათთვის არაფერი უკითხავთ. მეორე დღეს წაიყვანეს კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველოში, სადაც ხუთივეს ჩამოართვეს დეტალური ჩვენებები და გადაიღეს ვიდეო კამერით. პოლიციიდან სახლში წაიყვანეს 30 აგვისტოს დილის 4 საათზე. წამოსვლისას ჩამოართვეს ხელწერილები, რომ მომხდარის შესახებ არსად არაფერს იტყოდნენ არც ჟურნალისტებთან და არც ოჯახის წევრებთან.¹³⁸

ტატო ღაღოლიშვილი სპეცოპერაციის დროს თელავში იმყოფებოდა და სპეცოპერაციის შესახებ ტელევიზიით და სამხედროებისგან შეიტყო. სპეცოპერაციის შემდეგ, სოფლის მიმდებარედ დაფრინავდნენ ვერტმფრენები. ხეობაში „ურალის“ ავტომანქანებით შედიოდნენ სამხედროები და სასწრაფო დახმარების მანქანები. სოფელში ამბობდნენ, რომ 28 აგვისტოს ღამით დაინახეს, როგორ განათდა ხეობა, მაგრამ აფეთქების ხმა არ გაუგიათ. ეს მოხდა შეტაკებისას.

ტატო ღაღოლიშვილი ასევე განმარტავს, რომ სოფლის რამდენიმე მცხოვრებმა 2012 წლის 28 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე სოფელში დაინახა შეიარაღებული ადამიანები, კერძოდ, სოფელ ლაფანყურში მცხოვრებმა სალომე კარატიელმა, 2012 წლის 20 აგვისტოს სოფლიდან დაახლოებით 2 კმ—ში, დაინახა მწვანე ჯიპი, რომელშიც ისხდნენ წვერებიანი, ფორმიანი მებრძოლები და როგორც შემდგომში ამოიცნო, ერთ—ერთი იყო ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი; ასევე, სოფლის მცხოვრებმა ემზარ ჟულაკაშვილმა სპეცოპერაციამდე პერიოდში ორჯერ დაინახა როგორ შევიდა სოფლის შემოვლითი გზით ხეობაში მწვანე ჯიპი, თუმცა ვინ იჯდა, არ დაუნახავს.

ტატო ღაღოლიშვილის განცხადებით, მესაზღვრეებმა უთხრეს, რომ სპეცოპერაციიდან 9—10 დღეში მათ ტყეში იპოვეს დაჭრილი ახმეტ ჩატაევი.

ტატო ღაღოლიშვილი აცხადებს, რომ ისინი (5 ყოფილი მძევალი) დაკითხეს 2012 წლის

¹³⁸ შენიშვნა: ფაქტობრივად დღენახევრის განმავლობაში მათ თავისუფლება ჰქონდათ აღკვეთილი, პოლიციის შენობიდან მხოლოდ 30 აგვისტოს გაათავისუფლეს, როცა ჯგუფის წევრების მძევლობიდან 28 აგვისტოს გაათავისუფლდნენ.

19 დეკემბერს თელავში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შენობაში და 2013 წლის თებერვალში იყვნენ მებრძოლების ამოცნობაზე, სადაც ჩვიდმეტივე მებრძოლის ფოტო წარუდგინეს და ყველა მათგანი ამოიცნეს.

2. ალექსანდრე ამირიძის 2013 წლის 22 იანვრის ახსნა—განმარტება

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ ის 2000 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ანტიტერორისტულ დეპარტამენტში (მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, გარდა ერთწლიანი პერიოდისა: 2003 წ. გაზაფხულიდან — 2004 წლის გაზაფხულამდე მუშაობდა ყაზბეგის რაიონულ უშიშროებაში); 2011 წლიდან იყო იმავე სამინისტროს ანტიტერორისტული დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი. მისი სამმართველოს ფუნქციას წარმოადგენდა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა. ალექსანდრე ამირიძის წოდება არის „ვიცე პოლკოვნიკი“. 1995—2000 წწ.—ში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აკადემიაში.

2012 წლის აგვისტომდე გარკვეული პერიოდით ადრე, შეიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, კერძოდ, მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ბაჩო ახალაია, რის შემდეგაც სამინისტროში რიგი ცვლილებები განხორციელდა: შეიცვალნენ სამმართველოების უფროსები. ალექსანდრე ამირიძის თანადებობაზეც ასახელებდნენ 3 კანდიდატურას. აღნიშნულ პირთაგან ერთ—ერთმა (რომელსაც მანამდე იცნობდა) მიაკითხა და თითქმის კაბინეტში შეათვალიერა, ისე ღიად მოქმედებდნენ. ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ ამ მდგომარეობისთვის და გაურკვევლობისთვის თავის არიდების მიზნით, შვებულებაში გასვლა მოითხოვა. შვებულების საკითხი დეპარტამენტის უფროსთან და მოადგილესთან თანხმდებოდა. თავიდან არ მისცეს თანხმობა შვებულებაზე, შემდეგ როცა დაჟინებით მოითხოვა, დაახლოებით 20 აგვისტოს, დათანხმდნენ. ალექსანდრე ამირიძე 2012 წლის 21 აგვისტოს გავიდა შვებულებაში, როგორც ახსოვს, ორშაბათი იყო. იგი დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში, მშობლებთან წასვლას აპირებდა, თუმცა რადგან ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა, 21 აგვისტოს ისევ სამსახურში გამოცხადდა. როგორც ახსოვს, 22 აგვისტოდან დაწერა პატაკი შვებულებაში გასვლის შესახებ. შვებულების ხანგრძლივობა 1 კვირით განუსაზღვრეს: 2012 წლის 27 აგვისტოს, ორშაბათს სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო. 2012 წლის 21 თუ 22 აგვისტოს, სამშაბათს დილით, ალექსანდრე ამირიძე სამსახურებრივი მანქანით, სამხედრო „პიკაპით,“ ოჯახის წევრებთან ერთად დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში გაემგზავრა. იქიდან თბილისში ერთხელ - ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ჩამოვიდა. ამ დროს მას თან ახლა მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და მამა. მამა დატოვა თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, საჯარო რეესტრის შენობასთან, შემდეგ დიდუბეში, წერეთლის გამზირზე მდებარე მაღაზიაში შეიძინა ღობე, რის შემდეგაც ზემოაღნიშნულ პირებთან ერთად მცხეთის გავლით დაბრუნდა ფასანაურში. მცხეთაში გაუარა ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის მოადგილეს, კახიანს, რადგან მან გარკვეული პერიოდით ადრე დაურეკა ალექსანდრე ამირიძეს და სთხოვა, თუ მცხეთისკენ მოხვდებოდა, მისთვის გაეწყო. ალექსანდრე ამირიძის თქმით, ამის შემდეგ იგი წავიდა ფასანაურში, თბილისში არ წასულა და ფასანაური არ დაუტოვებია, გარდა იქვე მდებარე სოფლისა. სამეურნეო, საშინაო საქმეებით იყო დაკავებული. ამ პერიოდში ციყვა უკბინა და პარასკევს

დუშეთის საავადმყოფოში მივიდა მეუღლესთან ერთად, სადაც გაიკეთა ცოფის საწინააღმდეგო აცრა. 2012 წლის 25 თუ 26 აგვისტოს ალექსანდრე ამირიძე შეხვდა ფასანაურში მისულ საქართველოს პატრიარქს, ოჯახის წევრებთან ერთად. კვირა საღამოს იგი უნდა წასულიყო თბილისში, რათა 27 აგვისტოს დილით გამოცხადებულიყო სამსახურში. მაგრამ რადგან 27 აგვისტოს მას ცოფის საწინააღმდეგო აცრის ფარგლებში მე-2 ნემსი უნდა გაეკეთებინა, გადაწყვიტა, თბილისში 27 აგვისტოს დილით წასულიყო. სამსახურში დარეკა და გააფრთხილა, რომ დაავიანდებოდა, დუშეთის საავადმყოფოში გაიკეთა ნემსი და გაემგზავრა თბილისში, სადაც მოგვიანებით გამოცხადდა სამსახურში.

ალექსანდრე ამირიძის შვებულებაში ყოფნის პერიოდში მის მოვალეობას მისი მოადგილე ასრულებდა. სამსახურში გამოცხადებისთანავე ალექსანდრე ამირიძე გაეცნო ვითარებას. ის ფაქტი, რომ სოფელ ლაფანყურში ადამიანები დაიკარგნენ, თბილისში ჩასვლამდე, ფასანაურში გაიგო ტელევიზიის საშუალებით, მაგრამ ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიუქცევია. 27 აგვისტოს, კონტრტერორისტული დეპარტამენტის დირექტორმა დაიბარა, რადგან ამოწმებდნენ, რომელიმე დანაყოფს რაიმე ინფორმაცია ხომ არ ჰქონდა ლაფანყურში მომხდარის შესახებ. ალექსანდრე ამირიძის თქმით, პირველ სამმართველოში, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, ასეთი ინფორმაცია არ არსებობდა. იმ დღემ ჩვეულებრივ სამუშაო ვითარებაში ჩაიარა. ალექსანდრე ამირიძეს, ისევე როგორც მის თანამშრომლებს, სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე ხშირად უწევდა პანკისის ხეობაში პერიოდულად მივლინება. უფრო მეტად მას, რადგან პანკისის ხეობაში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა და ამიტომ უფრო მეტად იყო იქ. ჯერ კიდევ შვებულებამდე გარკვეული პერიოდით ადრე, პანკისის ხეობაში უნდა წასულიყო მივლინებით რაღაც საქმეზე რამდენიმე დღით, მაგრამ რადგან შვებულებაში გავიდა, მივლინება გადაიღო და ხელმძღვანელთან ერთად გადაწყდა, რომ შვებულების შემდეგ წავიდოდა პანკისის ხეობაში.

2012 წლის 28 აგვისტოს დილით, ალექსანდრე ამირიძე გეგმის თანახმად, სამსახურებრივი „პიკაპით“ მიდიოდა პანკისის ხეობისკენ. დილის 12 საათზე, როდესაც დაახლოებით ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, რადიო „მაესტროზე“ მოისმინა ინფორმაცია სოფელ ლაფანყურში დაკარგულებთან დაკავშირებით, კერძოდ, ადგილობრივებს შეუნიშნავთ 3 წვერიანი პირი, რომელთაც სავარაუდოდ, დაკარგულების შემთხვევა უკავშირდებოდა. ამის შემდეგ ალექსანდრე ამირიძე ნორიოს ხიდთან შეხვდა მეგობრის შვილს, რომელმაც ახმეტაში მყოფი საერთო მეგობრისთვის გადასაცემად გადასცა ლეკვები. სანამ ნორიომდე მივიდოდა (მას ამ დროს უკვე მოსმენილი ჰქონდა რადიოში სიახლე), ანტიტერორისტული დეპარტამენტის დირექტორმა ზურა მაისურაძემ დაურეკა და უთხრა, რომ სწრაფად ევლო და მისულიყო კახეთის სამხარეო სამმართველოში, რადგან იქ იმყოფებოდა მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელსაც ა.ამირიძე წლების განმავლობაში იცნობდა. ამის შემდეგ დეპარტამენტის უფროსმა რამდენჯერმე დაუკერა და ეკითხებოდა, მივიდა თუ არა. ალექსანდრე ამირიძის განცხადებით, როცა კახეთის სამხარეო სამმართველოში მივიდა, მორიგემა ვილასას დაურეკა და შემდეგ აცნობა, რომ ყველანი ლაფანყურში იყვნენ წასულები, ამირიძესაც დაუბარეს, ისიც იქ ჩასულიყო. ალექსანდრე ამირიძე გაემართა სოფელ ლაფანყურისკენ. ლოპოტას ხეობის გადასახვევთან, სოფელში, 2 თუ 3 ოპერატორი და ჟურნალისტები შეამჩნია. სოფელში ამ დროს პოლიციელები იდგნენ. ა.ამირიძე მათთან გაჩერდა და იქვე შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს - გია ლორთქიფანიძეს. იქ მყოფი პირები (სამინისტროს თანამშრომლები: პოლიციელები და მესაზღვრეები) ამბობდნენ, რომ შეიარაღებულ პირებს მძევლები ჰყავდათ აყვანილი. შეიარაღებული 2 ადამიანი ქართულად საუბრობდა. ალექსანდრე ამირიძის თქმით, სწორედ იქ გაიგო, რომ შეიარაღებული ჯგუფის წევრების რაოდენობა 17-ს შეადგენდა. გია ლორთქიფანიძემ ალექსანდრე ამირიძე გვერდით გაიყვანა და შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ჰკითხა, ფლობდა თუ არა იგი ინფორმაციას იმის შესახებ, ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ გამტაცებლები. ალექსანდრე ამირიძის განმარტებით, ის არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა, რაც მოახსენა კიდევ მინისტრის მოადგილეს, თან ძალიან შეწუხდა, რადგან ეს მისი მოვალეობა იყო.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ამირიძე ჯგუფის შესახებ ინფორმაციის წინასწარ არქონის მიზეზს ვერ ასახელებს. განმარტავს, რომ ის იყო იმ სამმართველოს უფროსი, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა აღნიშნული საკითხები, მაგრამ მოხდა ისე, რომ ინფორმაცია არ ჰქონდა. ამასთანავე, გარდა მისი სამმართველოსი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობდა არაერთი სტრუქტურული დანაყოფი: ანტიტერორისტული ცენტრი (დანარჩენი სამმართველოები), კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიცია და სხვა სპეციალური სამსახურები. მხოლოდ ის არ წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ალექსანდრე ამირიძის განმარტებით, ჯგუფის შესახებ ინფორმაციის არქონის ერთ-ერთი მიზეზი ბოევიკების, ტერორისტების დახვეწილი და ჩამოყალიბებული მუშაობაც არის. მათ ისე შეძლეს საქმის გაკეთება, რომ ინფორმაცია არ გავიდა და ეს მათი მიღწევაა. ამასთანავე, ალექსანდრე ამირიძე უარყოფს ფაქტს, რომ ჩეჩნების ტყეში სიარული არ იყო იშვიათი შემთხვევა და ამიტომაც არ აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

ალექსანდრე ამირიძის განცხადებით, გია ლორთქიფანიძემ მას უთხრა, რომ შეიარაღებული ჯგუფის წევრებს წაყვანილი ჰყავდათ მოქალაქეები; შემდეგ მძევლები გაათავისუფლეს სანაცვლოდ მესაზღვრე თუ მესაზღვრეები ჰყავდათ მძევლად აყვანილი; გაათავისუფლებული მძევლებისგან იცოდნენ ჯგუფის წევრთა აღწერილობა, რაოდენობა და ჩაცმულობა. გია ლორთქიფანიძემ მას შესთავაზა ყოფილი მძევლების სანახავად წასვლა და ამის შემდეგ გზა მანქანებით განაგრძეს. მდინარე ლოპოტას ხეობაში, სასაზღვრო პუნქტთან, შენობის ეზოში იდგა 5 გათავისუფლებული მძევალი. გარდა ალექსანდრე ამირიძისა და გია ლორთქიფანიძისა, იქ იმყოფებოდა კახეთის სამხარეო სამმართველოს და სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა. გათავისუფლებული მძევლები დაბნეულები ჩანდნენ და შეკითხვებზე პასუხობდნენ. მოქალაქეები აცხადებდნენ, რომ გამტაცებლები შეიარაღებულები იყვნენ, ეცვათ სამხედრო ფორმა. მინისტრის მოადგილესთან ერთად სამინისტროს თანამშრომლები შენობის კიბეებთან იდგნენ და ბჭობდნენ, ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ შეიარაღებული პირები, სადაურები და ა.შ. მათთან მივიდა ალექსანდრე ამირიძეც. მისი თქმით, განიხილებოდა 2 ვერსია: 1. შესაძლებელია, ჯგუფის წევრები იყვნენ ე.წ. მუჟაჰედები, ჩეჩნები, ქისტები და 2. რუსეთის ფედერაციის მიერ პროვოკაციის მიზნით შემოგზავნილი მათი დივერსიული ჯუფი ან სპეცრაზმი. ორივე ვერსია თანაბრად განიხილებოდა. ალექსანდრე ამირიძე ზემოაღნიშნულ პირებს დაშორდა და გათავისუფლებულ მძევლებთან მივიდა იმ მიზნით, რომ მათთვის დამატებითი კითხვები დაესვა შეიარაღებული ჯგუფის წევრების ვინაობის დასადგენად. მისი

თქმით, წლების განმავლობაში ჩეჩნებთან და ქისტებთან ურთიერთობდა და კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ, საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, იმედოვნებდა, მათი ვინაობის დადგენას. გათავისუფლებული მძევლების თქმით, ჯგუფის წევრები შეიარაღებულები იყვნენ, ჰქონდათ წვერები (ზოგს გრძელი, ზოგს მოკლე), ზოგს ეცვა სამხედრო ფორმა, ჰქონდათ დიდი ოდენობის ბარგი, რის გამო სიარული უჭირდათ; 2 მათგანი საუბრობდა ქართულ ენაზე, ასევე, წევრთაგან 2-ს ეკეთა ნილაბი. ა. ამირიძეს მათთან საუბრის შემდეგ ჩამოუყალიბდა აზრი, რომ ჯგუფი რუსეთის ფედერაციის სპეცრაზმი არ იქნებოდა, რადგან ერთჯერადი დავალების შესრულების მიზნით გადმოსულ ჯგუფს, განსხვავებით მეტრძოლთა ჯგუფისგან, არ ექნებოდა დიდი ოდენობის ბარგი; ასევე, 2 მათგანი საუბრობდა ქართულ ენაზე, რის გამოც ჩამოუყალიბდა აზრი, რომ ისინი იყვნენ მეტრძოლები.

ალექსანდრე ამირიძე მივიდა ხელმძღვანელ პირებთან, რომლებიც ჯგუფის წარმოშობის შესახლო ვერსიებს განიხილავდნენ, ასევე ვარაუდობდნენ, რომ თუ ჯგუფი მიასწრებდა საქართველო-რუსეთის საზღვართან მისვლას, რუსები გადმოვიდოდნენ შეტევაზე, დაბომბავდნენ ხეობას, თბილისამდე ჩავიდოდნენ და მისთ. ალექსანდრე ამირიძემ ხელმძღვანელებს გაუზიარა საკუთარი მოსაზრება: მართალია, მისთვის უცნობი იყო საიდან და როგორ შევიდა ეს ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე, ლოპოტას ხეობაში, თუმცა 2000 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, პანკისის ხეობაში თევების განმავლობაშიც უცხოვრია და იქ ყველას იცნობდა, დაძაბული ურთიერთობა არ ჰქონია ადგილობრივებთან, ამიტომაც გამოთქვა სურვილი, რომ წავიდოდა შეიარაღებული ჯგუფის წევრებთან შესახვედრად, რადგან მისი ვარაუდით, ისინი იყვნენ მეტრძოლები, სავარაუდოდ ჩეჩნები, მითუმეტეს, 2 პირი ქართულად საუბრობდა, რაც იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ქისტები იყვნენ. ქისტებს კი იგი ყველას იცნობდა და შეუძლებელია, მათაც არ ცოდნოდათ სანდრო ამირიძე. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ - გია ლორთქიფანიძემ ალექსანდრე ამირიძეს არ დართო წასვლის ნება, რადგან შესაძლებელი იყო, მისთვის ესროლათ ან მოეკლათ. აღნიშნული საუბარი მიმდინარეობდა სასაზღვრო პოლიციის სამორიგეო ოთახში.

მძევლობიდან გათავისუფლებული 5 ადამიანი ამბობდა, რომ ჯგუფის წევრები კარგად ექცეოდნენ, ეუბნებოდნენ, რომ რუსეთში სურდათ გადასვლა, დაღესტნის მხარეს და საომრად მიდოდნენ, საქართველოში კი არაფერი სურდათ. მძევლების აყვანის მიზეზად გზაზე მათთან შეხვედრას ასახელებდნენ. რაც შეეხება მათ გათავისუფლებას, მძევლები სასაზღვრო სექტორის უფროსმა - რამაზმა ჩაანაცვლა. ალექსანდრე ამირიძემ არ იცის, როგორ ჩაანაცვლეს ისინი, მაგრამ მისთვის ცნობილია, რომ სამაშველო სამსახური, სასაზღვრო პოლიცია, ყველა იყო ჩასული ხეობაში და ეძებდა დაკარგულ 5 ადამიანს. მესაზღვრეები შეხვდნენ ჯგუფის წევრებს და შესთავაზეს მძევლების გათავისუფლება. ალექსანდრე ამირიძისთვის უცნობია მესაზღვრეები ფეხით გადაადგილდებოდნენ თუ მანქანით. სამანქანო გზა იმ სასაზღვრო პოლიციის პუნტიდან, სადაც ამირიძე და დანარჩენი პირები იმყოფებოდნენ, მიემართება ზევით, მდინარე ლოპოტას ხეობაში, საიდანაც დაახლოებით ნახევარი საათია (რამდენი კმ-ია არ იცის) საჭირო მარმარილოს კარიერებამდე მისასვლელად. მარმარილოს საბადოების შემდეგ იწყება შარაგზა, რომელიც ხეობას მიუყვება, სხვა გზა არ არსებობს და ტრანსპორტით იქ გაუვლელად შეუძლებელი იყო ხეობაში ასვლა იმ ადგილას, სადაც ჯგუფი იმყოფებოდა. ა. ამირიძის აზრით, თუ ჯგუფი რაღაც მიზნისთვის მიდიოდა, მას შეეძლო ტყეში ასვლა და ვერავინ იპოვიდა. ხოლო

თუ გვემის ჩაშლა უნდოდა, მაშინ შარაზე გაივლიდა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, სიტუაცია უკიდურესად დაძაბული იყო, ყველა ნერვიულობდა, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები რომ არ დაზარალებულიყო. აუცილებელი იყო ზომების მიღება და ღონისძიებების გატარება. მან მეორეჯერაც შესთავაზა გია ლორთქიფანიძეს, რომ წავიდოდა ჯგუფის წევრებთან შესახვედრად. უხსნა, რომ არ აპირებდა ჯგუფში პირდაპირ შესვლას ან შეყარდნას და იარაღის დაყრის მოწოდებას, შორიდან შეხედავდა, დააკვირდებოდა და სიტუაციის არსში გაერკვეოდა. რადგან სხვა გამოსავალი არსებულ ვითარებაში არ ჩანდა, ხელმძღვანელობა დათანხმდა. ამასთანავე, გააფრთხილეს, რომ სატელეფონო კავშირი იქ არ მყარდებოდა და მესაზღვრეებმა მისცეს რაცია და უთხრეს ციფრების კომბინაცია, როგორ დაემყარებინა კავშირი მათთან. ერთ-ერთმა მესაზღვრემ უთხრა, რომ ვინმეს გააყოლებდა. მაგრამ ა. ამირიძეს მარტო სურდა წასვლა. ერთ-ერთი, ვინც მასთან ერთად წასვლის სურვილი გამოთქვა, მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე იყო, თუმცა მისი წასვლა მეტ რისკთან იყო დაკავშირებული.

ალექსანდრე ამირიძემ გათავისუფლებულ მძევლებს თუ მესაზღვრეებს დამატებით გამოჰკითხა, რა ადგილას და როდის ჩანაცვლდნენ მძევლები, რომ განესაზღვრა სად და დროის რა მონაკვეთში შეეძლო მისვლა. ერთ-ერთი მოსაზრებით, შესაძლებელი იყო ვერტმფრენის გამოგზავნა და მთაზე დახვედრა ჯგუფთან იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებული ჯგუფი აასწრებდა საზღვართან ასვლას. თუმცა იმის გამო, რომ ვერტმფრენის გამოძახება გაჭიანურდა (2 საათი აგვიანდებოდა), ალექსანდრე ამირიძემ თქვა, რომ ირბენდა. მან იცოდა, რომ ჯგუფის წევრებს მძიმე ბარგი ჰქონდათ და შეეცადა განესაზღვრა მათ მიერ განვლილი მანძილი. ამასთანავე, ფიქრობდა, რომ ალპურ ზონაში, ღია ადგილას, დღისით ჯგუფი არ გავიდოდა. ამიტომაც ფიქრობდა, რომ მათ აასწრებდა საზღვრამდე მისვლას. მესაზღვრეებმა თქვეს, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან გააქტიურებული იყო სასაზღვრო დაცვა: მანამდე ფეხის პატრული გაივლიდა იშვიათად, არც პოსტი ჰქონიათ და არც ვერტმფრენით უკონტროლებიან სივრცე, ბოლო 3 დღის განმავლობაში კი, რუსებმა საზღვარზე კარვები დააყენეს და ვერტმფრენით აკონტროლებდნენ სივრცეს. რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო პირველი პოსტი არის მთაზე, მწვერვალზე. ამავე მთაზე არის ქართული პოსტიც. ბოლო ქართული სასაზღვრო პოსტი მდებარეობდა ზევით იმ ადგილიდან, სადაც ჯგუფი იმ მომენტისთვის იმყოფებოდა. საქართველოს სასაზღვრო პოსტი, ა. ამირიძის ინფორმაციით, წარმოადგენს კარავს და არ იცის, იქ ყოველთვის არიან თუ არა ქართველი მესაზღვრეები. ბუნებრივია, აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდა ხელმძღვანელობა, მაგრამ მან პირადად არ იცოდა, იყვნენ თუ არა იმ მომენტისთვის ქართველი მესაზღვრეები პოსტზე.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, რაცია მას ყველასთან აკავშირებდა, სხვების საუბარიც ესმოდა. მას უთხრეს, რომ მძევლები ჩანაცვლეს მარმარილოს კარიერებამდე, ასევე აცნობეს, ეს როდის მოხდა. მარმარილოს საბადოებთან სამანქანო გზა მთავრდება და პოლიცია სწორედ იმ ადგილას იდგა. მისი ინფორმაციით, სწორედ იმ ადგილიდან ზევით ჩანაცვლეს მძევლები. ჯგუფი იმ ადგილს უკვე გასცდა. ალექსანდრე ამირიძე წავიდა თავისი „პიკაპით“, ნახევარი საათი ან 40 წუთი იარა მანქანით, რომ მარმარილოს კარიერებამდე ასულიყო. იქ იყვნენ მესაზღვრეები, რომლებსაც გადასცეს რაციით, რომ გაეტარებინათ იგი. ალექსანდრე ამირიძეს

მანქანაში ჰქონდა სათევზაო ატრიბუტიკა, გამოიცვალა შარვალი, ჩაიცვა რეზინის ჩექმები და მაისური. მანქანა გააჩერა, წაიღო პისტოლეტი და რაცია და წავიდა ფეხით. იმ მთებში ადრე სანადიროდ იყო ნამყოფი, თუმცა პოსტის მდებარეობა ზუსტად არ იცოდა, ამიტომაც მესაზღვრეებმა უთხრეს, რომ ხეობის ბოლომდე ერთი გზა მიდიოდა და შეუძლებელია, რომ გზა არეოდა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, მან დაახლოებით 15 წუთი ირბინა, დაახლოებით 2 კმ. ექნებოდა გავლილი, როცა ხევში ჩამავალ დაღმართთან მივიდა. გზის გაგრძელება ხევში ჩასვლით არის შესაძლებელი. ჯგუფის წევრები მისი ვარაუდით, უფრო შორს უნდა ყოფილიყვნენ წასულები. ალექსანდრე ამირიძე მირბოდა, წინ კლდე იყო აღმართული და კლდის იქით არ ჩანდა, რა ხდებოდა. სწორედ იქ პირისპირ შეეჩეხა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, რომელიც კლდის იქით იყო გამოსული. ის წყალში (მდინარეში) პირს იხანდა. ფეხის ხმაზე წამოდგა და როგორც კი ერთმანეთი დაინახეს, ორივემ იარაღისკენ წაიღო ხელი. სწორედ ამ დროს იცნეს ერთმანეთი. ალექსანდრე ამირიძე ამ პირის სახელს არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ ის ქართველი არ ყოფილა, , იყო ჩრდილოკავკასიელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა ლტოლვილის სტატუსით. მიხვდა, რომ ის ჯგუფის წევრი იყო, ჩაცმულობითაც მეტბრძოლს ჰგავდა, წვერიც ჰქონდა, დიდი არა, თუმცა წვერს ყოველთვის ატარებდა. ამირიძე დაიბნა კიდევ, რადგან ამ ადამიანის პიროვნებიდან გამომდინარე, გაუკვირდა მისი იქ ყოფნა და ჰკითხა, იქ რას აკეთებდა, ისიც აფორიაქდა და კითხვა შეუბრუნა: თვითონ რას აკეთებდა, შემდეგ თავი ჩალუნა და მხოლოდ ის უბასუხა, რომ ასე მოხდა. ალექსანდრე ამირიძე დაინტერესდა, სად იყვნენ დანარჩენები. ალექსანდრე ამირიძე და ზემოაღნიშნული პირი ერთად წავიდნენ. როგორც კი კლდეს გასცდნენ, ღია ადგილი იყო, ხევი ჩადიოდა და გაშლილი მთები ირგვლივ, ხეობის აქეთ-იქით. სწორედ ამ გაშლილ ადგილზე, კლდის უკან იმყოფებოდა შეიარაღებული ჯგუფი. გაშლილი ჰქონდათ სუფრები (სუფრები პირობითად): ზოგი ჩაის ამზადებდა, ზოგი სუფს ხარშავდა, ზოგი საუბრით იყო გართული და ასე ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ. ამირიძე გაოცდა მათი ასე ღიად გამორჩენით. მოგვიანებით დაინახა, რომ მესაზღვრეც იქ ჰყავდათ, იგი კლდის ქვეშ იჯდა.

ალექსანდრე ამირიძე ყველა მათგანთან სათითაოდ მივიდა, მიუხედავად იმისა, იცნობდა თუ არა, მიესალმა, თან აკვირდებოდა, ცდილობდა მათი აგრესია არ გამოეწვია. მათგან რამდენიმეს არ იცნობდა, რამდენიმეს იცნობდა. ა. ამირიძის თქმით, მისი ნაცნობი შეიძლება 7 ადამიანი იყო, აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას ჩვენებებში, ჯგუფის წევრთა სახელების და გვარების მითითებით. ალექსანდრე ამირიძე ამბობს, რომ თვითონ არის ერთადერთი მოწმე, რომელმაც ნახა ჯგუფის ყველა წევრი, გარდა ერთისა, რომელსაც ნიღაბი ეკეთა; მათთან ერთად იყო მისვლის მომენტიდან 5,5 ან 6 საათის განმავლობაში. როცა მათთან მივიდა, დაახლოებით დღის 3 საათი იქნებოდა, ხოლო 28 აგვისტოს, საღამოს დაახლოებით 9-ის ნახევარზე ავიდნენ ზურაბ მაისურაძე და მომლაპარაკებლები: ჩატავეი და ხანგოშვილი. ჯგუფში სულ 17 პირი იყო. ა. ამირიძეს ყველა თავიდანვე არ უცნია, ერთ-ერთ დაღუპულს — ბაჰაუდინ ქავთარაშვილს იცნობდა, მის სახლშიც იყო რამდენჯერმე ნამყოფი, როცა მამამისი პასუხისმგებლობა მისცეს და ჩხრეკამაც იმყოფებოდა. ბაჰაუდინ ქავთარაშვილი იმხელა წვერით არ ჰყავდა ნანახი. მიხვდა, რომ ქისტი იყო, იცოდა, რომ პანკისელი იყო, მაგრამ იმ მომენტში სახელი და გვარი ვერ აღიდგინა მიუხედავად იმისა, რომ მას ახლოს იცნობდა წლების

განმავლობაში. ასლან მარგოშვილს იცნობდა, როგორც კარგ, განათლებულ ახალგაზრდას, ქისტ ბიჭს, სტუდენტს, რომელიც თბილისში ცხოვრობდა. მისი ჯგუფში მოხვედრა ამირიძისთვის წარმოუდგენელია.

ალექსანდრე ამირიძე იხსენებს ჯგუფის ერთ—ერთ წევრთან შეხვედრის ეპიზოდს: მან დაინახა, რომ ხევში გამოდიოდა ერთი პირი, ჩეჩენი ეროვნების, სამხედრო ფორმით, უიარალო, შარვალი აწეული ჰქონდა, წყალში რომ არ დასველებოდა და ხელში „ბოტასები“ ეჭირა. ამირიძე მას იცნობდა. ამირიძის დანახვაზე მას გაოცებისგან ხელიდან გაუვარდა ფეხსაცმელი, წყალში ჩაუვარდა, მერე დაედევნა ფეხსაცმელებს და დაიჭირა, გამოვიდა ნაპირზე, უყურებდა. ალექსანდრე ამირიძე წავიდა მისკენ, მიესალმა. ჯგუფის წევრი მიტრიალდა, ხელი ჩაიქნია, ამირიძის ვარაუდით, რაღაც თქვა კიდევ, თითქოს, მისი მისვლით რაღაც გეგმა ჩაიშალა, გაფუჭდა საქმე.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, როცა ის მათთან მივიდა, ჩანთები ყველას დაწყობილი ჰქონდა ძირს, იარაღი ზოგს ეკიდა, მაგრამ უმრავლესობას ზურჯჩანთებზე ჰქონდათ მიყუდებული, ზოგს ავტომატი ჰქონდა, ზოგს პისტოლეტი. ზოგი „სნიკერსს“ ჭამდა, ზოგი ჩაის სვამდა. მათი პირველი რეაქცია ამირიძის დანახვაზე, იყო გაოცება, მიუხედავად იმისა, იცნობდნენ თუ არა მას. ვინც იცნობდა, იცოდა, რომ იგი ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელი იყო და ეკიხებოდნენ საიდან და როგორ მივიდა, რა მოხდა და საიდან გაიგო მათი იქ ყოფნის შესახებ. ალექსანდრე ამირიძე ამბობს, რომ მან ვერ მოთოვა ემოცია და თითქმის ყვირილით უპასუხა ჯგუფის ნაცნობ წევრებს, რომ მთელი ქვეყანა მათზე ლაპარაკობდა. ა. ამირიძე მათთან რუსულად საუბრობდა. მისი თქმით, რუსულ ენას კარგად არ ფლობს, თუმცა მათ ყველაფერს აგებინებდა და მასაც ყველაფერი ესმოდა.

ვინც ალექსანდრე ამირიძეს არ იცნობდა, დანარჩენებს ეკითხებოდა მის ვინაობას და მისვლის მიზეზს. ალექსანდრე ამირიძის თქმით, მას ცოტაოდენი ჩენურიც ესმის და გაიგო, მათ როგორ აუსხნეს, რომ ამირიძე ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელი იყო, ასხნაც არ დასჭირდათ, რადგან როგორც კი უთხრეს სახელი „სანდრო“, მიხვდნენ და გაოცებულები უყურებდნენ. ალექსანდრე ამირიძემ განაცხადო მათთან საუბარი, კერძოდ, რას აკეთებდნენ ისინი, მძევლები ჰყავდათ აყვანილი, შეიარაღებული ჯგუფი გადაადგილდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და მისთვის, როგორც სამართალდამცავისთვის, ეს საკმარისი იყო მათი ქცევის დასაგმობად, არც ფიქრობდა იმაზე, რომ ისინი გზას გააგრძელებდნენ და რამეს მოითხოვდნენ. ალექსანდრე ამირიძე უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ თითქოს, მათ სთავაზობდნენ იარაღის დაცრას და გაშვებას. ყოველ შემთხვევაში, თვითონ არ უთქვამს, მის მერე ვინც მივიდა, არ იცის, ისინი რას ეუბნებოდნენ. ამირიძის უპირობო მოთხოვნა იყო იარაღის დაცრა და ჩაბარება, რაც განუცხადა მათ.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, ჯგუფის წევრებმა მას კითხვები დაუსვეს, აინტერესებდათ საიდან მივიდა და როგორ გაიგო მათი იქ ყოფნის შესახებ. ალექსანდრე ამირიძემ მათ აუსხნა რეალური ვითარება, რომ ინფორმაცია გავრცელდა და მათ შესახებ ყველამ იცოდა, სოფელ ლაფანყურში 2 თუ 3 ოპერატორი და ჟურნალისტები იყვნენ. ამირიძის თქმით, მან უთხრა, რომ საქმე ჩაუფლავდათ და ყველაფერი დასრულდა. მისი იქ ყოფნა სწორედ ამას ნიშნავდა, რომ ისინი საზღვარს ვერ გადაკვეთდნენ. რადგან ინფორმაცია გავიდა,

და ყველა მათზე საუბრობდა. ასევე განუცხადა, რომ ჯგუფმა მძევლები აიყვანა და უნდა ეფიქრათ, რომ იმ 5 ადამიანს მოიკითხავდნენ. ერთ-ერთმა უთხრა (მას არ იცნობდა), ჯგუფის წევრები ისე კარგად იყვნენ მომზადებული, ისე კარგად იმალებოდნენ, რომ პოლიციამ, მესაზღვრეებმა, ადგილობრივებმა, რომლებიც ერთობლივი ძალებით ეძებდნენ დაკარგულებს, 10 მეტრში გაუარეს და ვერ იპოვეს. ალექსანდრე ამირიძის აზრით, ჯგუფი არ იყო ისე კარგად მომზადებული, როგორც მათ სურდათ თავის წარმოჩენა.

ჯგუფის წევრები ამირიძის ნათქვამს არ იჯერებდნენ, ამბობდნენ, რომ მძევლებს კარგად ექცეოდნენ, ფულიც აჩუქეს, სთხოვეს, რომ მათ შესახებ ეთქვათ, თითქოს, 3 მწყემსს გადაეყარნენ. ალექსანდრე ამირიძემ უთხრა, რომ იქ მისვლამდე მან უკვე იცოდა, ჯგუფის წევრთა რაოდენობა. გათავისუფლებული მძევლები ჰყავდათ პოლიციაში დაკითხული და ინფორმაცია გავრცელდა. ალექსანდრე ამირიძემ მის ნათქვამში დასარწმუნებლად მოუწოდა მათ, ჩაერთოთ რადიო და მოესმინათ საინფორმაციო გამოშვება. ჯგუფის წევრებმა მას დამშვიდებისკენ მოუწოდეს, უთხრეს, რომ ისინი არაფერს აშავებდნენ და მხოლოდ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა სურდათ. ამირიძემ უთხრა, რომ ისინი შეიარაღებულები გადაადგილდებოდნენ, მძევლები აიყვანეს, მერე მძევლებსაც ცვლიდნენ, და ეს დანაშაული იყო. კარგად მოპყრობა მძევლებისადმი, არაფერს ცვლიდა, მძევლების აყვანა დანაშაულს წარმოადგენდა. მიუხედავად ალექსანდრე ამირიძის განცხადებისა, რომ ვერ წავიდოდნენ, ისინი საკუთარ აზრზე რჩებოდნენ და წასვლის გადაწყვეტილებას არ ცვლიდნენ. ალექსანდრე ამირიძის თქმით, იმ მონენტში ჯგუფი საქართველოს ტერიტორიიდან ცდილობდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადასვლას.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, ის ოპერატიული თანამშრომელი იყო და ყველაფერს გულდასმით აკვირდებოდა. რა თქმა უნდა, მან არ იცოდა მოვლენები როგორ განვითარდებოდა. მან შენიშნა, რომ 2 ადამიანი დანარჩენებს რუსულად ესაუბრებოდა, დანარჩენები ერთმანეთთან საუბრობდნენ ჩეჩნურად. მისი ვარაუდით, ჩეჩნები და ქისტები ერთმანეთთან ჩეჩნურად ლაპარაკობდნენ. ისინი, კი ვისაც რუსულ ენაზე ესაუბრებოდნენ, დაღესტნელი ლეკები იყვნენ. სწორედ მათგან ერთ—ერთი განსაკუთრებით აქტიურობდა და ამბობდა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყვნენ.

ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ ჯგუფთან ურთიერთობისას იყო დაძაბული და შედარებით მშვიდი მომენტები: თავიდან, როცა მათ თითქმის ყვირილით მიმართავდა, მათაც ანალოგიურად უპასუხეს, წამოვიდა მის მიმართ აგრესია. რამდენჯერმე თითქმის ხელით შეეხნენ ერთმანეთს. სიტუაციის მიხედვით მოქმედებდა: ხან მშვიდ ტონში საუბრობდა, ხან ხმამაღლა. ალექსანდრე ამირიძის თქმით, მისი მიზანი იყო ერთადერთი: ჯგუფის წევრებს იარაღი უნდა დაეყარათ და ჩაბარებოდნენ.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, მას რაცია იმ მიზნით ჰქონდა წაღებული, რომ მოპოვებული ინფორმაცია და ნანახი ფაქტები შეეტყობინებინა ხელმძღვანელობისთვის. როცა პირველმა აგრესიამ, პირველმა კამათმა ჩაიარა, იგი მივიდა რაციასთან (ყველაფერს ღიად აკეთებდა, მაღულად არ მოქმედებდა, რომ რამე არასწორად არ გაეგოთ). აღსანიშნავია, რომ მისთვის რაცია არ ჩამოურთმევიათ. ჯგუფის წევრები სთხოვდნენ, რომ გადაეცა, თითქოს, იქ მხოლოდ 3 გზააბნეული მწყემსი იყო, ასევე, ვერტმფრენებიც, რომლებიც იმ დროისთვის აკონტროლებდნენ

საპაერო სივრცეს, გაეჩერებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეები მიხედვებოდნენ, რომ რაღაც ხდებოდა და საზღვარს ველარ გადაკვეთდნენ. ა. ამირიძემ მათ მიაწოდა ის ინფორმაცია, რაც ქართველი მესაზღვრეებისგან ჰქონდა, კერძოდ, რომ უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში რუსები აკონტროლებდნენ საზღვარს, დაფრინავდა მათი ვერტმფრენიც. ასევე, ინტერნეტით წინა დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, 45 000 ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკა, თითქოს, რაღაც მიზნებისთვის რუსეთის ფედერაციის რუსეთ-საქართველოს საზღვრისპირა რაიონში იქნა შეყვანილი. ჯგუფის რამდენიმე წევრი დაფიქრდა, თუმცა ერთ-ერთმა უთხრა, რომ ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან მათ რამდენიმე გეგმა ჰქონდათ; რამდენიმე წლის განმავლობაში მათი გამოცდილებით მოქმედებდნენ და პრობლემები არ შექმნიათ.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, მისვლიდან დაახლოებით 40 წუთის შემდეგ, პირველი კონფლიქტისა თუ კამათის შემდეგ, მოითხოვა ემირთან (ჯგუფის ხელმძღვანელთან) შეხვედრა. აღნიშნული შეკითხვა დაუსვა ნაცნობს (იმ პირს, ვისაც პირველად შეხვდა), რომელმაც უპასუხა, რომ ის იყო ჯგუფის ხელმძღვანელი, მაგრამ დანარჩენები მას არაფერს ეკითხებოდნენ და არ ემორჩილებოდნენ. ემირი არც ქართული წარმოშობის და არც საქართველოს მოქალაქე არ იყო, იგი საქართველოში სარგებლობდა ლტოლვილის სტატუსით. აქვე, ალექსანდრე ამირიძე განმარტავს, აბუჰამში არ იყო ჯგუფის ხელმძღვანელი. აბუჰამში ამირიძემ პირველად იქ ნახა, მანამდე ნანახიც არ ჰყავდა. ზოგი ჰყავდა ნანახი მანამდეც, ზოგს 2000 წლიდან იცნობდა, პანკისის ხეობაში განვითარებული მოვლენების დროიდან.

მიუხედავად ჯგუფის ხელმძღვანელის ზემოაღნიშნული განცხადებისა, ალექსანდრე ამირიძე ესაუბრა ემირს, აუხსნა შექმნილი სიტუაცია. მათ საუბარს დანარჩენებიც ესწრებოდნენ. ჯგუფის ხელმძღვანელმა განუცხადა ა. ამირიძეს, რომ მას დანარჩენები არ უჯერებდნენ. ემირთან საუბრისას ამირიძემ სთხოვა, მძევალი გაეთავისუფლებინათ. ამირიძეს არ მოუქცევია ყურადღება, ხელმძღვანელმა ვინმესთან შეათანხმა თუ არა მესაზღვრის გათავისუფლება. ჯგუფის ხელმძღვანელთან საუბრის შემდეგ, დაახლოებით, ნახევარი საათი იქნებოდა გასული, ემირი მივიდა მასთან და უთხრა, რომ მძევალს (მესაზღვრეს) გაათავისუფლდებდნენ. მესაზღვრე გათავისუფლების შემდეგ, აპირებდა დარჩენას, მაგრამ ამირიძემ უთხრა, წასულიყო, რადგან მოცემულ სიტუაციაში სურდა მარტო ყოფილიყო იმის გამოც, რომ უკვე ფიქრობდა გაპარვაზე, არ იცოდა სიტუაცია როგორ განვითარებოდა. ამიტომაც მესაზღვრეს უთხრა წასულიყო.

ჯგუფის ხელმძღვანელისგან ასეთი პასუხის მიღების შემდეგ, მივიდა იმ პირთან, ვინც წყალში (მდინარეში) მდგარი დაინახა. ის ასაკით ყველაზე უფროსი იყო, ეს ვიზუალურადაც ეტყობოდა და ამირიძე მას იცნობდა კიდევ. დანარჩენები უფრო ახალგაზრდები იყვნენ: დაახლოებით 20-25 წლის, ის იყო 40-45 წლის. ამირიძის თქმით, მას, როგორც ასაკით უფროსს, შესთავაზა დახმარებოდა გართულების თავიდან ასაცილებლად, დაერწმუნებინა დანარჩენები. მან კი უთხრა, რომ ჯგუფის წევრებს არც უფროსის, არც ხელმძღვანელის მოსაზრება არ აინტერესებდათ. მას არავინ უსმენდა და უარი უთხრა დახმარებაზე. ალექსანდრე ამირიძის აზრით, აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ ჯგუფი შერეული იყო, არ იყო ორგანიზებული და მომზადებული.

ალექსანდრე ამირიძე დარწმუნებით აცხადებს, რომ ჯგუფის წევრთა რაოდენობა 17—ს

შეადგენდა. მან დაითვალა ისინი, როცა სიტუაციის ახსნის შემდეგ, მოუწოდა იარაღის დაყრისკენ და ისიც უთხრა, რომ რუსები საზღვარს აკოტროლებდნენ, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა თანხაც კი შესთავაზა მას სხვა გზით გადაყვანისთვის. ფაქტობრივად, გამცილებლობა და მეგზურობა შესთავაზა. ამირიძის მოწოდების შემდეგ, ჯგუფის წევრები ერთად შეიკრიბნენ და დასხდნენ მოსათათბირებლად — გააკეთეს ე.წ. „შურა“ ანუ თათბირი. ამ დროს ამირიძე მარტო დარჩა და დათვალა ისინი. ამირიძისთვის ცნობილია, რომ თათბირზე დასწრება სავალდებულოა. თათბირს არავინ ხელმძღვანელობდა. ყველა დასხდა მრგვალ მაგიდასთან და ერთად საუბრობდნენ. სწორედ ამ დროს გადასცეს მას რაციით, რომ ეცადა, ჯგუფი არ დაძრულიყო, ამირიძეს შეეჩერებინა და მომლაპარაკებლებს ამოიყვანდნენ. როცა ეს გადასცეს, ამირიძე მივიდა მათთან და ერთ-ერთმა წევრმა დაინახა, უყვირა, რომ მოშორებოდა მათი თათბირის ადგილს. ამირიძემ უთხრა, რომ მათი საუბარი არ აინტერესებდა და მიანიშნა რაციამე და გადასცა ის ინფორმაცია, რომელიც მას მიაწოდეს: მომლაპარაკებლებს ამოიყვანდნენ და უნდა დალოდებოდნენ მათ. ფაქტია, რომ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მის საუბარს ვერ გაიგებდნენ, რაციით ქართულ ენაზე თავისუფლად საუბრის საშუალებას აძლევდნენ. თუმცა, ბოლოს, მას შემდეგ, რაც ვერტმფრენები გამოჩნდნენ, ამ საკითხზე ჯგუფის წევრებთან დაეძაბა ურთიერთობა. ამირიძისთვის უცნობია, ჯგუფის წევრები ერთმანეთთან როგორ შეთანხმდნენ, რა გადაწყვიტეს. თუმცა, როცა თათბირი დასრულდა, ჯგუფის წევრები მივიდნენ ამირიძესთან და უთხრეს, რომ დაელოდებოდნენ მომლაპარაკებელთა მოსვლას, ამ პირობაზე თანხმობა განაცხადეს.

რაც შეეხება ჯგუფის წევრების იარაღის წარმომავლობას, ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ როგორც მას ახსოვს, მგონი აბუჰამზას, რომელსაც ეკეთა „სტეჩკინის“ იარაღი, ჰკითხა, რამდენად შეიძინა იგი, რაზეც მებრძოლმა უპასუხა, რომ არაფერი გადაუხდია იარაღის შესაძენად, მას ეკუთვნოდა, გილაევის დროს დამარხული ჰქონდა და ახლა ამოთხარა. ასევე, ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ იმ ადგილას, სადაც ისინი იდგნენ, იღო „პკ“ სისტემის ტყვიამფრევევი, რომელსაც ჰქონდა კბილანები, რაც იმას მიუთითებდა, რომ ძველი იარაღი არ იყო, პირიქით, თანამედროვე იარაღია. ა.ამირიძემ მოცემულ იარაღზე მიანიშნა და ჰკითხა, თანამედროვე იარაღიც გილაევის დროინდელი იყო თუ არა. თუმცა, პასუხი მას არ გასცეს. ალექსანდრე ამირიძე ათვალთვლებდა ჯგუფის წევრებს რა იარაღი ჰქონდათ, ერთ ზურგჩანთაში შენიშნა მილი, მოგვიანებით, აჩვენეს სნაიპერული შაშხანა, რომლის მაყუჩი აღმოჩნდა აღნიშნული მილი. მან ასევე შენიშნა განსხვავებული იარაღი „კარაბინი“, შაშხანა, რომელიც ჰქონდა ამირიძის ერთ-ერთ ნაცნობს. როცა ტყეში ადიოდნენ, მივიდა მასთან და თვითონაც აიღო იარაღი, დაათვალიერა, წარწერა ან ნომერი რომ დაემახსოვრებინა, მაგრამ იარაღს არაფერი ეწერა: არც ნომერი და არც მოდელი. იგი ცდილობდა ინფორმაციის მოპოვებას, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინა.

ალექსანდრე ამირიძე პერიოდულად რაციით გადასცემდა არსებულ სიტუაციას. ჯგუფის წევრებს მისთვის ხელი არ შეუშლიათ. ამირიძის თქმით, მას მაისურიც ჰქონდა აწეული, რომ იარაღიც გამოჩენილიყო, რაციაც ხელში ეჭირა, რომ დამალულის შთაბეჭდილება არ შექმნოდათ და აგრესია არ გამოეწვია. რაციით გადასცა, რომ შეხვდა ჯგუფის წევრებს, რამდენიმე ნაცნობიც იყო, დანარჩენების ვინაობას არკვევდა და მოგვიანებით დაუკავშირდებოდა, და ისინი გზას ითხოვდნენ. რაციით დაკავშირებისას, სამართალდამცავებმა ალექსანდრე ამირიძეს ჰკითხეს

იმ ადგილის კოორდინატები, სადაც იმყოფებოდნენ. მან უთხრა, რომ კოორდინატები არ იცოდა, რუკა არ ჰქონდა, თუმცა რომელიმე მესაზღვრეს აღუწერდა ადგილს. ასეც მოიქცა. ამირიძის საუბარი რაციით ჯგუფის წევრებს ესმოდათ. იგი რაციით ქართულად საუბრობდა, ჯგუფის რამდენიმე წევრს ქართული ესმოდა, თუმცა შინაარსს ვერ გაიგებდნენ, რადგან იმის გამო, რომ რაციას ცუდი მიღება ჰქონდა, საუბრის დროს გვერდით გადიოდა, კლდეს იყო მოფარებული და სპეციალურად ხეებთან გადიოდა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის წევრები ხელავდნენ, რომ ამირიძე რაციით საუბრობდა და იგი ჩუმად არ ლაპარაკობდა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, ის ესაუბრებოდა ჯგუფის წევრებს, სხვას ვერაფერს მოიმოქმედებდა. მას უთხრეს, რომ ჯგუფი უნდა შეეჩერებინა. მისი მისია იყო პირველ ყოვლისა, ჯგუფის წევრებს იარაღი დაეყარათ და ჩაბარებოდნენ, შემდეგ კი ფიქრობდა, რომ გზა არ გაეგრძელებინათ. აღნიშნულის საშიშროება არსებობდა, ამიტომაც, ცდილობდა მათ შეეჩერებინა. ჯგუფი ხეობის ზევით, საქართველო—რუსეთის საზღვრისკენ წასვლას აპირებდა.

ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, მას მერე, რაც ალექსანდრე ამირიძემ რაციით გადასცა ადგილის აღწერილობა, სადაც ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა, წამოვიდნენ ვერტმფრენები. ამ დროს ჯგუფის წევრებმა იარაღს დაავლეს ხელი და დადგნენ პოზიციებზე: ზოგი კლდის ქვეშ, ზოგი აქეთ-იქით გაიფანტა. ამ დროს ჯგუფი ისევ ღია ცის ქვეშ იმყოფებოდა, ხევში, იმავე ადგილას, სადაც ამირიძე შეხვდა მათ. ეს ყველაფერი დღის სინათლეზე ხდებოდა. ჯგუფის წევრებში პანიკა შეინიშნებოდა, ამირიძეც პანიკაში ჩავარდა, რადგან მისთვის უცნობი იყო ვერტმფრენები ქართული მხარის იყო თუ რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოსული. ამირიძემ რაციით გადასცა, რომ ვერტმფრენები გამოჩნდა და ცოტა ხანში უთხრეს, რომ არ შეშინებოდათ, რადგან ქართული ვერტმფრენები იყვნენ. ამირიძემ ჯგუფის წევრებსაც აცნობა ვერტმფრენების წარმომავლობა, მაგრამ ისინი არ უსმენდნენ, რადგან იარაღს ისხამდნენ, ზურგჩანთებს იკიდებდნენ. ერთ—ერთს ამირიძემ დახმარება შესთავაზა ბარგის ტარებაში, რადგან სურდა შეეფასებინა ბარგის სიმძიმე. ის დათანხმდა და ამირიძემ აიკიდა ზურგჩანთა, იარაღი ჯგუფის წევრმა აიღო და ყველანი ხევიდან ავიდნენ იქვე მდებარე ტყეში. ტაფობი ადგილი იყო. ამირიძე ოდნავ წინ წავიდა, რომ მათ გზა არ გაეგრძელებინათ და როგორმე შეეჩერებინა. ამ დროს ამირიძისთვის უკვე რაციით გადმოცემული ჰქონდათ, რომ მომლაპარაკებლებს გადმოიყვანდნენ და გაგზავნიდნენ ჯგუფთან და როგორმე შეეჩერებინა ისინი. ალექსანდრე ამირიძე ჯგუფის 17—ვე წევრთან ერთად ავიდა იმ ადგილზე, საითაც ბილიკი გრძელდებოდა, ეს ის ადგილია, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა და შემდეგ ტელევიზიით ნახა გარდაცვლილები. რადგან ის იქ არ ყოფილა.

ნილბიანს რაც შეეხება, ამირიძე ფიქრობს, რომ ის იყო დაახლოებით მისი ასაკის [30—40 წლის], იყო ქართველი, ქისტი, იმ ხეობელი ან სოფელი, რომელიც მეგზურობას უწევდა ჯგუფს. შეიძლება, თანხის სანაცვლოდაც კი აცილებდა ჯგუფს. საუბრობდა ჩეჩნურ ენაზე. შეეცადა მასზე მეტი ინფორმაცია მიეღო, დაემასხროვებინა მისი აღწერილობა, ვიზუალი, დააკვირდა და იმასხროვებდა თითოეულ დეტალს. გარდა ამისა, შენიშნა, რომ ის ნილბიანი დანარჩენებს ჩეჩნურ ენაზე ესაუბრებოდა. იმ მიზნით, რომ გავგო ნილბიანი ქისტი იყო თუ ჩეჩენი, მას ქართულად დაელაპარაკა. მან ქართული გაიგო, შემდეგ ტყეში რომ ავიდნენ, ისიც უთხრა, რომ მის მეტი იქ არავინ ავიდოდა და რატომ წვალობდა (გულისხმობდა ნილბს, რომლის

მოუხსნელადაც ნილბიანი „სნიკერს“ მიირთმევდა), ამირიძემ უთხრა, რომ მისთვის ცნობილი იყო ნილბიანის ვინაობა და ქუდი მაინც მოეხადა, მაგრამ მან უარი განაცხადა. ალექსანდრე ამირიძე დარწმუნებულია, რომ ნილბიანი გარდაცვლილთა შორის არ იყო.

ჯგუფის წევრები და ალექსანდრე ამირიძე ტყეში ავიდნენ, ტყე დაბურული იყო, ვერტმფრენიდან ჯგუფის შემჩნევა შეუძლებელი იყო. ჯგუფი რომ დაიძრა, მიზანი დაკონკრეტებული მათი მხრიდან არ ყოფილა, ვერტმფრენები რომ წავიდნენ, ცდილობდნენ ტყეს შეფარებოდნენ. მათ არ უთქვამთ, რომ გარბოდნენ და უნდა გადასულიყვნენ საზღვარზე. ბილიკზე, სადაც გზა უნდა გაეგრძელებინათ, ამირიძემ ზურგჩანთა მოიხსნა. ამ დროს მასთან მივიდა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც მისი აზრით, დაღესტნელი იყო და სხვებსაც რუსულად მიმართავდა. იგი გზას განაგრძობდა, რაზეც ამირიძემ უთხრა, მოეცადა, თუმცა მან უპასუხა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყვნენ. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ხელიც კი მოუქნია დასარტყმელად, ამ დროს ემირმა უყვირა ყველას ერთდროულად და მოუწოდა, მისთვის დაეჯერებინათ.

ტყეში ასვლის შემდეგ შეთანხმდნენ, შეჩერდნენ და ელოდებოდნენ მომლაპარაკებლების მოსვლას. ჯგუფის წევრები დადგნენ თავიანთ ადგილებზე: ერთად არ იდგნენ, ერთ-ერთმა, რომელსაც ამირიძე არ იცნობდა, თქვა, რომ არ ნდობოდნენ ამირიძეს, ის დროს აწელინებდა და არავინ მომსვლელი არ იყო. ამირიძე ამ პერიოდის განმავლობაში რაციით უკავშირდებოდა და კითხულობდა, მოდიოდნენ თუ არა მომლაპარაკებლები, რაზეც დასტურს იღებდა. მომლაპარაკებლების ვინაობა არც ჯგუფის წევრებისთვის და არც ალექსანდრე ამირიძისთვის ცნობილი არ ყოფილა. ამ დროს ვერტმფრენი დაფრინავდა მათი ადგილსამყოფელის საჭაერო სივრცეში. ჯგუფის წევრები საბრძოლო პოზიციებზე იდგნენ. ჰაერსაწინააღმდეგო იარაღი მათ არ ჰქონდათ. ჯგუფის წევრებისგან ამირიძის მისამართით აგრესია წამოვიდა. მან დაუძახა ერთ-ერთს, ვისაც ქართული ესმოდა და უთხრა, რომ მის გვერდით დამდგარიყო, რაციას აუწევდა ხმას, გაიგებდა მათი საუბრის შინაარსს და უთარგმნიდა დანარჩენებს. ბოლოს რაციით გადასცეს, რომ მომლაპარაკებლები გასცდნენ პოლიციის ბოლო პოსტს, სადაც ამირიძემ მანქანა გააჩერა და მალე მოვიდოდნენ. მომლაპარაკებლები ფეხით მოდიოდნენ. იმ ბილიკზე, სადაც მათ უნდა გამოეველოთ, იდგა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ბილიკს უყურებდა და აკონტროლებდა. სწორედ მან დაინახა მათკენ მიმავალი პირები, მომლაპარაკებლები და დაუძახა ამირიძის გვერდით მდგომ პირს. ამირიძე სირბილით დაეშვა ბილიკზე, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მას გაეკიდა. ა. ამირიძემ უთხრა, რომ მომლაპარაკებლები იქნებოდნენ, ჯგუფის წევრმა ავტომატი მიაღო და უთხრა ევლო. ჩავიდნენ დაბლა ხევში, შეხვდნენ მომლაპარაკებლებს: ისინი სამნი იყვნენ. ამირიძე სამივეს იცნობდა: ზურა მაისურაძე — შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტის) უფროსი, ახმეტ ჩატაევი და ზელიმხან ხანგოშვილი. ამირიძე მათ მიესალმა.

ამირიძეს ვინც იარაღი მიაღო, მას კიდევ 2 კაცი გაჰყვა და ისინი თავისიანებს მიესალმნენ, ამირიძე მაისურაძეს მიესალმა და დაუწყო საუბარი. ზურა მაისურაძეს, როგორც ხელმძღვანელს, ამირიძემ აუხსნა საქმის ვითარება და საქმის კურსში ჩააყენა. ამის შემდეგ ამირიძის თქმით, იგი პროცესებში არ ჩარეულა. მისთვის აგრეთვე უცნობია, მომლაპარაკებლებს რა დავალება ჰქონდათ და რა პირობებზე ისაუბრეს. ჯგუფის წევრებს ჩატაევი და ხანგოშვილი ესაუბრებოდნენ. ამირიძემ არ იცის, რომელ ენაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რადგან

ისინი ცალკე საუბრობდნენ და შინაარსი არ ესმოდა. მაისურაძემ ამირიძეს უთხრა, რომ დროში იყვნენ შეზღუდულები. ალექსანდრე ამირიძე ჯგუფთან მივიდა და უთხრა, რომ პასუხი უნდა ეთქვათ. ამირიძის თქმით, ქართულად ჰკითხა მათ, თუმცა ხანგოშვილმა უპასუხა, რომ ჯგუფის წევრები ამბობდნენ, რომ იარაღს არ დაყრიდნენ და უაზრობა იყო საუბრის გაგრძელება. შემდეგ ამირიძეს ნერვებმა უმტყუნა და თითქმის ყვირილით, რუსულად უთხრა მათ, რომ ეთქვათ კონკრეტული პასუხი: თანხმობა ან უარი. იგი ჯგუფის წევრებთან ახლოს იდგა და გაიგო, როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს ჩეჩნურად, მოიხედა და ამ მომენტში უნდა ჩაერტყათ მისთვის. ამირიძის თქმით, იგი ქვევით, იმ ადგილას ჩავიდა, სადაც ზურა მაისურაძე იდგა და უთხრა მას, რომ წასულიყვნენ.

ჯგუფის წევრები და მომლაპარაკებლები ერთად იყვნენ, ზოგი აქეთ—იქით იდგა, რამდენიმე დაბლა ხევშიც იყო. მაისურაძემ თქვა, რომ არ წავიდოდნენ და თვითონ ავიდა ზევით. ამირიძე ზევით არ ასულა. იქ ზევით რა გადაწყვიტეს და რა ისაუბრეს, ამირიძემ არ იცის. როგორც ჩანს, სავარაუდოდ, იმ ადგილამდე მისვლა გადაწყვიტეს, სადაც სატელეფონო კავშირის შესაძლებლობა იქნებოდა, რათა შეთანხმებისთვის მიეღწიათ. წამოვიდნენ ამირიძე, მაისურაძე, ორი მომლაპარაკებელი და კიდევ ჯგუფის 2 წევრი, რომელთაგან ერთმა ავტომატი მიაღო ამირიძეს, მეორემ — მაისურაძეს. მათი წასვლის დროისთვის დაბნეულა. რადგან ალექსანდრე ამირიძის ხელმძღვანელი მივიდა, მერე თვითონ აქტიურად არაფერში ჩარეულა. წამოვიდნენ დაახლოებით 800 მ. ამ დროს ამირიძემ ტელეფონით შეტყობინება მიიღო შემოსული ზარების შესახებ, ჯგუფის წევრები გააჩერდნენ და რაღაცას ლაპარაკობდნენ. ჰკითხეს ა. ამირიძეს, სატელეფონო კავშირი მყარდებოდა თუ არა. ამირიძემ უპასუხა, რომ არ მყარდებოდა. გზა განაგრძეს. მერე ისევ გააჩერეს და რაღაცას ბჭობდნენ მომლაპარაკებლები და ჯგუფის წევრები. ამირიძემ უთხრა მაისურაძეს, რომ საერთოდ წასულიყვნენ, რადგან ცუდი სიტუაცია იყო. ავტომატმიზენილები მიდიოდნენ და არ იცოდა, რა მოხდებოდა. იმ მომენტში, როცა ჯგუფის წევრებმა ყურადღება მოადუნეს, რადგან ერთმანეთთან საუბრობდნენ, მაისურაძე და ამირიძე ნელ—ნელა წავიდნენ, 20—30 მეტრში კლდე მდებარეობდა და გზა უხვევდა და იფიქრა გაქცეულიყვნენ. ამ დროს ღამე იყო, რის გამოც რთული იყო გადაადგილება და ამირიძე და მაისურაძე გაიქცნენ. ა. ამირიძემ რაციაშიც გადასცა სიტუაცია და ითხოვა, მათთვის რამდენიმე ადამიანის გაგზავნა, რადგან შეიძლება პრობლემა შექმნოდათ. დამხმარე არავინ მისულა. ჩატაევი და ხანგოშვილი ჯგუფის 2 წევრთან დარჩნენ. ჯგუფის ზემოაღნიშნული წევრები ლაპარაკში გაერთნენ და სროლა არ აუტეხავთ ამირიძისა და მაისურაძისთვის. ა. ამირიძის თქმით, მანამდე ბელიმხან ხანგოშვილმა უთხრა, რომ გარიდებოდნენ იმ ადგილს. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფის 2 წევრი და მომლაპარაკებლები ერთმანეთთან საუბრობდნენ და უკეთესად იცოდნენ ვითარება. როცა ა. ამირიძე და ზ. მაისურაძე მარმარილოს კარიერებთან მივიდნენ, იმ ადგილას 200 მეტრ ფართობზე ღიაა ტყე და ტყიდან რომ გამოდიოდნენ, ჯგუფის წევრებიც წამოყვნენ, გაუკვირდათ მათი არყოფნა. ამირიძე და მაისურაძე მივიდნენ კარიერებამდე და დიდი ლოდების ქვეშ დაიმაღლნენ, დასხდნენ. იქ უკვე სამართლადამცავები იყვნენ. როცა ალექსანდრე ამირიძე ავიდა ჯგუფთან შესახვედრად, იმ ადგილას არავინ იმყოფებოდა, მესაზღვრეების გარდა, ხოლო როცა ღამით ზურა მაისურაძესთან ერთად დაბრუნდა, უკვე სპეცდანიშნულების რაზმი იდგა. მათი მისვლიდან ცოტა ხანში ჩოჩქოლი ატყდა, მან და ზ. მაისურაძემ გააფრთხილეს სპეცრაზმი, რომ იქ 2 მოქალაქეც იყო. გარკვეული პერიოდის

შემდეგ, ტყიდან გამოვიდა ხანგოშვილი, რომელიც პოლიციაში წაიყვანეს. რაც შეეხება ჩატაევს, ამირიძის ინფორმაციით, არ მიდიოდა. ალექსანდრე ამირიძის თქმით, მოცემული დროისთვის ჯგუფი მარმარილოს კარიერებიდან დაახლოებით 2 კმ.—ის დაშორებით იყო დაბანაკებული. ამის შემდეგ ალექსანდრე ამირიძე და ზურა მაისურაძე დაიბარეს თელავში. ალექსანდრე ამირიძის მანქანა იდგა პირველი, შემდეგ ზურა მაისურაძის და შემდეგ დანარჩენი პირების, ვინც ადგილზე მივიდა, რის გამოც ჩახერგილი იყო ხეობა, მითუმეტეს, რომ ვიწრო გზა და ა. ამირიძემ და ზ. მაისურაძემ ვერ შეძლეს წასვლა. მერე სთხოვეს მესაზღვრეებს, რომ ქვევიდან ვინმე ასულიყო მათთან შესახვედრად და ისინი ფეხით ჩავიდოდნენ. ალექსანდრე ამირიძისთვის უცნობია, ვინ გასცა თელავში მისვლის ბრძანება, რადგან მაისურაძეს დაურეკეს, სავარაუდოდ, ხელმძღვანელმა. თელავში ჩასულ ა. ამირიძეს და ზ. მაისურაძეს დახვდა გ. ლორთქიფანიძე, ასევე, პროკურატურიდან ხელმძღვანელი პირებიც. თელავში, სამხედრო აეროდრომში შტაბი იყო შექმნილი. ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ თელავში მას გამოკითხეს ყველაფერი. ამის შემდეგ ის თელავში იმყოფებოდა და იგებდა ინფორმაციას სპეცოპერაციის შესახებ, რასაც გადმოსცემდნენ. შტაბში გადაწყვეტილების მიღებაში ან სხვა რაიმე საკითხის გადაწყვეტაში, ალექსანდრე ამირიძე არ ჩარეულა. მისი თქმით, სპეცოპერაცია ღამით დაიწყო.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, მან ტელევიზიით გარდაცვლილთა გვამების ნახვის შემდეგ იცნო ადგილი, რადგან ცხედრების მდებარეობის ადგილი იმ ტერიტორიასთან ახლოს იყო, სადაც ბოლოს ჯგუფი იყო დაბანაკებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფი არსად წასულა. აღნიშნული ადგილი მარმარილოს კარიერებიდან დაახლოებით 2 კმ.—ში მდებარეობს.

ალექსანდრე ამირიძე განმარტავს, რომ სპეცოპერაციის შემდეგ, იმ ღამესვე დაიძაბა სიტუაცია და პანკისში პოლიციაც შეიყვანეს. ა. ამირიძემ დაურეკა ერთ-ერთ ვაჰაბიტს, რომელიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა და ამირიძესთან მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა, და უთხრა, რომ მივიდოდა ხეობაში და ვითარებას გააცნობდა. მანამდე პანკისის ხეობიდან ქისტები ურეკავდნენ ამირიძეს და ეკითხებოდნენ, სიმართლე იყო თუ არა, რომ მათ დაბომბვას აპირებდა რუსეთის ავიაცია და ა.შ. მას ასევე, ჰქონდა ინფორმაცია, რომ ვაჰაბიტები რაღაცას გეგმავდნენ. ალექსანდრე ამირიძის თქმით, იგი ღამით დუისში, პანკისის ხეობაში შეხვდა დაახლოებით 10 ადამიანს, ვაჰაბიტებს და ყველაფერი უამბო. ბოლოს შემოდგომამზე იყო ჩასული პანკისის ხეობაში და ადგილობრივები პრეტენზიას არ უყენებენ, რადგან საამისო საფუძველი არ აქვთ.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, იგი არ ფლობდა ინფორმაციას ჯგუფის წევრების საქართველოში შემოსვლის შესახებ. პანკისის ხეობის სიტუაციის კონტროლი მისი უფლებამოსილების სფეროს წარმოადგენდა. ალექსანდრე ამირიძე უარყოფს, რომ პანკისის ხეობაში 2012 წლის ზაფხულში შეინიშნებოდა ჩეჩნების ჩამოსვლის გახშირებული შემთხვევები. მას მსგავსი ინფორმაცია არ ჰქონია. ბევრი ჩეჩენი პანკისში ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ჩადიოდა. 2012 წელს შეზღუდვები მოხსნილი იყო გადაადგილებაზე და ყველას თავისუფლად შეეძლო გადაადგილება. ალექსანდრე ამირიძე ასევე აცხადებს, რომ ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თითქოს, ჯგუფის წევრები მის სახლში იკრიბებოდნენ და ცხოვრობდნენ, სიმართლეს არ შეესაბამება. ასევე, კატეგორიულად არ ეთანხმება იმ ვერსიას, რომ თითქოს, მან მიიღო მონაწილეობა ჯგუფის წევრების ჩამოყვანაში, გაწვრთნასა და სპეცოპერაციის

დაგეგმვაში. ის სამსახურში დადიოდა, შავნაბადაზე არ ყოფილა, მას ხედავდნენ თანამშრომლები, ამასთანავე, არ ფლობს სამხედრო ტექნიკას და არც ვინმეს მოსამზადებლად საკმარისი სამხედრო განათლება აქვს. ის ასევე უარყოფს, რომ ჯგუფი წინასწარ ჩაიყვანეს და შეიტყუეს ლოპოტას ხეობაში. ა. ამირიძის თქმით, მიზანი რომ ჯგუფის წევრების დახოცვა ყოფილიყო, არც მომლაპარაკებლებს აიყვანდნენ და ისეთ ადგილას ჩაუსაფრდებოდნენ, სადაც ცოცხალი ვერავინ გადარჩებოდა, ალყაც წინასწარ გაკეთდებოდა. ალექსანდრე ამირიძის თქმით, მას არ დაუგეგმავს, არ შეუსრულებია, არ გადაუწყვეტია სპეცოპერაციის ჩატარება და საერთოდ, არც საქმის კურსში ყოფილა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, მისი ჯგუფთან ყოფნისას არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჯგუფის რომელიმე წევრს ეთქვა, რომ ვინმემ მოატყუა და გზის მიცემის გარანტია ჰქონდათ. მსგავსი მას არ შეუმჩნევია და არც ჯგუფს დაუყენებია მოთხოვნა. ა. ამირიძე ვარაუდობს, რომ თუ ჯგუფს ვინმესგან რამე გარანტია ექნებოდა, მაშინ პირობის შესრულებას მოითხოვდნენ. როგორც მინიმუმ, დარეკვას პირობის გამცემ პირთან და დაკავშირებას, თუ ასეთი პირობის გამცემი არსებობდა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, იგი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, პანკისის ხეობაში ხშირად მიდიოდა, მისი დაინტერესების სფერო იყო ვაჭაბიტები, უმეტესად ისეთ ხალხს ხვდებოდა, ვინც ე.წ. ვაჭაბიტია. ბევრ ქისტთან მართლა მეგობრობს, ბევრთან თითქმის ნათესაური კავშირი აქვს, ბევრს სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ხვდებოდა.

ალექსანდრე ამირიძის აზრით, აღნიშნული ჯგუფის ლოპოტას ხეობაში შესვლა და საქართველო—რუსეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობა, რუსების მიერ დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული პროვოკაცია იყო. ყველაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული: დაღესტანში რუსეთის ჯარის შეყვანა, რუსეთ—საქართველოს საზღვარზე პოსტების დაყენება და ჯგუფის საქართველოდან წასვლა. ჯგუფის წევრებმა თვითონ გამოიფრეს ჯგუფის 2 წევრი, რომლებიც იყვნენ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების აგენტები და მათ ვინაობას თვითონვე ასახელებდნენ. ჯგუფის აღნიშნული 2 წევრიდან ერთი იყო დაღესტნელი, მეორე — ჩეჩენი ეროვნების. სწორედ ეს ადამიანები გადასცემდნენ ინფორმაციას, წააქემეს დანარჩენი წევრები, შეაგროვეს და წაიყვანეს ხეობაში. ა. ამირიძის თქმით, აღნიშნული 2 ადამიანი გარდაცვლილებში არიან.

სპეცოპერაციის შემდეგ ალექსანდრე ამირიძე ჩამოაშორეს ლაფანყურის საქმის გამოძიებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმდროინდელ ხელმძღვანელობასაც ეჭვი შეეპარა მასში, რის გამოც მისი დაკავებაც სურდათ, თუმცა შეძლო დარწმუნება საკუთარ სიმართლესა და უდანაშაულობაში. 2012 წელს, როცა ხელმძღვანელობა შეიცვალა, განცხადება დააწერინეს გათავისუფლებაზე, რამდენიმე დღის მერე დაიბარეს და ისევ დანიშნეს. ამის შემდეგ ერთხელ ისევ გათავისუფლეს იმ მოტივით, რომ სიმართლეს არ ამბობდა და ისევ დააბრუნეს სამსახურში. ალექსანდრე ამირიძე სამსახურიდან გათავისუფლეს 2012 წლის დეკემბერში, გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში. კადრების განკარგულებაში გადაყვანის მიზეზად განუმარტეს, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით მისი სახელი იყო ნახსენები, რის გამოც გამოძიების დასრულებამდე მისი სამსახურში ყოფნა შეუძლებელი იყო. 2013 წლის 15 აპრილიდან იგი გათავისუფლებულია საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროდან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მისვლის შემდეგ ა. ამირიძეს იბარებდნენ დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და მინისტრის მოადგილე — ხვედელიძე და ეუბნებოდნენ, სიმართლე ეთქვა ლაფანყურის მოვლენებთან დაკავშირებით. მის სამსახურში კი გამოუცხადეს თანამშრომლებს, რომ თუ ამირიძეს დაეკონტაქტებოდნენ, სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ.

მან მიიღო გარდაცვლილთა ამოცნობაში მონაწილეობა. ამასთანავე, ნახეს მონაცემთა ბაზები. ჯგუფის რამდენიმე წევრზე არ არსებობდა არანაირი მონაცემი. მისი აზრით, დაღესტნელები მთით გადმოვიდნენ და ლობოტას ხეობაში შეხვდნენ დანარჩენებს. ჯგუფის რამდენიმე წევრი კი ვერ დაადგინეს, როგორ შემოვიდა საქართველოში. რამდენიმე (უცხო ქვეყნის მოქალაქე: ავსტრიის და რუსეთის) — 2 კვირით ადრე ოფიციალურად იყო შემოული საქართველოს ტერიტორიაზე.

ალექსანდრე ამირიძე ასლან მარგოშვილის სახელზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიერ გაცემული იარაღის შენახვის უფლების მოწმობასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ იარაღის შენახვის ნებართვას გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო. „სტეჩკინის“ სისტემის იარაღის შეძენა—შენახვა, რისი შენახვის უფლებაც ასლან მარგოშვილს ჰქონდა, შესაძლებელია კანონმდებლობის დაცვით. ა. ამირიძე ამბობს, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრებ არაერთ ქისტს და ჩეჩენს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი გაფორმებული, ზოგს — რამდენიმეც.

დუკვახა დოშუევთან დაკავშირებით, ალექსანდრე ამირიძე აცხადებს, რომ ის იყო ასაკით ყველაზე უფროსი პირი ჯგუფში. სწორედ მან განუცხადა, რომ ჯგუფის წევრები მას არ ემორჩილებოდნენ. ა. ამირიძის თქმით, დუკვახა დოშუევმა ფანარი აჩუქა სახსოვრად. ამირიძის აზრით, მან (დოშუევმა) გონივრულად შეაფასა სიტუაცია და ფიქრობდა, რომ ისინი გზას აღარ განაგრძობდნენ. ფანარი მას თვითონ დასჭირდებოდა, თუ გზას განაგრძობდნენ. ფანარი ექნებოდა ერთი და არა რამდენიმე, რადგან ზედმეტ ნივთებს ტყეში არ ატარებდნენ. შეიძლება გულში ფიქრობდა, დანებებას და ჩაბარებას. თუმცა, ვერ შედგა მოლაპარაკება, ვერაფერს მიაღწიეს.

გარდაცვლილი სპეცრაზმელების შესახებ იცის, რომ შეტაკების დროს დაიღუპნენ. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ჩოხელი და წიკლაური ჯგუფს გამცილებლებად მიჰყვებოდნენ, ა. ამირიძე უარყოფს და აცხადებს, რომ ისინი იქ არ ყოფილან. ამირიძემ ჯგუფის ყველა წევრი ნახა, გარდა ერთისა, რომელსაც ნიღაბი ეკათა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, მასმედით გავრცელებული ბრალდებების შემდეგ (მაშინ ჯერ კიდევ მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში), იგი აგზავნიდა წერილს მთავარი პროკურორის — არჩილ კბილაშვილის სახელზე, თუმცა ანრიტეროროსტული ცენტრის ხელმძღვანელმა არ გააგზავნინა.

ალექსანდრე ამირიძის თქმით, ის დაიკითხა გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მიერ, ასევე გამოიკითხა გენერალური ინსპექციის მიერ. აცხადებს, რომ იგი, ისევე, როგორც გია ლორთქიფანიძე და ზურაბ მაისურაძე, თვითონაც უდანაშაულოა. ალექსანდრე ამირიძის განცხადებით, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ენდობა გამოძიების მწარმოებელ ორგანოს და არ უნდა გამოძიებას ხელი შეეშალოს მისი ნათქვამით.

3. ხათუნა ჩოხელის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა—განმარტება

2013 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა მცხეთის რაიონის სოფელ გაღავანში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, ხათუნა ჩოხელს, რომელიც არის 2012 წლის 28 აგვისტოს ლაფანყურთან ჩატარებული სპეციალური ოპერაციის დროს გარდაცვლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის — არჩილ ჩოხელის და. ხათუნა ჩოხელის განმარტებით, მისი ძმა არჩილ ჩოხელი (დაბადებული 1971 წ.) მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრში. არჩილ ჩოხელს დამთავრებული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი; ასევე, პოლიციის აკადემია; აგრეთვე იყო საქართველოს სამბოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. არჩილ ჩოხელი მშობლებთან ერთად მცხეთის რაიონ სოფელ გაღავანში ცხოვრობდა.

2012 წლის 28 აგვისტოს, დღის 12 საათზე არჩილ ჩოხელი სამსახურიდან (წინა დღეს იყო მორიგე) სახლში ჩვეულებისამებრ იმ დროს დაბრუნდა, როცა მორიგეობიდან ბრუნდებოდა ხოლმე. ცოტა ხნის შემდეგ დედას უთხრა, რომ შესაძლოა, სამსახურში გამოეძახათ და წასულიყო. რადგან არჩილ ჩოხელს გამოძახების შემთხვევაში, ზოგჯერ უწევდა სამსახურში დამატებით წასვლა, დედას არ უფიქრია, რომ რაიმე განსაკუთრებული ხდებოდა. 2012 წლის 28 აგვისტოს, დაახლოებით დღის 4 საათზე, არჩილ ჩოხელს დაურეკეს, რის შემდეგაც მან სწრაფად ჩაიცვა სამოქალაქო ტანსაცმელი და წავიდა თავისი მანქანით. როგორც წესი, სამსახურში იცვამდა ფორმას და იღებდა იარაღს. ხათუნა ჩოხელის ინფორმაციით, სპეციალური ოპერაციების ცენტრი განთავსებული იყო შავნაბადაზე. იმ დღეს — 28 აგვისტოს არჩილ ჩოხელს ოჯახის წევრებთან სატელეფონო კონტაქტი არ ჰქონია, რადგან იცოდნენ, რომ სამსახურში იყო. მეორე დღით, ანუ 2012 წლის 29 აგვისტოს, გამთენიისას არჩილ ჩოხელის სახლში მყოფმა ხათუნა ჩოხელის შვილმა — რატიმ დარეკა მის მობილურზე, ზარი გადიოდა, მაგრამ არავინ პასუხობდა. იმავე დღეს, დაახლოებით, დღის 1 საათზე, ვიდაცამ დაურეკა არჩილ ჩოხელის დის, ხათუნა ჩოხელის შვილს — რატის და უთხრა, რომ მცხეთაში მისულიყო. როგორც შემდეგ ოჯახის წევრებმა გაარკვეეს, ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო არჩილ ჩოხელის გარდაცვალების შესახებ. ტელევიზიითაც გამოუცხადებიათ, რომ 3 ჯარისკაცი იყო გარდაცვლილი. მცხეთის გამგეობაში რატის უთხრეს, რომ არჩილ ჩოხელი გარდაცვლილი იყო, მაგრამ დეტალები არ უთქვამთ. ამ შეტყობინების შემდეგ, 29 აგვისტოს არჩილ ჩოხელის ოჯახის წევრებს არავინ დაკავშირებია. 2012 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი მივიდა არჩილ ჩოხელის სახლში და გარდაცვლილის მამას უთხრეს, რომ ჟურნალისტებისთვის ინტერვიუ არავის მიეცა; რაც შეეხება ცხედარს, უთხრეს, რომ არჩილ ჩოხელის ცხედარი იყო გადასვენებული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და სახლში 30 აგვისტოს დღის 5 საათზე მიასვენებდნენ. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზის ბიუროში მისულ რატის (ხათუნა ჩოხელის შვილს), განუცხადეს, რომ არჩილ ჩოხელი რეგისტრირებული არ იყო. ოჯახის წევრების ინფორმაციით, არჩილ ჩოხელის ცხედარს ექსპერტიზა არ ჩატარებია, მათთვის არც ექსპერტიზის ასლი გადაუციათ. ხათუნა ჩოხელისთვის არც ის ფაქტია ცნობილი, ჩაუტარდა თუ არა გარეგნული დათვალიერება არჩილ ჩოხელის ცხედარს. 2012 წლის 30 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც არჩილ ჩოხელის ცხედარი სახლში გადასვენეს, პანაშვიდზე

მიდიოდნენ მისი თანამშრომლები, რომლებიც ფრაგმენტულად ყვებოდნენ არჩილ ჩოხელის გარდაცვალების გარემოებების შესახებ, კერძოდ, აცხადებდნენ, რომ არჩილ ჩოხელი, იოსებ წიკლაური (გარდაცვლილი) და სხვები (მათ ვინაობას და რაოდენობას არ ასახელებდნენ) თვითმფრინავით წავიდნენ. ხათუნა ჩოხელის ინფორმაციით, სოფელ არაშენდაში მცხოვრები ზურაბ ზურაბიშვილი იყო არჩილ ჩოხელის ზემდგომი თანამდებობის პირი, რადგან ის ურეკავდა და იძახებდა დავალებებზე. ზურაბ ზურაბიშვილი აღნიშნული სპეცოპერაციის დროს დაიჭრა და სავადაუდოდ, ყველაფერი იცის, მაგრამ არჩილ ჩოხელის ოჯახის წევრებთან არც სამძიმარზე მისულა და მითუმეტეს, არც სხვა დეტალებზე უთქვამს რამე. ხათუნა ჩოხელის თქმით, 30 აგვისტოს ღამე მათ სახლში მისული დათო ტერტერაშვილი (მისი განცხადებით, არჩილ ჩოხელის თანამშრომელი) ყვებოდა, რომ სროლის დროს ქვის უკან იმალებოდა და ნახა, როგორ დაიღუპა არჩილ ჩოხელი. მოგვიანებით, არჩილ ჩოხელის სხვა თანამშრომლებმა (ხათუნა ჩოხელმა არ იცის კონრეტულად სახელი და გვარი) უთხრეს, რომ დათო ტერტერაშვილი საერთოდ არ ყოფილა სპეცოპერაციაზე წასული.

ხათუნა ჩოხელის თქმით, არჩილ ჩოხელის სამძიმარზე მისულმა ბიჭებმა (სახელები და გვარები არ იცის) განაცხადეს, რომ არჩილ ჩოხელი მხოლოდ მოგვიანებით მოიკითხეს იმის გამო, რომ ვერ გაიგეს, სად იყო. ხათუნა ჩოხელის განცხადებით, იმის გამო, რომ მისი ძმის თანამშრომლები ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებს აჟღერებდნენ, გაუგებარია, ერთი მხრივ, თუ ნახეს როგორ დაიღუპა არჩილ ჩოხელი, მაშინ როგორ ვერ გაიგეს, სად იყო, და მოგვიანებით რატომ მოიკითხეს. ასევე, ხათუნა ჩოხელი ვარაუდობს, რომ არჩილ ჩოხელი გვიან გაიყვანეს იმ ადგილიდან (სპეცოპერაციის ადგილიდან), რადგან 29 აგვისტოს გამთენიის შემდეგ მხოლოდ 30 აგვისტოს საღამოს დღის მეორე ნახევარში მისვენეს სახლში.

არჩილ ჩოხელის გარდაცვალებიდან დაახლოებით ორმოცი დღის შემდეგ, არჩილ ჩოხელის და და დედა იყვნენ მის სასაფლაოზე, სადაც შეხვდნენ იქ მისულ მისი ძმის თანამშრომლებს: ელიზბარაშვილს, ჩაჩუას (თუ ჩიჩუა), კახოშვილს, ბაჩას, (გვარი არ იცის), გოგა წიკლაურს (აქვს მათი ტელეფონის ნომრები). ბაჩა და გოგა წიკლაური არ აქტიურობდნენ, დანარჩენები აქტიურობით გამოირჩეოდნენ: უთხრეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიემართათ დახმარებისთვის. არჩილ ჩოხელის დედამ მათ ჰკითხვა, სიმართლეს შეეფერებოდა თუ არა იმ დროისთვის გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს, სპეცოპერაციის ერთ-ერთმა სნაიპერმა შემთხვევით მოკლა არჩილ ჩოხელი და შემდეგ თავი მოიკლა. თანამშრომლებმა ხათუნა ჩოხელს და დედამისს განუცხადეს, რომ მისი ძმა ჩეჩნებმა მოკლეს. ხათუნა ჩოხელის წარმოდგენით, ისინი მოგზავნილები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, კახოშვილი, რომელიც არჩილ ჩოხელის დედის მსგავსად წარმოშობით თიანეთიდან არის, ცდილობდა მისი ნდობის მოპოვებას და აცხადებდა, რომ არჩილ ჩოხელის თანამშრომლები სიმართლეს ამბობდნენ. კახოშვილმა ისიც თქვა, რომ არჩილ ჩოხელს დაპირისპირება ჰქონდა ივანე მერაბიშვილთან, თუმცა ოჯახის წევრებს ეს ინფორმაცია არასდროს გაუგიათ. ხათუნა ჩოხელს მისი ძმისგან ჰქონდა გაგებული, რომ არჩილ ჩოხელი, როგორც სპორტსმენი, იღებდა ხელფასს ივანიშვილისგან და სამსახურში ამ ფაქტზე ამახვილებდნენ ყურადღებას. სხვა მხრივ, არჩილ ჩოხელის სამსახურში რაიმე დაპირისპირების არსებობის შესახებ ინფორმაცია დისთვის ცნობილი არ არის. აღნიშნულმა პირებმა ისიც თქვეს, რომ დაუმთავრდათ ტყვიები, რის გამოც დაბრუნდნენ უკან და მერე ისევ მიბრუნდნენ სპეცოპერაციის ადგილზე, თუმცა არ დაუკონკრეტებიათ, რომელი

მათგანი მონაწილეობდა მოცემულ სპეცოპერაციაში. არჩილ ჩოხელის დის ინფორმაციით, კახოშვილი სპეცოპერაციაში არ მონაწილეობდა. ხათუნა ჩოხელმა და დედამისმა მათ ჰკითხეს ექიმის გარდაცვალების შესახებაც, კერძოდ, როგორ დაიღუპა ექიმი, თუ „შიგნით“ არ ყოფილა და „გარეთ“ იყო. (მან არ იცის, „შიგნით“ და „გარეთ“ რას ნიშნავს, თუმცა თვითონ თანამშრომლები ასე ყვებოდნენ და ამ ტერმინებს იყენებდნენ. სავარაუდოდ „შიგნით“ ტერიტორია იმ ადგილს ნიშნავს, სადაც შეტაკება მოხდა.) არჩილ ჩოხელის დედისა და დის მიერ გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით დასმული კითხვებით განაწყენებულმა თანამშრომლებმა დატოვეს სასაფლაოს ტერიტორია იმ მიზეზით, რომ ოჯახის წევრები მათ ნათქვამს არ ენდობოდნენ.

ხათუნა ჩოხელი განმარტავს, რომ არჩილ ჩოხელს სახე გაშავებული ჰქონდა, ხელები მაჯებზე გადაჭრილი. აღნიშნულ დაზიანებებთან დაკავშირებით, ოჯახის წევრებს უთხრეს, რომ სახე დაეწვა, ხელები კი იმიტომ გაეჭრა, რომ ბინტი ჰქონდა შეკრული. ხელები არც გაშავებული ჰქონდა და არც დაზიანებული სხვა მხრივ არ ჰქონია. მეორე გარდაცვლილის, წიკლაურის ცხედარს, რომელსაც თავში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, ჩოხელისგან განსხვავებით, სახე თეთრი ჰქონდა.

ხათუნა ჩოხელის განმარტებით, გარდაცვლილი არჩილ ჩოხელის ცხედარს ეცვა კოსტიუმი, რომელიც გარდაცვლილს არ ეკუთვნოდა. მისი ვარაუდით, ტანსაცმელი ვინმემ იყიდა. ოჯახის წევრებისთვის არავის გადაუცია ის ტანსაცმელი, რომელიც არჩილ ჩოხელს სპეცოპერაციის დროს ეცვა. ხათუნა ჩოხელის ინფორმაციით, არჩილ ჩოხელს ეცვა დამცავი ჟილეტი და ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მარცხენა მხარეს, სადაც ჟილეტი იკვრებოდა. აღნიშნულის შესახებ მას უთხრა მეზობელმა ვაჟა დორეულმა, რომელიც 30 აგვისტოს, ვიდრე არჩილ ჩოხელის ცხედარს სახლში მისვენებდნენ, გაამგზავრეს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, სადაც იცოდნენ, რომ მისი ძმა იყო მისვენებული. როცა ვაჟა დორეული დაბრუნდა სახლში, დაიღო ხელი ფერდთან, მარცხენა მხარეს და თქვა, რომ არჩილ ჩოხელს ტყვია სწორედ ამ ადგილას ჰქონდა მოხვედრილი. ოჯახის წევრებმა ზუსტად არც ის იციან, რამდენი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი არჩილ ჩოხელს და რა იყო უშუალოდ გარდაცვალების მიზეზი.

ხათუნა ჩოხელის განცხადებით, მთელი ამ ხნის განმავლობაში მათთან არავინ მისულა და არ მოუყოლია კონკრეტულად, რა მოხდა სპეცოპერაციის დროს. 2012 წლის ნოემბერში მისი მეუღლე იყო წასული სოფელ ლაფანყურში. სოფლის მცხოვრებლები დაშინებულები იყვნენ და არ საუბრობდნენ დეტალებზე, თუმცა ზოგადად ყვებოდნენ, რომ სოფელი სავსე იყო სამხედროებით და ჯარისკაცებით. ლაფანყურის მაცხოვრებლების განმარტებით, სოფელში ყოფილა ხიდი, რომელიც გადადის იმ ხეობაში, სადაც შეტაკება მოხდა. აღნიშნული სპეცოპერაციიდან თითქმის 2 თვის განმავლობაში მანქანებსაც არ უშვებდნენ ხიდს იქით. სოფლის მაცხოვრებლების თქმით, იმავე ღამეს დაიბომა შემთხვევის ადგილი..

2012 წლის 9 ნოემბერს ხათუნა ჩოხელმა განცხადებით მიმართა პროკურატურას მისი ძმის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების ჩატარებისა და დამნაშავე პირების დასჯის მოთხოვნით. მოგვიანებით გაიგო, რომ მისი განცხადება ანტიკორუფციულ დეპარტამენტში დაეწერა გამოძიებელ შანშიაშვილს, რომელმაც განუცხადა, რომ სისხლის სამართლის საქმე გაითხოვა და გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, შანშიაშვილს გამოძიება არ ჩაუტარებია.

ხათუნა ჩოხელის თქმით, შემდეგ სამჯერ შეხვდა საქმის გამოძიების მწარმოებელ პირს — შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის გამომძიებელს, ლადო დათაშვილს. გამომძიებელმა უამბო, რა ვითარებაში დაიღუპა მისი ძმა. აგრეთვე, აცნობა, რომ არჩილ ჩოხელის ყველა თანამშრომელი დაიკითხა და ყველამ ერთნაირი ჩვენება მისცა. რამდენიმე თვის წინ დაუკავშირდა გამომძიებელი და დაინტერესდა, იყვნენ თუ არა ოჯახის წევრები თანახმა არჩილ ჩოხელის გვამის ექსპერტიზის ჩატარებაზე, თუმცა მათ თანხმობა არ განაცხადეს. ხათუნა ჩოხელმა მოითხოვა დაეკითხათ მაშინდელი თანამდებობის პირები: ბაჩანა ახალაია, გიორგი (გია) ლორთქიფანიძე, მამუკა აბაშიძე (რომელიც არის თანამდებობის პირი სპეციალურ ოპერატიულ ცენტრში), სანდრო ამირიძე, თუმცა როგორც მისთვის ცნობილია, ეს პირები არ დაკითხულან. ოჯახის წევრების მოთხოვნაა სპეცოპერაციის მონაწილე ყველა პირი დაიკითხოს. მათთვის დეტალები უცნობია. ასევე, უცნობია, რომელი პირი იყო მის ძმასთან ერთად. სურთ იცოდნენ, თვითმფრინავით ვინ წავიდა ჩოხელთან ერთად. მისთვის გაუგებარია, რა ვითარებაში გარდაიცვალა მისი ძმა.

ხათუნა ჩოხელის განმარტებით, სოსო წიკლაური, რომელიც არჩილ ჩოხელთან ერთად დაიღუპა, სნაიპერი იყო. მისთვის ცნობილია, რომ წიკლაური არ ყოფილა გამოძახებული სპეცოპერაციაზე იგი (სოსო წიკლაური) წაჰყვა მის მეგობარ სპეცრაზმელს — ჟანრი ნოდისას.

4. ვაჟა დორეულის 2013 წლის 13 ნოემბრის ახსნა—განმარტება

2013 წლის 13 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა მცხეთის რაიონის სოფ. გაღავანში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, ვაჟა დორეულს. მისი განცხადებით, იგი არის გარდაცვლილი არჩილ ჩოხელის თანასოფელი. არჩილ ჩოხელის ცხედრის სახლში მისვენების შემდეგ მისულმა ექიმმა თქვა, რომ მისი მისვლის მიზანი გარდაცვლილისათვის სისხლის ამოღება იყო. აღნიშნულ საქმიანობაში ექიმს ეხმარებოდნენ ვაჟა დორეული და კიდევ რამდენიმე ადამიანი: მით ჭინჭარაშვილი, ალიკა ამირხანაშვილი. როდესაც არჩილ ჩოხელის ცხედრისთვის ტანსაცმლის გახდაში ეხმარებოდნენ, ექიმმა აჩვენა გარდაცვლილის სხეულზე არსებული ნატყვიარი, რომელიც მდებარეობდა მარცხენა მხარეს, ფერდში, იმ ადგილას, სადაც ნეკნები მთავრდება. ნატყვიარის ზომა, ვაჟა დორეულის განმარტებით, დაახლოებით ცერა თითის ზომის შემავალ ჭრილობას წარმოადგენდა. სხვა დაზიანება მას არჩილ ჩოხელის სხეულზე არ შეუმჩნევია, მხოლოდ შესამჩნევი იყო სახეზე მარჯვენა მხარეს თვალის არეში არსებული ჩალურჯება, რომელიც განსხვავდებოდა გვამის სიშავისგან. ექიმის თქმით, შესაძლოა, გარდაცვლილი ეგდო დაღმართ ადგილას, რის გამოც სისხლი თავისკენ წავიდა და ამან გამოიწვია ცხედრის გაშავება. ვაჟა დორეულის თქმით, მისი ინფორმაციით, ექიმი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა მიყვანილი და არა ოჯახის წევრების.

5. მერაბ მარგოშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა—განმარტება

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მერაბ მარგოშვილის მიერ მიცემული ახსნა—განმარტების თანახმად, ის არის 2012 წლის აგვისტოში, ლაფანყურში, სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის მამა.

მერაბ მარგოშვილის განმარტებით, მისი შვილი — ასლან მარგოშვილი 2011 წლის სექტემბერში წავიდა საქართველოდან ფინეთში, ხოლო თვენახევრის შემდეგ — გადავიდა სლოვაკეთში, სადაც როგორც მისთვის ცნობილია, იმყოფებოდა 2012 წლის ლაფანყურში ჩატარებულ სპეცოპერაციამდე. ამ პერიოდის განმავლობაში — ე.ი. 2011 წლიდან 2012 წლის აგვისტომდე, ასლან მარგოშვილი ოჯახის წევრებს უკავშირდებოდა კომპიუტერის საშუალებით - ელექტრონული ფოსტის და სოციალური ქსელების საშუალებით, ასევე, მობილური ტელეფონით უცხოური ნომრიდან. როგორც სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ მერაბ მარგოშვილისთვის გახდა ცნობილი, ასლან მარგოშვილი საქართველოს ტერიტორიაზე 2012 წლის 13 მარტს დაბრუნდა. მერაბ მარგოშვილის თქმით, აღნიშნული მონაცემები სასაზღვრო პოლიციას წაშლილი აქვს და დაფიქსირებული არ არის ასლან მარგოშვილის საქართველოში შემოსვლის თარიღი და სასაზღვრო მონაკვეთი, საიდანაც შემოვიდა იგი საქართველოში. ასევე განადგურებულია ასლან მარგოშვილის მონაცემები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ის სამშენებლო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო. ინფორმაცია ასლან მარგოშვილის საქართველოში შემოსვლის თარიღის, ასევე, მონაცემების განადგურების შესახებ, ოჯახმა გაიგო ნაცნობებისგან. .

მერაბ მარგოშვილის თქმით, ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ, როდესაც გაიგო, რომ დაიღუპნენ ადამიანები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ადგილობრივმა თანამშრომელმა ემზარ მაჩალიკაშვილმა უთხრა, რომ მათი სოფლიდან გარდაცვლილი არავინ იყო, თუმცა შემდეგ, როცა უკვე ცნობილი გახდა მათთვის გარდაცვლილთა ვინაობა, ემზარ მაჩალიკაშვილი აცხადებდა, რომ ვერ ამოიცნო ასლან მარგოშვილის ცხედარი, რადგან 2 წლის განმავლობაში ნანახი არ ჰყავდა. მერაბ მარგოშვილის განმარტებით, 2012 წლის 31 აგვისტოს თანასოფლელი ვაჰაბიტებისგან ოჯახის წევრებმა გაიგეს, რომ ასლან მარგოშვილი გარდაიცვალა ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს. ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლები ცხედრის გადმოსვენებას მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ თანხმდებოდნენ. თავიდან რამდენიმე პირობა იყო, ხოლო საბოლოოდ მოითხოვეს, რომ ცხედარი გადმოსვენების შემდეგ იმავე დღეს უნდა დაეკრძალათ, სამძიმარზე ხალხი არ მისულიყო და არ შეკრებილიყო, არ მისულიყვნენ ჟურნალისტები და მათთან არ ჰქონოდათ ურთიერთობა. 2012 წლის 2 ან 3 სექტემბერს მერაბ მარგოშვილი, ასლაუდინ აღდამოვი (დუკაკალაევი) და ბურაბ ბალაკაშვილი ზელიშხან ხანგოშვილმა თბილისში წაიყვანა საკუთარი ჯიპით. თბილისში, ორთაჭალაში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში დახვდათ სანდრო ამირიძე. შემდეგ შეხვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს - გიორგი ლორთქიფანიძეს. საუბრისას მან აღნიშნა, რომ ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო. მაგრამ ვინაიდან შეარაღებულმა პირებმა არ ჩააბარეს იარაღი, ძალოვანი სტრუქტურები იძულებული გახდნენ ჩაეტარებინათ სპეცოპერაცია. მან ასევე შესთავაზა მათ, რომ თუ ჯგუფის ცოცხლად გადარჩენილი წევრებიდან რომელიმეს ნახავდნენ, ეთქვათ მათთვის, რომ თუ მივიდოდნენ გია ლორთქიფანიძესთან ან შინაგან საქმეთა ორგანოებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავად შეუწყობდა ხელს საქართველოს ტერიტორიის დატოვებაში. ცხედრების გადაცემისას ლორთქიფანიძემ წაუყენა პირობა, რომ უნდა დაეკრძალათ გათენებამდე, არ ჰქონოდათ ურთიერთობა ჟურნალისტებთან და არ ყოფილიყო ხალხმრავლობა.

შემდეგ წავიდნენ გლდანში მდებარე სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში, სადაც რეანომობილში გადასვენეს 2 გარდაცვლილის - ასლან მარგოშვილის და ბაჰაუდინ ქავთარაშვილის ცხედარი, ხოლო მესამე გარდაცვლილის - ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ცხედრის გადაცემაზე უარი განუცხადეს. მათი განმარტებით, ცხედარს ვერ გადასცემდნენ ნათესავებს, გარდა ოჯახის წევრისა. ცხედრების გადაცემას ესწრებოდა სანდრო ამირიძეც. სოფელ დუისში დაბრუნდნენ ზელიმხან ხანგოშვილის ავტომანქანით.

მერაბ მარგოშვილის განმარტებით, 2012 წლის ზაფხულში პანკისის ხეობაში შეინიშნებოდა ჩეჩენი ეროვნების პირების მოჭარბებული სიმრავლე. ისინი ჩამოსულები იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. მერაბ მარგოშვილის ინფორმაციით, აღნიშნული პირები ცხოვრობდნენ თბილისში, დაქირავებულ ბინებში. ბინები მათთვის დაქირავებული ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სპეცოპერაციის ჩატარებამდე აღნიშნული პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ჯიპებით გადაიყვანეს ლაფანყურში. აღნიშნულის შესახებ ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი პირი მოუყვა ერთ-ერთი გარდაცვლილის - სალამ ზაურბეკოვის დედას, მელქან ზაურბეკოვს.

2012 წლის 23 ან 26 ივლისს ასლან მარგოშვილის სახელზე შენახვის უფლებით გაფორმდა „სტეჩკინის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი. თუმცა, ეს ინფორმაცია არ ფიქსირდება ბაზაში - ასე განუმარტეს მერაბ მარგოშვილს კონტრტერორისტული ცენტრის გამომძიებლებმა. ამ დოკუმენტის ერთ-ერთი ასლი, რომელიც ასლან მარგოშვილს ჰქონდა, წაიღო გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ. თუმცა, ასლი ასევე აქვს ჟურნალისტ ნანა ლეჟავას.

მერაბ მარგოშვილის ინფორმაციით, ჯგუფი, რომელშიც იყო მისი შვილი ასლან მარგოშვილი, წერთნას გადიოდა შავნაბადას ბაზაზე. მისი ინსტრუქტორები იყვნენ სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი წიკლაური და არჩილ ჩოხელი. მერაბ მარგოშვილის თქმით, ჟურნალისტ ნანა ლეჟავას აქვს ფოტოსურათები, სადაც ასლან მარგოშვილი და ბალაკაშვილი გადაღებულები არიან ბინაში ცეცხლსასროლი იარაღით.

6. ასლაუდინ დუაკალაევის (ალდამოვი) 2013 წლის 6 მარტის ახსნა—განმარტება

2013 წლის 6 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა—განმარტებით მიმართა 2012 წლის აგვისტოში, ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ბაჰაუდინ ქავთარაშვილის მამამ, ასლაუდინ დუაკალაევმა. ასლაუდინ დუაკალაევის განმარტებით, ის 2012 წლის აპრილში წავიდა რუსეთის ფედერაციაში და საქართველოში დაბრუნდა 2012 წლის 15 აგვისტოს. მისი შვილი, ბაჰაუდინ ქავთარაშვილი დაიბადა და ცხოვრობდა საქართველოში, ახმეტის რაიონის სოფელ დუისში. მისი შვილი, ბაჰაუდინ ქავთარაშვილი სახლიდან წავიდა 2012 წლის 16 აგვისტოს და სახლში არ დაბრუნებულა. ამასთან, არ უთქვამს, სად მიდიოდა.

ასლაუდინ დუაკალაევის თქმით, 2012 წლის 28 აგვისტოს, ლაფანყურთან მომხდარი შეტაკების შესახებ, სოფელში ხალხისგან გაიგო. დაახლოებით 2 საათში, ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ ქართველ ძალოვნებსა და დაღესტნელებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რომლის დროსაც დაიღუპნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. ტელევიზიით გადაცემულ ვიდეო კადრებში აჩვენეს გარდაცვლილები, რომელთაგან ამოიცნო საკუთარი შვილი — ბაჰაუდინ

ქავთარაშვილი. ამ დროს მასთან მივიდნენ თანასოფლელი ვაჰაბიტები და უთხრეს, რომ ზემოაღნიშნული ინციდენტის დროს მოკლულები იყვნენ მათი თანასოფლელები, მათ შორის, მისი შვილიც და სთხოვეს ნებართვა, რომ მოემზადებინათ საფლავი მისი შვილის დასაკრძალად, რაზეც ასლაუდინ დუაკალაევი დათანხმდა. მათ ასევე უთხრეს, რომ ძალოვნები მეორე დღეს გადასცემდნენ მიცვალებულთა ცხედრებს, რის შემდეგაც მათ დაკრძალავდნენ. მეორე დღეს მასთან კვლავ მივიდნენ ვაჰაბიტები და უთხრეს, რომ ცხედრების გადაცემა ოჯახებისთვის დაგეგმილი არჩევნების გამო ჭიანურდებოდა და ეს არჩევნების შემდეგ მოხერხდებოდა. ასლაუდინ დუაკალაევის თქმით, მან ამბზე სასტიკი უარი განაცხადა, და უთხრა, რომ ცხედრის გადაუცემლობის შემთხვევაში, უკიდურეს ზომებს მიმართავდა: წავიდოდა რუსეთში და მასმედიით გაახმაურებდა მომხდარს. მომდევნო დღეს ასლაუდინ დუაკალაევთან მივიდნენ ვაჰაბიტები და განუმარტეს, რომ ხელისუფლების ორგანოები თანახმა იყვნენ გადაესვენებინათ მიცვალებულები. მას იმავე საღამოს მოუწევდა თბილისში წასვლა და ცხედრების გადასვენება. მათვე უთხრეს, რომ ალბათ ღამით მოუწევდა დასაფლავება, ვინაიდან ეს ამბავი არ უნდა გახმაურებულიყო. იმ საღამოს ასლაუდინ დუაკალაევთან მივიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი — ზელიმხან ხანგოშვილი და თბილისში წაიყვანა საკუთარი ავტომანქანით. მასთან ერთად იყვნენ მისი თანასოფლელები: ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილების: ასლან მარგოშვილის მამა - მერაბ მარგოშვილი და ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ბიძაშვილი - ზურაბ ბალაკაშვილი. ზელიმხან ხანგოშვილმა მათ უთხრა, რომ იბარებდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა გადაეცათ გარდაცვლილთა ცხედრები.

თბილისში დაახლოებით ღამის 12 საათზე ჩავიდნენ და მივიდნენ ორთაჭალაში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მათ შესასვლელში დახვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსი სანდრო ამირიძე, რომელიც მონაწილეობდა ლაფანყურის სპეცოპერაციამდე მოლაპარაკებებში. სანდრო ამირიძემ ისინი მიიყვანა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან — გიორგი ლორთქიფანიძესთან, სადაც მათ ასევე დახვდა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი. გიორგი ლორთქიფანიძემ მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო და უთხრა, რომ მომხდარი ქართული მხარის ბრალი არ ყოფილა. მათ ეკონათ, რომ ბიჭები დაუჯერებდნენ და იარაღს დაყრიდნენ, რა შემთხვევაშიც დერეფნის მეშვეობით საზღვარგარეთ გაყვანას პპირდებოდნენ, თუმცა, ჯგუფის წევრებმა არ დაუჯერეს. ასლაუდინ დუაკალაევის თქმით, გიორგი ლორთქიფანიძემ მათ უთხრა, რომ ცხედრებს მხოლოდ იმ პირობით გადასცემდნენ, თუ მათ იმავე ღამეს დაკრძალავდნენ, ჭირისუფლების მონაწილეობის და სამძიმრის გარეშე, არ გაახმაურებდნენ არც სოფელში და არც ოჯახებში სოფელში ცხედრების ჩასვენების ამბავს. ასლაუდინ დუაკალაევის მტკიცებით, გიორგი ლორთქიფანიძეს არ უნდოდა ამ ამბის გასაჯაროება, არ სურდა საერთოდ ვინმეს გაეგო ეს ამბავი. გარდაცვლილთა ოჯახის წევრები იძულებული იყვნენ აღნიშნულ პირობაზე დათანხმდებოდნენ, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. ამის შემდეგ დათანხმდა გია ლორთქიფანიძე, რომ გადასცემდა ბაჰაუდინ ქავთარაშვილის და ასლან მარგოშვილის ცხედრებს, ხოლო ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ცხედარს გადასცემდა მოგვიანებით. აღნიშნული საუბრის შემდეგ, სანდრო ამირიძემ და ზელიმხან მარგოშვილმა გარდაცვლილების ნათესავები წაიყვანეს თბილისში, გლდანში მდებარე

სასჯელალსრულების №8 დაწესებულებასთან, საიდანაც რეანომობილით გადაასვენეს ასლან მარგოშვილის და ბაჰაუდინ ქავთარაშვილის ცხედრები. ცხედრები დუისში დილის 5 საათისთვის ჩაასვენეს, სასაფლაოზე შემოვლითი გზით წავიდნენ, სადაც ბაჰაუდინ ქავთარაშვილის და ასლან მარგოშვილის ცხედრები რიტუალების ჩატარებლად დაკრძალეს.

ასლაუდინ დუაკალაევის თქმით, სანდრო ამირიძემ უთხრა, რომ ინციდენტის დროს ჯგუფის ყველა წევრი არ გარდაცვლილა, იყვნენ ცოცხლად გადარჩენილებიც, რომლებიც გაიქცნენ. თუ ჯგუფის ცოცხლად გადარჩენილი წევრები მასთან მივიდოდნენ, გაეგზავნა სანდრო ამირიძესთან და ის დაეხმარებოდა მათ საქართველოს ტერიტორიის დატოვებაში.

ბაჰაუდინ ქავთარაშვილის დაკრძალვიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ თანასოფელელმა ასლაუდინ დუაკალაევს უთხრა, რომ სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე მან დაინახა, თუ როგორ წაიყვანეს პოლიციის მანქანით ლაფანყურის მიმართულებით მისი შვილი და ინციდენტის სხვა მონაწილეები. ასევე, ასლაუდინ დუაკალაევს ერთმა მეცხვარემ უთხრა, რომ პირადად დაინახა, რომ ინციდენტამდე 2 დღით ადრე ვერტმფრენებით ლაფანყურის ტყეში დესანტი გადასვეს. მეცხვარემ მას ასევე უთხრა, რომ ინციდენტიდან რამდენიმე დღეში, ტყეში ყოფნისას მასთან მივიდა 2 შეიარაღებული ჩეჩენი, რომლებიც ეძებდნენ ინციდენტის შემდეგ გადარჩენილებს. აღნიშნული ჩეჩენები იყვნენ პირები, რომლებიც ასორციელებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების უკანონო დავალებების შესრულებას. მათ მეცხვარეს უთხრეს, რომ უნდოდათ გადარჩენილების დახმარება, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის დატოვებაში დახმარება.

7. ზურაბ ბალაკაშვილის 2013 წლის 6 მარტის ახსნა—განმარტება

საქართველოს სახალხო დამცველისთვის ზურაბ ბალაკაშვილის მიერ მიცემული ახსნა—განმარტების თანახმად, 2012 წლის აგვისტოში, სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი ბაჰაუდინ ბალაკაშვილი იყო მისი ბიძაშვილი. 2012 წლის 28 აგვისტოს, ზურაბ ბალაკაშვილი იმყოფებოდა გორში, გარდაცვლილი შვილიშვილის ორმოცზე. როდესაც გორიდან ბრუნდებოდა, მის დას დაურეკეს და უთხრეს, რომ ტელევიზიით აცხადებდნენ, რომ ბაჰაუდინ ბალაკაშვილი დაიღუპა სპეცოპერაციის დროს. გზაზე მათ ხვდებოდნენ სამხედროები, ზურაბ ბალაკაშვილის აზრით, სპეცოპერაციასთან დაკავშირებით. ოპერაციის ჩატარების შემდეგ ადგილობრივი ვაჭაბიტები ეუბნებოდნენ, რომ ცხედრებს გადასცემდნენ, შემდეგ განაცხადეს, რომ ორგანოებმა უარი განაცხადეს ცხედრების გადაცემაზე. 2012 წლის 1 ან 2 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა — ზელიმხან ხანგოშვილმა ზურაბ ბალაკაშვილი, მერაბ მარგოშვილი და ასლაუდინ დუაკალაევი წაიყვანა თბილისში, ორთაჭალაში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, სადაც შესასვლელში დახვდათ სანდრო ამირიძე. სანდრო ამირიძე ნათესავებთან შეხვედრისას აცხადებდა, რომ იგი არ მოელოდა ამ პირებისგან წინააღმდეგობის გაწევას. ყველანი ავიდნენ შენობაში, ერთ-ერთ კაბინეტში, სადაც იმყოფებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე - გიორგი ლორთქიფანიძე და ახალგაზრდა მამაკაცი იუსტიციის სამინისტროდან ან პროკურატურიდან.

შემდეგ წავიდნენ გლდანში მდებარე სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში, ცხედრების გადასაცემად, სადაც გადასცეს მხოლოდ 2 გარდაცვლილის - ასლან მარგოშვილის და ბაჰაუდინ ქავთარაშვილის ცხედარი. ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ცხედრის გადაცემაზე უარი უთხრეს და განუმარტეს, რომ უნდა ყოფილიყო მისი ოჯახის წევრი: მშობლები ან ძმები. ზურაბ ბალაკაშვილმა უთხრა, რომ შეეძლო მიეყვანა გარდაცვლილის და - თამარ ბალაკაშვილი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, თუმცა ამაზე განაცხადეს, რომ ქალს არ გადასცემდნენ ცხედარს, აუცილებლად უნდა ყოფილიყო გარდაცვლილის მამა ან ძმა. ზურაბ ბალაკაშვილის თქმით, აღნიშნული განუცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ - გია ლორთქიფანიძემ. გადასცეს მხოლოდ 2 ცხედარი და პირობად წაუყენეს, რომ იმავე ღამეს უნდა დაეკრძალათ, არ უნდა შეკრებილიყო ხალხი სამძიმარზე. ცხედრები ღამით ჩაასვენეს დუისში, სოფელში შევიდნენ ცენტრალური შესასვლელის გვერდის ავლით და იმავე ღამეს, გამთენიისას დაკრძალეს.

ზურაბ ბალაკაშვილი შემდეგ დაუკავშირდა ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ოჯახს ავსტრიაში, რომ ძმა ჩამოსულიყო საქართველოში და გადაესვენებინა ცხედარი. როდესაც გარდაცვლილის ძმები საქართველოში ჩამოვიდნენ, თბილისის აეროპორტში ფორმირებულ პირმა მათ უთხრა, რომ თუ ხეობაში რძალს წაიყვანდნენ, მას საზღვარზე არ გაატარებდნენ. ასლან მარგოშვილისა და ბაჰაუდინ ქავთარაშვილის ცხედრების დაკრძალვიდან ერთი დღის შემდეგ, ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ცხედარი გადასცეს ზურაბ ბალაკაშვილს, გარდაცვლილის ძმებს - ომარ და ხიზირ ბალაკაშვილებს, თუმცა ამჯერად პირობა, რომ ღამით დაეკრძალათ, მათთვის არ წაუყენებიათ. როცა პანკისის ხეობაში ჩავიდნენ, დაახლოებით დღის 3-4 საათი იქნებოდა, როცა ბაჰაუდინ ბალაკაშვილი დაკრძალეს.

ბაჰაუდინ ბალაკაშვილი ავსტრიაში მის ოჯახთან - მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობდა. საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურმა ორგანოებმა ოჯახს არ მისცეს ბაჰაუდინ ბალაკაშვილის გარდაცვალების მოწმობა, განუცხადეს, რომ გამოძიების დასრულებამდე გარდაცვალების მოწმობას ვერ გასცემდნენ.

ზურაბ ბალაკაშვილის განმარტებით, 2012 წლის აგვისტოში, ლაფანყურში სპეცოპერაციის ჩატარებამდე, სოფელ დუისში შეინიშნებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჩეჩენი ახალგაზრდების სიმრავლე. ასეთი რაოდენობით ისინი წინა წლებში არ ჩასულან სოფელში.

ზურაბ ბალაკაშვილის თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში (ზუსტად არ ახსოვს) სანდრო ამირიძემ მათ უთხრა, რომ თუ ნახავდა სპეცოპერაციის დროს გადარჩენილ პირებს, ეთქვა, რომ მათთან გამოცხადების შემთხვევაში, დაეხმარებოდნენ ქვეყნის დატოვებაში. სანდრო ამირიძე ასევე სთავაზობდა მას ბაჰაუდინ ბალაკაშვილის ოჯახის წევრების ავსტრიიდან ჩამოყვანისთვის საჭირო თანხების ანაზღაურებას.

ზურაბ ბალაკაშვილის ინფორმაციით, ეს პირები ლაფანყურის ტერიტორიაზე ჩაიყვანეს პიკაპის ტიპის მანქანებით. როგორც ის ფიქრობს, 2012 წლის ზაფხულში ევროპიდან ჩეჩენი ეროვნების ახალგაზრდები ჩამოვიდნენ რაიმე დაჯგუფებაში მონაწილეობის მიზნით. შემდეგ მათი ნაწილი იმავე ზაფხულს წავიდა საქართველოდან.

8. ბორის ფარულავას 2013 წლის 26 მარტის ახსნა-განმარტება

2013 წლის 26 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტებით მიმართა სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში განთავსებულმა ბრალდებულმა, ბორის ფარულავამ. ბორის ფარულავას განმარტებით, ლაფანყურის ინციდენტის შემდეგ, რამდენიმე დღეში (ზუსტი რიცხვი არ ახსოვს, მაგრამ მისი თქმით, ეს იქნებოდა დაახლოებით 2012 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდი) სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში შევიდა მიკროავტობუსი, რომლიდანაც №18 დაწესებულების მორგში შეასვენეს 2 ცხედარი, რომელთა ვინაობაც მისთვის უცნობია. ეს მოხდა დღის საათებში. დროის მოცემულ მონაკვეთში ბორის ფარულავა პირადად იმყოფებოდა №8 დაწესებულების ადმინისტრაციის შესასვლელში და დაინახა, როგორ შევიდა სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირი, წითური წვერით და ჩააბარა იარაღი გარე დაცვის სამსახურს. ცხედრების შესვენების შესახებ ბორის ფარულავამ გაიგო იმ საღამოს სხვა თანამშრომლებისგან, რომელთა ვინაობის დასახელებაც შეუძლია.

9. ჟურნალისტების ნანა ლეჟავას და ზვიად თხელიძის 2013 წლის 26 ნოემბრის ახსნა-განმარტებები

2012 წლის 29 აგვისტოს წავიდნენ ლაფანყურში და პანკისში, რადგან ფიქრობდნენ, რომ აუცილებლად გაიგებდნენ სპეცოპერაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. იმ დროს არ იყო ცნობილი, რომ დახოცილი მებრძოლები იყვნენ პანკისის ხეობიდან. 29 აგვისტოს სოფელ დუისში უკვე იგრძნობოდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში იყო ინფორმაცია. 30 აგვისტოს რამდენიმე ოჯახში გლოვა იყო გამოცხადებული, რამდენიმე სახლში გააღეს ჭიშკრები, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციის მიხედვით ნიშნავს ოჯახში გლოვას, თუმცა იმავე დღეს დახურეს ჭიშკრები.

ბაპაუდინ ბალაკაშვილი იყო ავსტრიაში, სპორტსმენი, და მისი ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია. ასლან მარგოშვილი იყო ფინეთში. მისი ძმის განცხადებით, როცა ის თბილისში სწავლობდა, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები მუდმივად აკონტროლებდნენ მათ. 2012 წლის 19 აგვისტოდან, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ეს ახალგაზრდები იყვნენ საქართველოში.

ზვიად თხელიძე ამობს, რომ ლაფანყურში იმყოფებოდა 2013 წლის ზაფხულში. 2012 წლის აგვისტოს ბოლოს, როცა პანკისიდან ბრუნდებოდა, ნანა ლეჟავამ სიუჟეტის გასაკეთებლად შეიარა ერთ-ერთი გარდაცვლილი სპეცრაზმელის, წიკლაურის ოჯახში. ნანა ლეჟავა პირველი მივიდა ოჯახის წევრებთან, რომ გადაღების ნებართვა ეთხოვა. გარდაცვლილის ძმამ თავიდან ნება დართო, უთხრა, რომ გადაღებაზე პრობლემა არ იქნებოდა, თუმცა ვიდრე ოპერატორი ავიდოდა აღმართზე, სახლთან რომ მისულიყო, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ოჯახის ახლობელმა სთხოვა ლეჟავას, რომ დაეტოვებინა იქაურობა.

ბაპაუდინ ბალაკაშვილი და ბაპაუდინ ქავთარაშვილი, როგორც თხელიძე ამბობს, რამდენიმე წყაროდან მიღებული ინფორმაციით, რომელიც მისთვის სარწმუნოა, სოფელ დუისიდან ძალოვნების მანქანებით წაიყვანეს.

ბაპაუდინ ბალაკაშვილის ბიძამ უთხრა, რომ ოჯახის ინფორმაციით, ის მიდიოდა თურქეთში,

ხოლო ბაჰაუდინ ქავთარაშვილის ოჯახმა იცოდა, რომ ის უნდა გაჰყოლოდა ბაღაკაშვილს, რათა ქურთუკი მიეცა მისთვის. ამიტომ თავიდან არ ეძებდნენ ამ ბიჭებს, ეგონათ, რომ თურქეთში იყვნენ.

10. სტატია გარდაცვლილ სალამ ზაურბეკოვის შესახებ¹³⁹

„ავსტრიის ჩემპიონი ლაფანყურში მოკლეს“, „ამერიკის ხმა“, 12.11.2012

ლაფანყურის სპეცოპერაციიდან რაც უფრო მეტი დრო გადის, ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისთვის სულ უფრო და უფრო სკანდალური ფაქტები ხდება ცნობილი. სპეცოპერაციისას განადგურებულ ჩეჩენ, ინგუშ და ქისტ მებრძოლებს შორის აღმოჩნდა ახალგაზრდებს შორის, ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ეთნიკური ჩეჩენი, 21 წლის სალამ ზაურბეკოვი. ჩეჩნეთის ომს მისი ოჯახი, ჯერ ინგუშეთში, 2000 წელს კი ავსტრიაში გაექცა. მას მერე ზაურბეკოვები ფედერალური მიწის ფორარლბერგის, სოფელ გიოტცისში ცხოვრობენ და ლტოლვილის სტატუსით სარგებლობენ. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე სალამ ზაურბეკოვი ავსტრიული ჭიდაობის იმედი იყო. 2012 წლის მარტში, სალამს ავსტრიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრისა და ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობის მშვენიერი შანსიც ჰქონდა. ავსტრიული სპორტული პრესის ცნობით, მარტში, სრულიად მოულოდნელად ზაურბეკოვი ავსტრიის ნაკრებს მძიმე ტრავმის გამო ჩამოშორდა, ხოლო 22 მარტს მოჭიდავე საერთოდ გაუჩინარდა. სწორედ 22 მარტიდან ეძებდა ოჯახი და ავსტრიის პოლიცია დაკარგულ სალამ ზაურბეკოვს. ზაფხულში ავსტრიის პოლიციაში, სალამის დედას უთხრეს, რომ სალამ ზაურბეკოვის კვალი საქართველოში მიდიოდა. მალევე ისრაპილოვა საქართველოში შვილის მოსაძებნად ივნისში ჩამოვიდა. „ავსტრიაში არ არის სიახლე. მათ იციან ამ არხის არსებობა, რომ ავსტრიაში ბავშვებს იბირებენ და შემდეგ საქართველოს გავლით ჩეჩნეთში მიჰყავთ. როცა ავსტრიის პოლიციას მივმართეთ, იქ მითხრეს, რომ თქვენი შვილის კვალი საქართველოში მიდის, ეძებეთ იქო. როცა პირველად ჩამოვედით, საქართველო შვილის მოძებნაში არ მოგვეხმარა“. სანამ მალევე ისრაპილოვა საქართველოში შვილის საძებნელად წამოვიდოდა, მას უკვე ჰქონდა სალამთან სატელეფონო კონტაქტი. სალამმა დედას უთხრა, რომ საუდის არაბეთში, მედინაშია - ისლამის და არაბულის უკეთ შესასწავლად, თუმცა ესაუბრა სატელეფონო ნომრიდან, რომელიც ეგვიპტის მობილურ კომპანიას ეკუთვნოდა. ზაურბეკოვების ოჯახი სწორედ ამან დააეჭვა. ივლისში, მათ პანკისიდან აცნობეს, რომ სალამ ზაურბეკოვი სოფელ დუისში იყო. საქართველოში ჩამოსული ზაურბეკოვები აქ ახმედ ჩატაევს შეხვდნენ, რომელიც ახლა პატიმრობაშია (იხ. http://www.amerikiskhma.com/content/__chataev_kad-irov_chaechnia/1504789.html). ჩატაევმა ზაურბეკოვებს დაუდასტურა, რომ სალამი პანკისში მის დაქვემდებარებაში იყო და დედას შვილთან შეხვედრის მოწყობას შეპირდა. „ივნისში დუისში შევხვდით ახმედ ჩატაევს, მან ყურანზე დაიფიცა, რომ ჩვენი შვილი ავსტრიიდან არ წამოუყვანია. დაგვარწმუნა, რომ ჩემი ბიჭი სხვა არხებით ჩავიდა საქართველოში, თუმცა გვითხრა, რომ აქ იგი მის დაქვემდებარებაში იყო. დაგვპირდა რომ შვილთან შეგვახვედრებდა.“ იგივე გაუმეორა ზაურბეკოვებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული

139 იხ. „ავსტრიის ჩემპიონი ლაფანყურთან მოკლეს“, „ამერიკის ხმა“, 12.11.2012 <http://www.amerikiskhma.com/content/voa-lapanhuri-austrian/1543825.html> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

ცენტრის თანამშრომელმა ემზარ მაჩალიკაშვილმა. თუმცა, ზაურბეგოვები უკან ავსტრიაში ისე დაბრუნდნენ, რომ შვილი არ აჩვენეს და მასთან მხოლოდ სკაიპის საშუალებით დააკავშირეს. ხელახლა მათ საქართველოში დაბრუნება აგვისტოს ბოლოს, სასწრაფო წესით მოუხდათ, როცა ნათესავები პანკისიდან ლაფანყურის ოპერაციის ტრაგიკული შედეგის გახმაურების შემდეგ დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ სალამ ზაურბეგოვი მოკლულია. (იხილეთ http://www.amerikishma.com/content/georgia_lopota_killed/1501201.html) მალკან ისრაპილოვამ შვილის სიკვდილის დეტალები უშუალო თვითმხილველისგან მოისმინა, ჩეჩენი მებრძოლისგან - რომელიც ლოპოტის ხეობაში ქართველმა სპეცნაზელებმა ვერ მოკლეს. „მან მომიყვა, რომ ჯგუფი 24 აგვისტოს გაიყვანეს ჯიპებით პანკისიდან. ბოლო მომენტამდე მათ არ სჯეროდათ, რომ მათთვის შეეძლოთ ესროლათ და მოეკლათ. იმიტომ რომ ეს ბიჭები საზღვრისკენ წაიყვანეს სანდრომ (სანდრო ამირიძე - შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის მაღალჩინოსანი - ზ.წ), მესაზღვრეებმა, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ამ ჯგუფს იარაღი მისცა და გაწვრთნა. ამიტომაც არავის სჯეროდა რომ მათ მოკლავდნენ.“

აგვისტოს ბოლოს, ლოპოტის ხეობაში ჩატარებულმა სკანდალურმა სპეცოპერაციამ სამი ქართველი მეომრის - არჩილ ჩოხელის, სოლომონ წიკლაურის და ვლადიმერ ხვედელიძის სიცოცხლე შეიწირა. მუსლიმი მებრძოლების ჯგუფიდან, რომელსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთიდან შემოჭრილი უწოდა, სინამდვილეში კი პანკისში ამზადებდნენ შემდეგი მებრძოლები დაიღუპნენ: საქართველოს მოქალაქეები: ასლან მარგოშვილი და ბაჰაუდინ ქავთარაშვილი; რუსეთის მოქალაქეები: ბაჰაუდინ ბალაკაშვილი, დუკვახა დუშუევი, ჯაბრაილ ხაშიევი, მუსა ადუევი და სალამ ზაურბეგოვი. პანკისში საფლავები უკვე 31 მარტს გაითხარა, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ვაჭრობის შედეგად მარგოშვილის, ქავთარაშვილისა და ბალაკაშვილის ჭირისუფალს ცხედრები მხოლოდ 3 სექტემბერს გადასცა და მალულად დაკრძალვა აიძულა. უფრო არაადამიანურად მოექცნენ, სალამ ზაურბეგოვის, ხაშიევისა და ადუევის ჭირისუფალს. მათ თავიდან ცხედრებს საერთოდ არ აძლევდნენ, სექტემბრის ბოლოს კი თბილისთან ახლოს ველის უპატრონოთა სასაფლაოზე ამოცნობაზე წაიყვანეს. ცხედრების პანკისში გადასვენების და ფარულად დაკრძალვის უფლება კი მხოლოდ 30 ოქტომბერს მისცეს. ჯერჯერობით უცნობია, კიდევ რამდენი მებრძოლი დაიღუპა ლოპოტის ხეობაში და სად არიან ისინი დამარხულნი. სად არის სიმართლე? (იხ. http://www.amerikishma.com/content/georgia_lopota_zakaev/1513667.html) საქართველოს მთავარი პროკურატურა ლაფანყურის სპეცოპერაციის დეტალების გამოძიებას დღეიდან შეუდგა.“

11. ზელიმხან ხანგოშვილის ინტერვიუები მედიასთან

„ნიღბიანი უცნობი, ანუ კიდევ რა საიდუმლოს მალავს ლაფანყური“, „კვირის პალიტრა“, 26.08.2013¹⁴⁰

“[...] როდესაც შეიარაღებული ჯგუფის გუშაგმა ბილიგზე დაგვინახა, ჩვენკენ ამირიძე გამოუშვეს. უკან ერთი ჩეჩენი მოჰყვებოდა. რაღაცაზე საუბრობდნენ. ამირიძე გაბრაზებული

140 იხ. ნიღბიანი უცნობი, ანუ კიდევ რას მალავს ლაფანყური“, „კვირის პალიტრა“, 26.08.2013 <http://www.kvirispalitra.ge/versia/18441-nighbiani-ucnobi-anu-kidev-ra-saidumlos-malavs-lafanyuri.html> [ბოლოს ნანახია 10.11.2014].

ჩანდა. ამასობაში ორი შეიარაღებულიც გამოჩნდა. სანდრო მომიახლოვდა და მიხურჩულა, - ერთი-ორი აქაურიო. ღამე იყო. მე ჯგუფის მხოლოდ 5-6 წევრი ვნახე, მათგან ორი ვიცანი - სურხო დუდაევი და ინგუში ასლანი (ადუევი. - ავტ.), რომელიც, როგორც მივხვდი, ლიდერობას ჩემულობდა. მოგვიანებით კიდევ ერთი დავადგინე - აბუ ჰამზა (სამივე ლაფანყურის სპეცოპერაციას ცოცხლები გადაურჩნენ. - ავტ.). ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მოლაპარაკებაზე მხოლოდ 20 წუთი უნდა დავგეყო. საუბარი 40 წუთზე მეტხანს გაგრძელდა. მასსოვს, ამირიძემ ველარ მოითმინა, - ან “ჰო” თქვით, ან “არაო”, ამის თქმაზე ერთმა კონდახი მოუქნია. მაისურაძე დროდადრო ატყობინებდა ხელმძღვანელობას შექმნილ მდგომარეობას, ისინი გვაჩქარებდნენ, ალბათ ფიქრობდნენ, თუ ღამით შეიარაღებულ ჯგუფს ტყეში დიდხანს გავაჩერებთ, საზღვრისკენ გაპარვას მოახერხებენო. ჯგუფის წევრებს ვუხსნიდით, საზღვრის გადალახვის შემთხვევაში რუსები თვალის დაუხამხამებლად დაგხოცავენ და საქართველოს ტერიტორიასაც დაბომბავენო. ზოგი გვეთანხმებოდა, ზოგი არა. აბუ ჰამზა ჯიუტად ამტკიცებდა, იარაღი რომ ჩავაბაროთ, ესენი რუსებს გადაგვცემენო. ბოლოს, ზურა მაისურაძემ მითხრა, მეტ დროს აღარ გვაძლევენო. ძალიან დავიძაბეთ. ჩატაევს გადავხედე, - ახლა რა ვქნათ-მეთქი. ყველაფერს წუთები წყვეტდა. ახმედმა - იქნებ თქვენმა ხელმძღვანელობამ დრო მოგცეს, რომ ეს ბიჭები სადმე სოფელში გაიყვანო და დავაწყნარო - საუბარი იყო ერთ კვირაზე. ამხელა დროს არავინ მოგვცემს-მეთქი. იქნებ სამი დღე მაინც მომცენო. ჩვენი საუბარი შეიარაღებულებსაც ესმოდათ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. ჩატაევს ვუთხარი, იქნებ ხელმძღვანელობა დავითანხმით-მეთქი. ის იყო, წამოსვლა დავაპირეთ, რომ ჯგუფის ერთმა წევრმა დამიძახა ჩენურად, - ამირიძეს და მაისურაძეს აქ დავიტოვებთ და თუ მოგვაცუყეს, ამით დავაჭრით თავებსო. ჯგუფის წევრებმა რამდენჯერმე იარაღი გადატენეს. მე რომ ხმას ავუწიე, მაისურაძე მიხვდა, რომ სიტუაცია უკონტროლო ხდებოდა. ბოლოს, ყველა გამოგვიშვეს და ორიც თავისიანი გამოგვაცოლეს. ქართველ მესაზღვრეებს რომ მივუახლოვდით, სანდრო ამირიძე და ზურა მაისურაძე მათთან გავეშვი დასარეკად. მათ რომ შეაგვიანდათ, ჩვენი გამყოლი ორი ჩეჩენი აშკარად ანერვიულდა. ჩატაევს ვუთხარი, - გავიგოთ, რა ხდება-მეთქი. მან გამოყოლა დააპირა, მაგრამ ჩეჩენებმა არ გამოუშვეს. წავედი ამბის გასაგებად. გზაში ორი აჩრდილი დავინახე. ამირიძე და მაისურაძე მეგონა. ქართველი სპეცრაზმელები აღმოჩნდნენ. მითხრეს, თქვენებს ხელმძღვანელობამ უარი უთხარაო. საგუშაგოს უკან რომ გადაგვიყვანეს, დავინახე - სამასი კაცი იდგა. ყველაფერს მივხვდი. ერთი ის ვუთხარი, რომ სამოქალაქოფორმიანი ცალხელა ჩეჩენიანია, არაფერი დაუშავოთ-მეთქი. ოპერაციის დაწყებას არც ვაპირებთ, ახლოს მივალთ და კიდევ ერთხელ შევთავაზებთ იარაღის დაყრასო. დაახლოებით ნახევარ საათში პირველი გასროლის ხმაც გავიგე. მერე იქ ვინდა გამაჩერებდა..“

„ლოპოტას ხეობის ოპერაციის შუამავლის თქმით, ჯგუფის წევრებს რუსებთან ჰქონდათ კავშირი“, „ფრონტინუსი“, 18.06.2013¹⁴¹

„ფრონტინუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში გელიმხან ხანგოშვილი აცხადებს, რომ რუსი სამხედროები ლაფანყურთან მიმდინარე მოვლენების დროს საზღვრის გასწვრივ იყვნენ მობილიზებულნი და საზღვარი ისე ჰქონდათ გამაგრებული, როგორც წლების განმავლობაში

141 იხ. „ლოპოტას ხეობის ოპერაციის შუამავლის თქმით, ჯგუფის წევრებს რუსებთან ჰქონდათ კავშირი“, „ნიუპოსტ“, 18.06.2013, <http://www.newposts.ge/?id=14485> [ბოლოს ნანახია 10.11.2014].

არ ჰქონიათ. მისი თქმით, ქართველი სამართალდამცველები მაშინ ღიად საუბრობდნენ, რომ თუ შეიარაღებულები გადაკვეთდნენ საზღვარს, რუსები მაშინვე დაიწყებდნენ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვას.

ხანგოშვილი იხსენებს, რომ თავდაპირველად, როცა ის მოლაპარაკებაში ჩართეს, არაფერი იყო ცნობილი, იმყოფებოდნენ თუ არა შეიარაღებული ჯგუფის წევრებს შორის პანკისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები. მისივე თქმით, ახმეტ ჩატაევს პირადად დაურეკა, რათა ისიც ჩართულიყო მოლაპარაკებაში და ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც გაირკვა, რომ შეიარაღებულებს შორის ჩეჩნებიც იყვნენ.

„იმ პერიოდში მაისურაძე ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი იყო. სწორედ ის დამიკავშირდა და მთხოვა, მათთან ერთად წავსულიყავი მანქანით ლოპოტას ხეობაში და თუ მოლაპარაკების შესაძლებლობა იქნებოდა, მასში მიმელო მონაწილეობა. როცა მაისურაძემ დამირეკა, ვარაუდობდა, რომ შეიარაღებული ლეკები დალესტინიდან იყვნენ გადმოსულები. მოგესხენებათ, მაშინ საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდი იყო, ამიტომაც არც იმას გამოვრიცხავდი, რომ რუსებს ეს ჯგუფი გარკვეული პროვოკაციისთვის გადმოეშვათ. ეს ვარაუდი მაისურაძესაც გაუზიარე.“

უკვე გომბორზე ვიყავით, როდესაც გავიგეთ, რომ იმ ჯგუფში ჩეჩნებიც იყვნენ. მე მგონი, ამ დროისთვის სანდრო ამირიძე უკვე ასული იყო შეიარაღებულ ჯგუფთან და სწორედ მისგან ჰქონდათ დანარჩენებს ინფორმაცია ჩეჩნების თაობაზე. მაშინ ზურამ მკითხა, ვინ შეიძლებოდა, კიდევ წამოსულიყო ჩემთან ერთად მოლაპარაკებებზე. მაშინ ვურჩიე ახმეტ ჩატაევი. არჩევანი მასზე შეჩერდა, რადგან მას ბევრი სცემდა პატივს და ავტორიტეტიც ჰქონდა. პირადად დავეუბრე მას, იმ დროისთვის თბილისში იმყოფებოდა და ტაქსით ჩამოვიდა თელავში. ავედიო ხეობაში მე, ზურა მაისურაძე და ახმეტ ჩატაევი“, - იხსენებს ხანგოშვილი „ფრონტიუსთან“ საუბარში. მისი თქმით, ქართველი სამართალდამცველების მხრიდან არ იგეგმებოდა მემამბოხეების სისხლის დაღვრა და ზურა მაისურაძისგან პირადად მიიღო მითითება, შეიარაღებულებისთვის იარაღის დაყრა შეეთავაზებინა, რის შემდეგაც მათ გაუშვებდნენ: „არავის დაკავებას არ აპირებდნენ“, - ამბობს ხანგოშვილი.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, მოსალაპარაკებლად რომ უფრო მეტი დრო ჰქონოდათ, იქნებ მოხერხებულიყო შეიარაღებულების დაწყნარება და ყველაფრის დასრულება უსისხლოდ, თუმცა, ისიც კარგად ესმის, რომ მსგავს სიტუაციაში სამართალდამცველები ვერ დაუშვებდნენ შეიარაღებული პირების დიდხანს ყოფნას მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

„ასვლისას ზურამ გვითხრა, იარაღი დაყარონ და დატოვონ საქართველოს ტერიტორიაო. დაკავებას არცერთს არ უპირებდნენ. იმ დროისთვის საქართველოს მოქალაქეებზე ინფორმაცია არ გვქონდა, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდნენ, ამის აფიშირება არ უნდა მოგვეხდინა. ჯგუფთან რომ მივედიო, ამირიძემაც არ იცოდა ზუსტად, გვითხრა, „ერთი თუ ორი აქაურია“.

მოსალაპარაკებლად თავიდან 20 წუთი მოგვცეს და გვითხრეს, თუ ამ დროის განმავლობაში ამ ბიჭებს ვერ დავითანხმებდით, გამოგვყოლოდნენ, ჩვენ მაინც უნდა გამოვსულიყავით. 20 წუთი არ გვეყო, დაახლოებით 40 წუთი მაინც ვიყავით იქ. პერიოდულად ზურას რაციით უკავშირდებოდნენ

და მდგომარეობას ატყობინებდნენ. ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი გავაკეთეთ, რისი გაცემებაც შეიძლებოდა. იმ პირობების გარდა, რომელსაც მათ სამართალდამცველები სთავაზობდნენ, ბევრი სხვა რამ ავუსენით: ვეუბნებოდით, რომ საქართველო არ დაუშვებდა, რუსეთს ქვეყანა მათ გამო დაეხმობა, ამიტომაც მათ ვეღარ გაუშვებდნენ და გამოსავალი იარაღის დაყრა იყო. არ მოგვისმინეს. იყო არარასსიამოვნო სიტუაციებიც. უხეშად ექცეოდნენ მაისურაძეს და ამირიძესაც. ერთხელ ერთ-ერთმა შეიარაღებულმა კონდახიც მოუქნია და ჩვენ გავაჩერეთ. ვფიქრობ, იყო ფსიქოლოგიური მომენტიც. მათ იცოდნენ, რომ ალყაში იყვნენ მოქცეულები; ამასთან, ერთი წუთითაც არ გაჩერებულა ვერტმფრენი, რომელიც ჩვენს ზემოთ, ტყის თავზე დაფრინავდა. ისინი ამბობდნენ, რომ საქართველოს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და დაღესტანში უნდოდათ გადასვლა.

მოლაპარაკების დრო რატომ იყო შეზღუდული, არ ვიცი. ალბათ, უფროსობისგან იყო ასეთი ბრძანება, მინისტრის დონეზე იყო შეთანხმება. ჩვენ ვთვლიდით, რომ ერთი სამი საათი იყო საჭირო. ალბათ, ეს დრო რომ მოეცათ, ან ღამეც, რაღაცას მაინც შეეძლებოდა. როგორც მივხვდი, სამართალდამცველებს ეშინოდათ, რომ ღამით შეიარაღებული ჯგუფის იქ დატოვების შემთხვევაში ისინი გაპარვას შეძლებდნენ“, – ამბობს ხანგოშვილი. ხანგოშვილი ადასტურებს, რომ შეიარაღებულებმა თავად გაუმხილეს მიზანი: დაღესტანში გადასვლა რუსებთან საომრად. ამავე დროს, ხანგოშვილს სარწმუნოდ არ მიაჩნია ხმები იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობიდან ბიჭები იქ ვინმემ, მით უმეტეს, მაისურაძემ ძალით წაიყვანა:

„დღეს ამბობენ, მაისურაძის და ამირიძის მოტყუებულები იყვნენ ეს ბიჭებიო, მაგრამ რეალურად რომ შევხედოთ ყველაფერს, ამირიძეს და მაისურაძეს რომ მოეტყუებინათ ისინი და ამ სიტუაციაში ჩაეყარათ, მერე კი მომლაპარაკებლად თავად წასულიყვნენ, მოგლავდნენ კი არა, ძალიან ცუდ რამეს გაუკეთებდნენ მათ, ასე არ არის? რა ლოგიკაა ამ ყველაფერში?! – მინიმუმ, სხვებს მაინც გაუშვებდნენ მოლაპარაკებაზე! გარდა ამისა, არც პანკისელები დაიმალებოდნენ და მეტყოდნენ, ამ სიტუაციაში აღმოვჩნდით, დაგვეხმარეთო...“

ხანგოშვილის თქმით, შეიარაღებული ჯგუფის წევრებიდან ვინც განსაკუთრებით აქტიურობდა, არცერთი არ იყო პანკისელი: „როგორც კი დაგვინახეს, ჩვენსკენ ამირიძე გამოუშვეს, რომელსაც უკან მიბჯენილი იარაღით ერთ-ერთი მათგანი მოჰყვებოდა, – როგორც მერე გავიგე, სახელად აბუჰამზა ერქვა. ავსტრიიდან ჩამოსული ეს ჩეჩენი შეიარაღებული ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო. მერე კიდევ ორი მათგანი ვიცანი – შორიდან ვიცნობდი. ერთი სურხო დუდაევი იყო, რომელსაც ერთხელ თბილისში შევხვდი, მეორეს კი ასლანას ეძახდნენ, ინგუში იყო, მისი გვარი არ ვიცი. ჩვენები, პანკისელები იქ საერთოდ არ მინახავს, ჩვენთან ისინი არ გამოჩენილან, ამიტომაც არც ვიცოდი, რომ იქ საქართველოს მოქალაქეებიც იყვნენ. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იქ სულ, თუ არ ვცდები, 17 კაცი იყო მე კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მათგან მხოლოდ 5–6–ის ნახვის საშუალება მომეცა. ინგუში ასლანა იყო ჯგუფის მეთაური. მოგვიანებით გავიგე კიდევ ერთის სახელი – აბუჰამზა. სწორედ ეს სამი აქტიურობდა ყველაზე მეტად. აბუჰამზას მანამდე არ ვიცნობდი, იქ გავიცანი. აბუჰამზას, მაგალითად, ჰქონდა ასეთი ვერსია: იარაღი რომ ჩავაბაროთ, რუსებს გადაგვცემნო. ჩატაევს ისიც კი უთხრა, შესაძლოა, შენც დაგიჭირონ და რუსებს გადაგცენ, რადგან ჩეჩენი ხარ და ხომ არ სჯობს, ჩვენთან დარჩეო... საუბრით ვერაფერს გავხდით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა,

რომ ჩვენი საუბრიდან აზრი არ გამოჰქონდათ. ვფიქრობ და დარწმუნებულიც ვარ იმაში, რომ მათ შორის ერთი ან ორი კაცი გარკვეული სხვა ინტერესების გამტარებელი იყო, კერძოდ, რუსებთან იყვნენ კავშირში, — ვგულისხმობ მათ, ვინც განსაკუთრებით აქტიურობდა. ზურაც ძალიან ცდილობდა მათ დაყოლიებას. მახსოვს, უთხრა, „თქვენ უფრო ძვირფასები ხართ ჩვენთვის, ვიდრე 1000 რუსი და ტყუილად რატომ უნდა დაიღუპოთ“. ბოლოსკენ უკვე ზურა მოვიდა და გვითხრა, „მეტ დროს აღარ გვაძლევენო“.

ამის შემდეგ, ხანგოშვილის თქმით, ისინი შეიარაღებული ჯგუფის წევრებს დაცილდნენ და მოლაპარაკების წარუმატებლობამ ცეცხლის გახსნა გამოიწვია. ოპერაციის შუამავალს ნაკლებად დამაჯერებლად ეჩვენება ოპერაციის შემდეგ გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ ჯგუფის წევრები მძინარეები დახოცეს. მისი თქმით, იქ იმ პერიოდში არ იყო სიტუაცია, რომ ტყეში, ალყაში მყოფ შეიარაღებულებს დაეძინათ.

ხანგოშვილი მიიჩნევს, რომ ლაფანყურის ამბებთან დაკავშირებით ამ დრომდე ბევრი ჭორი ვრცელდება და სიმართლის თქმას ყველა ერიდება, მაშინ როცა ამ მოვლენების გამო ბევრმა გაიკეთა კარიერა:

„კიდევ ვამბობ, ლაფანყურის თემაზე ბევრად მეტი ტყუილია გავრცელებული, ვიდრე სიმართლე. ისიც მოვისმინე, ბიძინა ივანიშვილის მოსაკლავად ჰყავდათ ეს ბიჭები ჩამოყვანილი... რეალურად რა მოხდა, მე მგონი, უკვე იციან. 17—ში უკვე დაიწყებოდა შარიათი. ჩემი ინფორმაციით, ის თურქეთში მიმდინარეობს. დასკვნა გახდება ცნობილი და გამოქვეყნდება კიდევ. მეც მიხდოდა იქ წასვლა, მაგრამ შსს—მ საშუალება არ მომცა. თუ ვინმეს ბრალეულობა დადგინდება, ვინც მოსაკლავია, უნდა მოიკლას, თუმცა შესაძლოა, სხვაგვარადაც დასაჯონ. იქ იქნებიან მოსამართლეები, რომელთაც რელიგია იციან კარგად. გაირკვევა დეტალები, მართლა საქართველოდან მოუხმო ვინმემ ამ ბიჭებს, თუ ჩეჩნეთში გასცა ვინმემ მსგავსი ბრძანება და ა.შ. ზაკაევსა და, შესაბამისად, მის კომისიას ჩრდილოეთ კავკასიაში კარგა ხანია, არაფერს ეკითხებიან და არც მათი დასკვნა წარმოადგენს რამეს. ეს არის დასკვნა, რომელშიც შეკრულია მედიაში გავრცელებული ინფორმაციები, ძირითადად — ტყუილები“, — ამბობს ზელიმხან ხანგოშვილი „ფრონტინუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

12. ინტერვიუ ახმედ ზაკაევთან¹⁴²

„თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურსა და მიმდებარე ლოპოტის ხეობაში ჩატარებული ხმაურიანი დევნის სპეცოპერაციიდან ერთი თვის თავზე, ცნობილმა ჩეჩენმა სახელმწიფო მოღვაწემ, დევნილობაში „იჩქერიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა“ ახმედ ზაკაევმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება სიმართლეს მაღავს.

2003 წლის ნოემბრიდან ახმედ ზაკაევი დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსით სარგებლობს. ლონდონის სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მეტწილად ზაკაევის

142 იხ. ახმედ ზაკაევი: საქართველოს ხელისუფლება სიმართლეს მაღავს, „ამერიკის ხმა“, 24.09.2012 http://www.amerikishma.com/content/georgia_lopota_zakaev/1513667.html [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

ყოფილი პირადი მცველის დუკავაბა დუშუევის ჩვენების საფუძველზე მიიღო. რუსეთი ზაკაევის ექსტრადირებას სწორედ დუშუევის ჩვენებების მიხედვით ითხოვდა. მოსკოვის მიერ წარმოდგენილ მასალებში, დუშუევი ამტკიცებდა, რომ ზაკაევი პირადად გასცემდა რუსი ჯარისკაცების მოტაცებისა და მკვლელობის ბრძანებებს. უკვე, ლონდონში დუშუევმა სასამართლოზე თქვა, რომ ეს ჩვენებები რუსეთის პროკურატურას გროზნოში სასტიკი წამების შემდეგ მისცა. ამის გამო, ზაკაევთან ერთად, პოლიტიკური დევნილის სტატუსი ბრიტანეთში დუშუევმაც მიიღო. აგვისტოს ბოლოს დუშუევი ლოპოტის ხეობაში ქართველმა სპეცრაზმელებმა ქისტ და ჩეჩენ ვაჰაბიტებთან ერთად მოკლეს.

ოფიციალური თბილისი დღემდე მათ „დაღესტნიდან შემოჭრილ დივერსანტთა ჯგუფს“ უწოდებს. ახმედ ზაკაევი, რომელსაც გუშინ ლონდონში დავეკავშირდით, ამბობს, რომ დუკავაბა დუშუევი ლონდონიდან თბილისში რამდენიმე თვის წინ ჩამოფრინდა და შეუძლებელია იგი რუსეთში ყოფილიყო.

„რა თქმა უნდა, ერთი რამ აბსოლუტურად ცხადია, საქართველოს ხელისუფლება მაღავეს რა მოხდა სინამდვილეში. ეს ძალიან სამწუხაროა - ის განცხადებები, რომლის დეკლარირებასაც ახდენდა და ახდენს საქართველოს ხელისუფლება მათივე ქმედებებისგან ძალიან განსხვავდება. ამ ეტაპზე ყოველგვარი გამოძიების გარეშეც შემიძლია ვთქვა, რომ ერთი ადამიანი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მოკლულია ამ ჯგუფში - ეს არის დუკავაბა დუშუევი, იგი ცხოვრობდა დიდ ბრიტანეთში, ჰქონდა პოლიტიკური თავშესაფარი. და იგი ვერავითარ შემთხვევაში, ვერანაირ სიტუაციაში ვერ იქნებოდა რუსეთში და, შესაბამისად, ვერც გადმოლახავდა საზღვარს რუსეთიდან საქართველოში. ჩვენი ინფორმაციით, ეს ადამიანი ლონდონიდან გაფრინდა საქართველოში, იმყოფებოდა მანდ რამდენიმე თვე. ამ ინციდენტის შემდეგ კი, საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ეს ადამიანი თითქოს იმყოფებოდა რუსი დივერსანტების იმ ჯგუფს შორის, რომელმაც რაღაც მიზნებით საზღვარი გადმოლახა. ეს არის სრული სიცრუე. პირველ რიგში, ჩვენ სწორედ ამ მომენტმა გვაფიქრებინა, რომ საქართველოს ხელისუფლება რაღაცას მაღავეს, მათ ეს ფაქტი საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაითამაშეს.“

ეს არ არის ერთადერთი ტყუილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, უშიშროების საბჭოს მდივანმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ გაავრცელეს. ხელისუფლება თავიდან კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ დივერსანტთა ჯგუფი დაღესტნიდან შემოიჭრა და მათ შორის საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ. მოგვიანებით, როცა პანკისის ხეობაში გლოვა დაიწყო და საფლავები გაითხარა, ხელისუფლება იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ჯგუფში საქართველოს მოქალაქეებიც იყვნენ. რამდენიმე დღიანი ვაჭრობის შემდეგ, პოლიციამ ქისტებს ადრე დაპირებული შვიდი ცხედრის ნაცვლად, სამის - ასლან მარგოშვილის, ბაჰაუდი ბალაკაშვილისა და ბაჰაუდი ქვათარაშვილის ცხედრები გადასცა. მათგან ორი საქართველოს მოქალაქე იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ სულ თერთმეტი „დივერსანტია“ ლიკვიდირებული. დაპატიმრებულია, ასევე, ახმედ ზაკაევთან დაახლოებული ცნობილი ჩეჩენი მებრძოლი ახმედ ჩატაევი, იგივე ცალხელა ახმედა. თავის დროზე, ჩატაევი რუსეთში ექსტრადირებას სწორედ ოფიციალურმა თბილისმა გადაარჩინა. ახმედ ზაკაევი ამბობს, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს

ერთობლივი საგამოძიებო კომისიის შექმნა შესთავაზა, თუმცა, პასუხი ამ დრომდე არ მიუღია:

„ძალიან სამწუხაროა, რომ ინფორმაცია რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ავრცელებს და ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვფლობთ, ძალიან განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევექმენით სახელმწიფო კომისია ამ ინციდენტის გამოსაძიებლად. ამის შესახებ ვაცნობთ საქართველოს ხელისუფლებასაც, თუმცა, მათ არანაირად არ სურთ ჩვენთან ერთად გამოძიების ჩატარება ან იმ ინფორმაციის გაცნობა, რომელსაც ვფლობთ. ჩვენ ელექტრონული ფოსტით გავგზავნეთ წერილი საქართველოს პრემიერ მერაბიშვილის სახელზე, ვინაიდან სწორედ იგი ხელმძღვანელობს კრიზისების მართვის შტაბს, რომელიც ამ ინციდენტის გამო შეიქმნა. თუმცა, არავითარი პასუხი მათგან არ მიგვიღია. ამიტომ, ჩვენ ამ მიმართულებით ცალმხრივად ვმუშაობთ, ჩვენი ხალხი ჩავიდა საქართველოში. ისინი ხვდებიან ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველებს. უკვე იმყოფებოდნენ ლოპოტისა და პანკისის ხეობებში. უფრო მეტიც, „იჩქერიის“ საგარეო საქმეთა მინისტრმა მისწერა წერილი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ ჩვენ ვიძიებთ ამ ინციდენტს. ასეთივე წერილი გავგზავნეთ ნატოს გენერალური მდივნის სახელზე და ევროპის საბჭოში.“

საქართველოს ხელისუფლება არანაირ ახალ ინფორმაციას ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით აღარ ავრცელებს და ჯიუტად ირწმუნება, რომ დივერსანტები რუსეთიდან შემოიჭრნენ და მძევლები აიყვანეს. ჩვენ გვაინტერესებდა რამდენი ადამიანი დააკავეს ამ სპეცოპერაციის დროს და არიან თუ არა მოკლულებში სხვა საქართველოს მოქალაქეებიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სალომე მახარაძემ კერძოდ თქვა: „ახალ დეტალებთან დაკავშირებით მე ინფორმაცია არ მაქვს. რაც არის ოფიციალური ინფორმაცია, ამის გარდა სხვა ინფორმაცია არ არსებობს.“

ნიშანდობლივია, რომ პანკისის ხეობაში დაკარგულ ახალგაზრდებს დღემდე ეძებენ. მათ შორის არიან – სოფელ ომალოს მკვიდრი, 26 წლის რუსლან ფხაკალაშვილი, დუისელი ბეიზულა მარგოშვილი, იგივე გიორგი კუშტანაშვილი. ასევე სოფლების – ბირკიანისა და ჯოყოლოს ორი მცხოვრები, რომელთა ზუსტი ვინაობა უცნობია. ლაფანყურის სპეცოპერაციისას სამი ქართველი სპეცნაზელი დაიღუპა. ამ ოპერაციაზე მთავარი პასუხისმგებელი პირი, ბაჩო ახალაია შინაგან საქმეთა მინისტრი აღარ არის. მისი კარიერა სულ სხვა სკანდალმა – ქართულ ციხეებში არსებულმა სადიმბმა შეიწირა. შეკითხვა – როგორ, ვისი დახმარებით, რა შეიარაღებით და რა მიზნით აღმოჩნდნენ პანკისელი ქისტები, ჩეჩნები და ერთი ინგუში ლოპოტის ხეობაში ისევ უპასუხოდ რჩება.

13. ინტერვიუ სოფელ ლაფანყურის მცხოვრებლებთან¹⁴³

ლოპოტას ხეობაში მძევლების დახსნის შესახებ ოფიციალური ვერსია სოფელ ლაფანყურის მცხოვრებლებს კითხვებს უჩენს, რომლებზეც მათ პასუხი არ მიუღიათ. მათ, ასევე, უჭირთ ლოგიკური კავშირის პოვნა საკუთარი თვალთ ნანახსა და სპეცოპერაციის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას შორის.

143 იხ. „რატომ ავჭვებთ ლაფანყურელებს სპეცოპერაციის შესახებ ოფიციალური ვერსია“, „ნეტგაზეთი“, 30.08.2012 <http://netgazeti.ge/GE/105/law/12463/> [ბოლოს ნანახია 08.11.2014].

„რა და როგორ მოხდა, როგორ აიყვანეს მძევლად ბიჭები, როგორ გაათავისუფლეს, ამას ყველაფერს ბიჭები მოჰყვებიან. ეს მათ გარდა არავინ იცის“, — ამას 29 აგვისტოს, შუადღისას ამბობდა საქართველო—რუსეთის საზღვრიდან ოცდაათიოდე კილომეტრში მდებარე სასაზღვრო სოფლის, ლაფანყურის ერთ—ერთი მცხოვრები. მთაში გაუჩინარებისა და შემდეგ დახსნის რეალური ამბის მოსმენას შვილებისგან ელოდნენ მძევლობისგან დახსნილი ბიჭების მშობლებიც. ხუთი ლაფანყურელი ახალგაზრდა ტყვეობიდან დახსნიდან დაახლოებით 12 საათში, 29 აგვისტოს, შუალამისას პოლიციამ სახლში დააბრუნა. მიუხედავად ამისა, მშობლები აცხადებენ, რომ მთაში მომხდარი ამბის შესახებ მაინც არაფერი იციან. თავად ახალგაზრდები კი მედიასთან კონტაქტს ამ დრომდე გაურბიან. „არაფერი უთქვამს, ტყვედ როგორ ჩავარდა და როგორ გამოიხსნეს, ჯერ არც მე მიკითხავს არაფერი“, — გვითხრა მინდია ღაღოლაშვილმა. ბესიკ მიჯახკაშვილ—ელიზბარაშვილის მამა, ამბობს, რომ მის შვილს სახლში დაბრუნების შემდეგ არ მოუყოლია დატყვევებისა და გათავისუფლების გარემოებების შესახებ. „ახლა ბიჭებთან არის გასული და ვერ დაველაპარაკებთ, ტელეფონი თან არ აქვს“, — განგვიცხადა ბესიკ მიჯახკაშვილის მამამ. ადამიანები, რომლებიც 26 აგვისტოს საღამოდან პირადად მონაწილეობდნენ მთაში გაუჩინარებული ახალგაზრდების ძებნაში, „ნეტგაზეთთან“ საუბრისას დეტალურად იხსენებენ მოვლენათა ქრონოლოგიას. 18 წლის ტატო ღაღოლაშვილი, 26 წლის ლევან კარალაშვილი, 24 წლის ლერი ხუცურაული, 27 წლის თამაზ ამირაშვილი და 24 წლის ბესიკ მიჯახკაშვილ—ელიზბარაშვილი 26 აგვისტოს, დილით, დაახლოებით 11 საათზე საქეიფოდ წავიდნენ სოფელ ლაფანყურიდან 3—4 კილომეტრში მდებარე მჟავე წყლებისკენ, სადაც სოფლის ახალგაზრდები ხშირად დადიან საქეიფოდ. ღამით, როცა ახალგაზრდები სოფელში არ დაბრუნდნენ, მათი ძებნა თანასოფლელებმა დაუწყონებლივ დაიწყეს. ისინი გამორიცხავდნენ, რომ ახალგაზრდებს გზა აბნეოდათ, რადგან ხუთივე მათგანი მიმდებარე ტერიტორიას და ბილიკებს კარგად იცნობდა. ახალგაზრდების ძებნაში 60—70 ლაფანყურელი 26 აგვისტოს საღამოს ჩაერთო. ისინი 28 აგვისტოს დილაზე უშედეგოდ ეძებდნენ ახალგაზრდებს.

სამანქანო გზაზე, რომელიც მარმარილოს მომპოვებელი კარიერისკენ, მთებში, სოფლიდან 20—25 კმ—მდე გრძელდება, ლაფანყურელებმა ნაკვალევი ნახეს, რომლებსაც გაყვნენ. „ამათ კვალს რომ მივყვებოდით, ამათ ნადგომს გადავაწყდით, სადაც იყო „სნიკერსის“ ქაღალდები, „ბარამბოს“ კანფეტის ნაფცქენები, სიგარეტი არ გვინახავს, კიდევ იყო „სანტავიკები“, — „ნეტგაზეთთან“ საუბრისას იხსენებს თამაზ თანდილაშვილი. მომხდარს ასევე იხსენებს ერთ—ერთი დაკარგულის, ბესიკ მიჯახკაშვილ—ელიზბარაშვილის მამა, ვასილ ელიზბარაშვილი. მისი თქმით, სოფლის მცხოვრებლებმა მიხვეულ—მოხვეულ გზებზე, მთაში დაინახეს 3 შეიარაღებული, სამხედროს ფორმიანი მამაკაცი. „ვივარაუდეთ, რომ ჩვენი ბიჭები მათ ჰყავდათ აყვანილი. ჩვენ შიშველი ხელებით რას ვიზამდით? ბიჭები გამოვუშვით ქვემოთ, სადაც არის მესაზღვრეთა ყაზარმა და მათ ვუთხარით, რაც დავინახეთ. მესაზღვრეები ერთი ავტომობილით ავიდნენ და ჩვენ ჩამოგვიშვეს ქვემოთ. ნახევარ საათში თავიანთ პოსტზე გადმოსცეს, რომ ბიჭები ვიპოვეთ. კიდევ ნახევარ საათში ეს მესაზღვრეები ჩამობრუნდნენ, მანქანაში ჩვენი ბიჭებიც იხსდნენ. დალაპარაკების საშუალება არ მოგვცეს, ისე წაიყვანეს. არ ვიცით, როგორ დაიხსნეს, ან ესენი მართლა მაგათ ჰყავდათ თუ არა, სროლის ხმა, არაფერი არ გაგვიგია, არავინ დაშავებული არ იყო“, — უთხრა „ნეტგაზეთს“ ბესიკ მიჯახკაშვილის ბიძამ იოსებ ელიზბარაშვილმა.

ლაფანყურის მცხოვრებნი, ასევე, იხსენებენ, რომ სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობაში ბიჭების გათავისუფლებიდან რამდენიმე საათში, 28 აგვისტოს გვიან ღამით დაიწყო, რის შემდეგაც ხეობისკენ პოლიციის სხვადასხვა სახის ათეულობით ავტომობილი, ასევე, სასწრაფო დახმარების მანქანები დაიძრნენ. ადგილობრივებმა შეამჩნიეს ვერტმფრენებიც. სპეცოპერაციის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ, დღეს, 30 აგვისტოს, თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მოსახლეობას შეხვდა. „მე—17, მე—18, მე—19 საუკუნის ლეკიანობას კახეთში ვერავინ გაიმეორებს... რა დროს ლეკიანობა და არეულობაა. სრულიად გამორიცხულია ამის დაბრუნება,“ – განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტის თქმით, სპეცოპერაცია, რომელიც მძევლად აყვანილი 5 ლაფანყურელი ახალგაზრდის გათავისუფლების მოტივით დაიწყო ლოპოტას ხეობაში 28 აგვისტოს და დღემდე არ დასრულებულა, ძალიან რთული იყო. ადგილობრივები ამბობენ, რომ მსგავსი ინციდენტი ამ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველო—რუსეთის საზღვართან, არ ახსოვთ. 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც კი, როცა რუსეთი საქართველოს თითქმის ყველა მხრიდან უტევდა, საზღვრის აღნიშნულ მონაკვეთზე სიმშვიდე იყო და არავინ მოძრაობდა, ადგილობრივთა სიმშვიდეს მხოლოდ რუსული ბომბდამშენები არღვევდნენ, რომლებიც მაღლა ცაში დაფრინავდნენ.

„შევარდნაძის დროს გადმოდიოდნენ ხოლმე, მორებს ამუშავებდნენ, ვაჭმევდით, დასალევს ვაძლევდით, საქონელი გადმოჰყავდათ გასაყიდად. სროლა, გატაცება და მსგავსი რამ არ ყოფილა. არასდროს არავინ შეხვედრია შეიარაღებულ უცხო პირებს აქამდე ტყეში. ჩვენი ბიჭები სანადიროთაც კი გადადიან დაღესტანში და ისინიც გადმოდიან აქეთ, მაგრამ პრობლემები არასდროს ყოფილა“, – უთხრა „ნეტგაზეთს“ ლაფანყურის მცხოვრებმა თემურ აფციაურმა.

„აი, ამ მთების იქით იალაღებია, ღამე იქ ვრჩებოდი, იქ ვმუშაობდი, შვილებიც იქ მყავდა, საზღვრის ძირში. ქალებს მარტოც ვტოვებდით და იქ არავინ მოსულა, არც ძალადობა ყოფილა და არც ძარცვა. საზღვრის ძირში, ალპურ ზონაში ახლაც არიან მეცხვარეები, მესაზღვრეებიც მანდ არიან. 1–2 კაცი შეიძლება ყოველთვის გადაიპაროს საზღვარზე, ამის შემთხვევები ყოფილა, მაგრამ ასე 20–30 კაციანი ჯგუფი ვერ გადაიპარება. ახლა კი არა, ამ საზღვარზე აგვისტოს ომის დროს არაფერი მომხდარა“, – განგვიცხადა იოსებ მიჯახაშვილმა. ის ვერ იხსენებს ბოლო წლებში გამოსასყიდის მოთხოვნით, ან რაიმე სხვა მიზნით სოფლის მიმდებარე ტერიტორიიდან ვინმეს გატაცების ფაქტს. „ლეკიანობა, მგონი, ბოლოს 1920–ან წლებში იყო, ესეც მშობლებისგან მახსოვს, ისინი იხსენებდნენ ხოლმე, მე მსგავსი რამე არ გამიგია“, – ამბობს იოსებ მიჯახაშვილი.

ლაფანყურელებს არა აქვთ ვერსია, თუ რატომ დაიძაბა სიტუაცია მათი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე სასაზღვრო ზონაში, თუმცა, იხსენებენ ბოლო ორი თვის მანძილზე სოფლის გზაზე გამოჩენილ უცხო ადამიანებს, რომლებმაც მათი ყურადღება არაერთხელ მიიპყრეს. „ეგენი მე ცხრაჯერ მყავს ნანახი, შოკოლადისფერი დახურული პიკაპით, წვერებიანი კაცები, ყოველ კვირა, არ არსებობდა, რომ არ ამოსულიყვნენ. სახლიდან მაქვს ნანახი, სახლის წინ ჩაივლიდნენ, ქართული ნომრები ჰქონდათ, თავი გადაპარსული ჰქონდათ. ბოლო 1–2 თვეა, ეს რომ შევამჩნიე. კვირა არ გავიდოდა, არ მენახა ავლილ—ჩავლილები. თავი გადაპარსული ჰქონდათ, ზოგი შავკვრემანი იყო, ზოგი კი – „რიჟა“, ისე შემოგხედავდნენ ხოლმე, რომ..“ –

ამბობს “ნეტგაზეთთან” ლაფანყურის ერთ–ერთი მცხოვრები. მისი ნათქვამი სოფელში კიდევ რამდენიმე ადამიანმა დაადასტურა. მათ არ იციან, ვინ იყვნენ აღნიშნული ადამიანები და ასეთი სიხშირით და ასე თავისუფლად რატომ და როგორ მოძრაობდნენ ნაფარეულიდან ლოპოტას ხეობის მიმართულებით.

„ყავისფერი პიკაპი არის ან შსს–ს, ან თავდაცვის სამინისტროს, ან ვინმე კერძო პირის საკუთრება, არ ვიცი. თუმცა, თავგადაბარსული და გრძელწევრიანი ადამიანები დადიოდნენ საქართველოში, თქვენგან მესმის პირველად. იმ ადამიანს თუ მეტყვით, ვინც ეს თქვა, მასაც შევეკითხებით. ის, რომ ამ რეგიონში დიდი ხანია აღარ დათარეშობენ ისეთი ადამიანები, როგორთანაც ახლა მოგვიწია შეხება, ეს ფაქტია. ვინმემ თუ რამე დაინახა და ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია ჰქონდა, უნდა ეთქვა“, – აცხადებს შს მინისტრის მოადგილე შოთა ხიზანიშვილი „ნეტგაზეთთან“ საუბარში. სასაზღვრო სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ გაუჩინარებული ბიჭები სოფლიდან ტყეში 3–4 კილომეტრზე მეტ სიღრმეში გასულები არ იქნებოდნენ. შესაბამისად, უკვირთ, როგორ გამოიარა დაახლოებით 20–კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა საქართველო–რუსეთის საზღვრიდან საქართველოს სიღრმეში 20–25 კილომეტრი და როგორ გადაეყარნენ გზად სოფლიდან ახლოს მყოფ ახალგაზრდებს. ისინი, ასევე, გამორიცხავენ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ახალგაზრდების სპეციალურად გატაცებას. ლაფანყურელები ამბობენ, რომ თუ შეიარაღებულ ადამიანებს ვინმეს გატაცება ჰქონდათ მიზნად, მათ შეეძლოთ საზღვრიდან 4–5 კილომეტრში მდებარე მარმარილოს ქვის კარიერიდან გაეტაცებინათ მუშები და ასე ღრმად არ შემოსულიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე. სპეცოპერაციას, რომელიც ლაფანყურელი ახალგაზრდების გათავისუფლების მოტივით განახორციელეს საქართველოს ძალოვანმა უწყებებმა, 14 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

14. კონფიდენციალური წყაროს (№1) მიერ მოწოდებული ინფორმაცია¹⁴⁴

ლოპოტას ხეობაში, ლაფანყურის სპეცოპერაციაში მონაწილე მებრძოლებთან და მათ მეთაურებთან დაახლოებული კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით: საქართველოს შსს–ს მაღალი თანამდებობის პირების მითითებით/თხოვნით, 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან. წყაროს ინფორმაციით, საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ჰპირდებოდნენ ე.წ. „კორიდორს“ ჩეჩნეთში გადასასვლელად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვას და ჩეჩნეთში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას. მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩეჩნების ჩამოსვლა. მათთვის თბილისის ზოგიერთ უბანში (ძირითადად საბურთალოს რაიონში) დაიქირავეს ბინები. საქართველოს შსს–ს მაღალჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩეჩნეთში ყოველთვიურად დაახლოებით 50–მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო. საქართველოს სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩეჩნეთში საომრად გადასვლის იმედით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში დაახლოებით 120 (ას ოცი) ჩეჩენი და სხვა ჩრდილო კავკასიული წარმოშობის მებრძოლი ჩამოვიდა. ჩამოსულ ჩეჩნებს აეროპორტში ხვდებოდნენ

144 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში, გვ. 408–411

და დისლოკაციის ან საცხოვრებელ ადგილებზე გადაჰყავდათ შსს-ს მაღალჩინოსნებს. ჩამოსულ ჩეჩნებს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები ჩუქნიდნენ და უფორმებდნენ იარაღს, ასევე აძლევდნენ მართვის მოწმობებს და სხვა საჭირო დოკუმენტებსა და ნივთებს.

წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრები წვრთნას გადიოდნენ თბილისის მახლობლად მდებარე ვაზიანისა და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე. ჩეჩენი მებრძოლები დაყვეს ჯგუფებად. ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფების ინსტრუქტორები იყვნენ საქართველოს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები და ასევე სხვადასხვა ომებში დიდი გამოცდილების მქონე ჩეჩენი მეომრები.

კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და მათთვის საჭირო ყველა საკითხს (ჩამოყვანა, დახვედრა, თანხები, საკვები, ტრანსპორტი და სხვა აუცილებელი ნივთები და საგნები) აწესრიგებდნენ შსს-ს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე და შსს-ს მაღალჩინოსნები სანდრო ამირიძე და ზურაბ მაისურაძე. 2012 წლის მარტიდან ჩეჩენი მებრძოლების წვრთნა დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა, რამაც ჯგუფის წევრებში თავიდანვე უარყოფითი შეფასებები გამოიწვია. ჩეჩენი ყოფილი სავიწრო მეთაურების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჩეჩულებრივ, სტანდარტულ შემთხვევაში მებრძოლთა ჯგუფის გაწვრთნას ორი ან სამი კვირა სჭირდება. ჩეჩენი მებრძოლები ითხოვდნენ ჩეჩენეთში გადასასვლელად შეპირებულ ე.წ. „კორიდორის“ მიცემას მათთან კონტაქტში მყოფი შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებისგან. შსს-ს თანამშრომლები ჩეჩენ მებრძოლებს აძლევდნენ სხვადასხვა დაპირებებს და ასახელებდნენ ჯგუფის გადასვლის სხვადასხვა თარიღს. ჩეჩენი მებრძოლების ნაწილი თანდათან კარგავდა ნდობას საქართველოს ხელისუფლებისა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიმართ. ახლოვდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, საქართველოში შიდა პოლიტიკური ვითარება თანდათან იძაბებოდა და ჩეჩენ მებრძოლებში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, დაგეგმილზე მეტი ხნით საქართველოში მათი გაჩერების მიზეზი დაკავშირებული ყოფილიყო არჩევნებთან და საარჩევნო პროცესებში რაიმე სახით მათ გამოყენებასთან. წყაროს ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საქართველოში, მათ შორის, ლოპოტას ხეობის და სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე, არ ერიდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან უიარაღოდ გამოჩენას, თუმცა არ შედიოდნენ მათთან ახლო კომუნიკაციაში. წყაროს ცნობით, ასეთი თავდაჯერებული მოქმედებების მიზეზი იყო უსაფრთხოებისა და დახმარების ის გარანტიები, რაც ჩეჩენ მებრძოლებს მისცეს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებმა. წყაროს ცნობით, ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურში ე.წ. სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე შევიდა ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფი. ისინი ლაფანყურის ხეობაში, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოყოფილი ე.წ. „პიკაპებით“ შევიდნენ და თან შეიტანეს ჯგუფისთვის საჭირო შეიარაღება, საკვები და სხვა საჭირო ნივთები. ჩეჩენი მებრძოლები ელოდებოდნენ ნებართვას ჩეჩენეთში გადასვლის შესახებ. კონფიდენციალური წყაროს ცნობით, სავარაუდოდ, საქართველო—რუსეთის საზღვრისკენ ჯგუფის შესაძლო გადასვლის აღკვეთის მიზნით, ლაფანყურის სპეცოპერაციის დაწყებამდე 2 დღით ადრე, საქართველო—რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სასაზღვრო და სპეციალური დანიშნულების ძალების რაზმები ვერტმფრენებით გადასხეს. გამოკითხულთა ვარაუდით, ამ დესანტის მიზანი იყო ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფის ჩრდილოეთის

მიმართულებით გადასვლის აღკვეთა. ამის პარალელურად, ლაფანყურში დაბანაკებული ჩეჩენი მებრძოლების შეიარაღებული ჯგუფი ითხოვდა შეპირებული „კორიდორის“ მიცემას და საქართველო—რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმართულებით გადასვლას. ბოლო მომენტში საქართველოს შსს-მ „კორიდორის“ მიცემაზე უარი განაცხადა და ჩეჩენ მებრძოლებს მოსთხოვა იარაღის ჩაბარება და უკან პანკისში ან სამხედრო ბაზებზე დაბრუნება. შსს წარმომადგენელთა ამ მოთხოვნამ დაძაბა ურთიერთობა ჩეჩენ მებრძოლებსა და საქართველოს შსს-ს თანამშრომლებს შორის. ჩეჩენმა მებრძოლებმა ლაფანყურის ხეობაში იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს, წყაროს ინფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები უკვე აღარ ენდობოდნენ საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებს და ამის გამო მათ მოითხოვეს პანკისში დაბრუნება და მხოლოდ პანკისში დაბრუნების შემდეგ გამოაცხადებდნენ თანხმობას იარაღის დაყრაზე. დაძაბული ვითარების განმუხტვისა და ჩეჩენ მებრძოლებთან მოლაპარაკების მიზნით შსს-ს თანამშრომლებმა შუამავლებს — ჩეჩნებისთვის ავტორიტეტულ ადამიანებს მიმართეს. ჩეჩენმა მებრძოლებმა შუამავლებს იარაღის ჩაბარებაზე უარი განუცხადეს. უარის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი და საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ლაფანყურის ოპერაციისას გარდაცვლილი საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფს ლაფანყურში გადასვლის პირველივე დღიდან ახლდნენ. წყაროს ინფორმაციით, ლაფანყურში დაბანაკებული ჯგუფის ქართველი წევრების მოვალეობაში შედიოდა ჯგუფის სამედიცინო მომსახურება, მეგზურობა დაღესტნის საზღვრამდე და ინსტრუქტაჟი¹⁴⁵.

ჩეჩენ მებრძოლებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ალყაში მოქცეულ ჩეჩენ მებრძოლებს ბოლო თვეების განმავლობაში პრაქტიკულად მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ საქართველოს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებთან, მათ მიერ იყვნენ გაწვრთნილები და არ სჯეროდათ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მათ ცეცხლს გაუხსნიდნენ. ჩეჩნების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ ჯგუფების საქართველოში ჩამოსვლა, მომზადება და ჩეჩნეთში გადასვლა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთან იყო შეთანხმებული და ასეთ ღალატს არ ელოდნენ. ასევე, ამ ამბის უმსხვერპლოდ დასრულებისთვის და ჩეჩენი მებრძოლების დასარწმუნებლად, სავარაუდოდ, არ იქნა გამოყენებული ყველა საშუალება. მაგალითისთვის შესაძლებელი იყო უხუცესების ან მშობლების ჩართვა ჩეჩენ მებრძოლებთან მოლაპარაკების პროცესში. წყაროს ცნობით, სპეცოპერაციაში მონაწილეობდა ავიაცია. ავიაციამ გაუხსნა ცეცხლი ჯგუფის წევრებს. ბრძოლის შედეგად გარდაიცვალა შვიდი ჩეჩენი მებრძოლი, რომელთაგანაც სამი პანკისის ხეობის მცხოვრები იყო. წყაროს ცნობით, ამ ბრძოლიდან ცოცხლად გადარჩა 9 ჩეჩენი მებრძოლი¹⁴⁶, რომლებიც, წყაროსვე ცნობით, სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღეში საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებმა ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში გააცილეს.

145 ეს ინფორმაცია ეწინააღმდეგება არჩილ ჩოხელის და ვლადიმერ ხვედელიძის ოჯახის წევრების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, ორივე მათგანი 2012 წლის 28 აგვისტოს დილით წავიდა სამსახურში.

146 ეს ციფრი შეუსაბამოა უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრების რაოდენობის შესახებ გამოძიების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციასთან, რომლის მიხედვით დაჯგუფების წევრების რაოდენობა იყო 17.

15. კონფიდენციალური წყაროს (№2) მიერ მიწოდებული ინფორმაცია

საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული (წყარო არ სახელდება) ინფორმაციით, აზერბაიჯანში: საინგილოში, ბელაქანის, ბაქათალის, შექის და კახის რაიონებში ეთნიკურ უმცირესობას დაღესტნური წარმოშობის ტომები „წაცურები“ და „ლევგინები“ წარმოადგენენ. ბოლო 15–20 წლის განმავლობაში, მათი ახალგაზრდობის ნაწილი, ვაჰაბიტური მოძღვრების მიმდევარი გახდა და აქტიურად ჩაება ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. საინგილო ნელ–ნელა ჩრდილო კავკასიელი მებრძოლების ფორ–პოსტად გადაიქცა.

კახში, შექში, ბაქათალასა და ბელაქანში გაჩნდა იატაკქვეშა გასამხედროებული სტრუქტურული დანაყოფები. მათი ნაწილი, უშუალოდ დოკუ უმაროვს ემორჩილება, ნაწილი კი, მხოლოდ დაღესტნის ამირის დაქვემდებარებაშია და სხვა ხელმძღვანელობას არ ცნობს. დანაყოფებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, დანაწილებული აქვთ უფლება—მოვალეობები და ახორციელებენ: მებრძოლთა შეკრებას, წვრთნას, იარაღის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის მოპოვება—შესყიდვას. მკურნალობენ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულ დაჭრილ მებრძოლებს. საზღვარგარეთ გაჰყავთ ძეხნილი მოჯაჰედები. განსწავლული, რელიგიური პირების მეშვეობით, მოუწოდებენ ახალგაზრდობას აქტიურად ჩაება საღვთო ომში ურჯულოების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ საქმეს ემსახურებიან, ადგილობრივ ვაჰაბიტთა ლიდერებს შორის, მძიმე დამოკიდებულებაა. ძირითადად, ერთმანეთს ტომობრივი და კლანური განსხვავების გამო უპირისპირდებიან. ცდილობენ თავიანთი გავლენის ქვეშ მეტი რაიონი მოაქციონ, რათა მეტი პრესტიჟი და დაფინანსება მიიღონ. მოჯაჰედები, როგორც თავიანთ თავს უწოდებენ, აქტიურად თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ისე დაღესტნურ კრიმინალურ დაჯგუფებებთან. ვაჰაბიტები უკვე დიდი ხანია ცდილობენ წილი მიიღონ ე.წ. „ასატრინის“ მაფიიდან. დერბენდში მყოფი მაფიის ხალმძღვანელთაგან 80%, ბაქათალის და ბელაქანის მცხოვრებია, მაგრამ კრიმინალები არ ემორჩილებიან ვაჰაბიტებს, არ ერევიან ჯიჰადში და მხოლოდ ზოგჯერ უწევენ ფინანსურ ან სხვა დახმარებას. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ხშირად სისხლიანი ანგარიშსწორებით მთავრდრება.

აზერბაიჯანელთა ძალოვანები, სრულად ვერ ან არ აკონტროლებენ საინგილოში მიმდინარე პროცესებს. შესაძლოა, ერიდებიან აზერბაიჯანში ახალი ეთნიკური დაპირისპირების კერის გაჩენას ან როგორც ქართველი ძალოვანები თანამშრომლობენ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებთან, რადგან ისევე, როგორც საქართველოში, ასევე, საინგილოში, ვაჰაბიტთა ლიდერები და მათი მცველები, ღიად გადაადგილდებიან შეიარაღებულები. აზერბაიჯანელ სპეცსამსახურებს მჭიდრო კავშირი აქვთ ვაჰაბიტთა სასულიერო ლიდერებთან და შეუძლებელია არ იცოდნენ, რას ქადაგებენ ისინი ყოველ პარასკევს მთელი საინგილოს მასშტაბით. ფაქტია, რომ სურვილის შემთხვევაში, აზერბაიჯანელ მესამღვრეებს შეუძლიათ ისე ჩაკეტონ „ილისუს“ ხეობა, რომ იქიდან ვერავინ შევა ან გამოვა, მაგრამ ამას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აკეთებენ. აზერბაიჯანელი სპეცსამსახურები, ისევე როგორც ქართული სპეცსამსახურები არ არიან აბსოლუტურად დამოუკიდებელი სტრუქტურები, რომ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ქვეყნების უსაფრთხოებისთვის რა არის საჭირო. ამას ხშირ შემთხვევაში შეფარული მუქარის სახით, აწვდიან ხან დასავლეთიდან, ხან ჩრდილოეთიდან. აზერბაიჯანელი სპეცსამსახურები

ასევე აქტიურად თანამშრომლობენ ფინანსური დაინტერესების გამო საინგილოში არსებულ ვაჭაბიტურ გასამხედროებულ დანაყოფებთან.

ერთ—ერთი ასეთი დანაყოფის მეთაურის ინფორმაციით: 2012 წლის ზამთრის მიწურულს, დანაყოფების მეთაურებმა მიიღეს ბრძანება, რომ მოემზადებინათ რამდენიმე საიდუმლო ბინა, სადაც ძალიან სერიოზული პერსონის მისაღებად და საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, დაეცვათ მისი უსაფრთხოება. ინფორმაცია შეენახათ სრულიად საიდუმლოდ და ყველა საჭირო მოქმედება, უშუალოდ ჯგუფის ლიდერებს შეესრულებინათ. მოემზადებინათ რუსეთში გასასვლელი ახალი მარშრუტი, შეერჩიათ გამოცდილი მეგზურები, რომლებიც ამ პიროვნებას დაღესტანში გადაიყვანდნენ. ვაჭაბიტა ლიდერებმა ყველა ბრძანება შეასრულეს, მაგრამ უცნობი პირი მათთან არ მისულა.

იმავე წყაროს ინფორმაციით, 2012 წლის გაზაფხულზე, ბაქათალაში გამოჩნდა უცნობი პირი, 5 პირადი მცველის თანხლებით. წყარო პირადად არ იცნობს და არ შეხვედრია უცნობს. მან გადმოცემით იცის, რომ უცნობი 45—50 წლის, საშუალოზე მაღალი, ძლიერი ფიზიკური აგებულების, ჟღალთმიანი მამაკაცია. მარცხენა ხელზე 2 თითი აკლია. უაქცენტოდ საუბრობს რუსულად, იცის ინგლისური და არაბული ენები. ყურანიდან ამოკითხულ სურებს, არაბულიდან აზერბაიჯანულად უთარგმნიდა აზერბაიჯანელ მოჯაჰედებს. წყაროსთვის მისი ზუსტი ეთნიკური წარმომავლობა უცნობია. მისი თქმით, ზოგი მებრძოლის მტკიცებით, უცნობი ყაზახეთში დაბადებული და გაზრდილი ჩეჩენია. ზოგის ნაამბობით, საქართველოში დაბადებული ქისტი, რომელიც რუსმა დედამ მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში წაიყვანა და იქ გაზარდა. იბრძოდა რუსეთ—ჩეჩენეთის პირველ ომში, შემდეგ დუდაევების კლანთან დაპირისპირების გამო, საცხოვრებლად სირიაში გადავიდა. იბრძოდა ერაყსა და ავღანეთში, სადაც პირადი გამგეობისა და ჭკუის გამო დიდი ავტორიტეტი შეიძინა. წყაროს ინფორმაციით, ის მებრძოლები, ვისაც კი უცნობთან შეხვედრა ჰქონია, მონუსხულები იყვნენ მისი პიროვნებით. წყარომ არ იცის საიდან ან რა გზით მოხვდა უცნობი აზერბაიჯანში და კერძოდ, საინგილოში.

უცნობმა უარი თქვა ადგილობრივ მეგზურებზე და გამცილებლები ჩრდილო კავკასიიდან მოითხოვა. მანამ სანამ დაღესტნიდან გადმოვიდოდნენ გამცილებლები, სპეცსამსახურები უჩვეულოდ გააქტიურდნენ: ბაქათალაში, ბელაქანსა და კახში სხვადასხვა მიზეზით, დაიწყეს ვაჭაბიტა ბინების ჩხრეკა, უთვალთვალებდნენ ვაჭაბიტების სასულიერო ლიდერებს, პატრულირებდნენ ქალაქების გასასვლელურებში. აშკარა გახდა, რომ ვიღაცას ან რაღაცას ეძებდნენ.

ჩრდილოკავკასიელი გამცილებლების ჩამოსვლის შემდეგ, უცნობმა კიდევ ერთხელ თქვა უარი ადგილობრივი მოჯაჰედების მხრიდან დახმარების მიღებაზე და მეგზურად და მცველებად ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფების წევრები დაიქირავა. უცნობის მიერ დაკომპლექტებული ჯგუფი გავიდა დაღესტნისკენ მიმავალ ბილიკზე და დაბანაკდა, მაგრამ ღამით, უცნობი 2 პირად მცველთან ერთად გაეპარა ჯგუფს და დაბრუნდა ბაქათალაში. ამის შემდეგ ის არავის უნახავს. უცნობი აზერბაიჯანიდან გაუჩინარდა.

წყაროს თქმით, ასეთი საქციელი წესიერ ვაჭაყაც არ შეეფერება. უცნობმა საინგილოში მცხოვრებ ყველა მოჯაჰედს შეურაცხყოფა მიაყენა თავისი უნდობლობით. მისი ინფორმაციით,

დღესდღეობით, უცნობი პირი რუსეთში იმყოფება. როგორ და საიდან მოხვდა ის რუსეთში, წყაროს საკუთარი ინფორმაცია არ გააჩნია. იცის მხოლოდ უცნობის მიერ მოჯაპდეთა უმაღლეს წრეში მოყოლილი ამბავი, რომელსაც ვერ უარყოფს და ვერ დაადასტურებს.

წყაროს ინფორმაციით, უცნობი ყვება, რომ ის თავის 2 პირად მცველთან ერთად გადავიდა საქართველოში, შევიდა ლოპოტას ხეობაში და ადგილობრივი მეგზურის დახმარებით, შეისწავლა რუსეთში გასასვლელი მარშრუტი. დაბანაკდა ხეობაში და ელოდებოდა მცველების ჩამოსვლას. უცნობის თქმით, ჯგუფის ჩამოსვლის შემდეგ, ის რამდენიმე დღე უთვალთვალებდა მათ და ცუდი წინათგონობა არ აძლევდა მათთან მისვლის საშუალებას. საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ჯგუფთან არ მისულიყო და თავის ბიჭებთან ერთად მარტო გადასულიყო რუსეთში. ასეც მოიქცა. მისი თქმით, როცა რუსეთში გადასასვლელ ბილიკზე ადიოდა, უკნიდან ბრძოლის ხმა ესმოდა. რამდენიმეჯერ დააპირა უკან დაბრუნება და ბიჭების დახმარება, მაგრამ სისუსტეს სძლია და გზა განაგრძო, რადგან ჯიჰადს ის ცოცხალი სჭირდებოდა—მისი შაჰადის დრო ჯერ არ დამდგარა.

წყაროს ინფორმაციით, უცნობი ძალიან დარდობს ერთ—ერთ თავის პირად მცველზე, რომელიც საქართველოში დარჩა. ის საქართველო—რუსეთის გასასვლელ ბილიკზე იყო ჩასაფრებული და უცნობის ზურგს იცავდა. არც ჯგუფის დაღუპულ წევრთა და არც გადარჩენილთა შორის ის არ ჩანს. ის უბრალოდ დაიკარგა. უცნობის თქმით, მისი მცველი ქართველ ძალოვნებს არ ჩაბარდებოდა ცოცხლად და მისი აზრით, ის დაიჭრა და სადმე შეაფარა თავი, სადაც გარდაიცვალა კიდევ. უცნობი თხოვდა დიკუს შტაბს, გამოეყენებინა თავისი კავშირები საქართველოში და ეპოვა მისი მცველის ნეშტის ნაწილი მაინც და მისთვის მიეტანათ, რაშიც ნებისმიერ თანხას გადაიხდიდა. წყარო მრავალი ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებს, რომ უცნობის დაკარგული მცველი, უცნობის დისშვილია სახელად: „მუსა“.

2012 წლის დეკემბერში, რუსეთის სპეცსამსახურებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ლოპოტას ხეობაში დაღუპული მეზობლებიდან ერთ—ერთი, 2012 წლის გაზაფხულზე იმყოფებოდა აზერბაიჯანში, კერძოდ ზაქათალაში და მოითხოვდნენ აზერბაიჯანელი ძალოვანებისგან ახსნა—განმარტებას, თუ საიდან და რატომ იმყოფებოდა აღნიშნული პირი ზაქათალაში და ვისთან ჰქონდა შეხვედრები. იგივეს ადასტურებს ზემოაღნიშნული წყარო. მისი გადმოცემით, არა ერთი, არამედ 2 პირი შეხვდა უცნობს და 2—ვე დაიღუპა ლოპოტაში.

2013 წლის ნოემბერში, ზაქათალას გარეუბანში, თავს დაესხნენ დაჯგუფების წევრებს, ურთიერთშეტაკებისას დაიღუპა კრიმინალური დაჯგუფების 4 წევრი. თავდამსხმელთაგან დაიჭრა ერთი ვაჰაბიტი, რომელიც აზერბაიჯანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს. დაღუპული კრიმინალებიდან 2 პირი, 2012 წლის გაზაფხულზე, ზემოხსენებული უცნობი პირის გადაყვანაში მონაწილეობდა. ზუსტად ამ პირებს გაეპარა უცნობი და გაუჩინარდა.

16. „პრაიმერინფო“ მიერ გამოქვეყნებული წერილი¹⁴⁷

„პრაიმერინფო“ ექსკლუზიურად გთავაზობთ წერილს, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გადარჩენილმა ერთ-ერთმა მებრძოლმა (იგი ამჟამად უცხოეთში იმყოფება) ქართველ ჟურნალისტს გამოუგზავნა. წერილი რუსულ ენაზეა. გთავაზობთ მის ქართულ თარგმანს.

„მინდა მოგიყვებ, თუ როგორ დაგვიგეს მახე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძემ და ანტიტერორისტული ცენტრის უფროსმა სანდრო ამირიძემ. ჩვენთან, ავსტრიაში, დარეკა მუსლიმმა, რომლის მეტსახელია „გუსლიკ“ და გვითხრა, რომ ჩეჩნეთის ჯიხადში მონაწილე პირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დერეფანს აძლევდა... ამ სასიამოვნო ამბის გაგების შემდეგ საქართველოში წამოსვლა გადავწყვიტეთ. მარტის დასაწყისში საქართველოში პირველი ხუთი კაცი ჩამოვედით. აეროპორტში სამხედროები დაგვხვდნენ და კონსპირაციულ ბინაში წაგვიყვანეს... ამის შემდეგ მთელი ევროპიდან დაიწყეს ჩეჩნებმა შემოსვლა საქართველოში. თავდაცვის სამინისტროს სამხედროები ნიღბებით გვატარებდნენ თავდაცვის სამინისტროს ობიექტებზე ექსკურსიაზე, ჩვენზე ხმები რომ არ გავრცელებულიყო. ყოველდღე გვხვდებოდა თავდაცვის მინისტრი, ბაჩო ახალაია. 60 კაცი ვიყავით მოხალისეები. მათ თვეების განმავლობაში დაგვაბინავეს კონსპირაციულ ბინებში. გვპირდებოდნენ, რომ მალე დერეფანს გაგვიხსნიდნენ და გადაგვიშვებდნენ. მებრძოლები ნელ-ნელა კარგავდნენ მოთმინებას... ქართული სპეცსამსახურების ჩეჩენი შუამავლები გვარწმუნებდნენ, — ჩვენ ამაზე არაერთი დღეა ვმუშაობთ და თქვენ გინდათ, რომ ყველაფერი უცებ მოხდესო? მოიკრიბეთ მოთმინება, მალე წახვალთო. ასე გაგვიხელეს დრო 28 აგვისტომდე.

რაღაც პერიოდის შემდეგ შემოგვიერთდნენ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც კონსპირაციულ ბინაში შემოგვისახლეს. მათ გვიამბეს იმ ჩეჩენთა ისტორიები, რომლებიც ქართულ სპეცსამსახურებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე მუშაობდნენ და თავისუფლად დადიოდნენ ქალაქში. თუ მათი სახელები გაინტერესებთ, ესენი იყვნენ: მუსლიმი, მეტსახელად „გუსლიკ“; ანდი; ბესლანი, მეტსახელად „ჩინგიზ“; ალი, მეტსახელად „ზონ“ და ვინმე ანდი. როგორც გავიგე, მათი მეთაური იყო ალი. ჩანს, თავად ჩეჩნები და ქისტები არ იცნობდნენ მათ და ბრალს სდებდნენ ქართული სპეცსამსახურების აგენტობაში. ჩვენს გადასვლას ჩეჩნეთში უზრუნველყოფდა თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი სანდრო ამირიძე. მე გიგზავნით სანდროსთან გადაღებულ სურათებს სახლის ახლოს, ღამით. 27 აგვისტოს გვითხრეს, რომ თბილისიდან უკვე დერეფანი არის. წაგვიყვანეს რომელიღაც ლოპოტას ხეობაში, იქ შემოგვიერთეს ადგილობრივი ქისტები. ამ ფოტოზე ბოლო ლოცვას ვასრულებთ, რომ ალაპი დაგვეხმაროს ჩვენი მისიის შესრულებაში. ქართველი მინისტრი და მინისტრის მოადგილე ცდილობდნენ, ასი კაცი გავეგზავნეთ. უარი ვთქვით ამ რაოდენობით გამგზავრებაზე, რადგან ჩეჩნეთში ამდენის გადასვლა დიდი რისკი იყო. მათ არ მოვუსმინეთ და გადავწყვიტეთ, 20 კაცი წავსულიყავით. 28 აგვისტოს ლოპოტას ხეობაში ქართველმა სამხედროებმა ალყა შემოგვარტყეს და გვიბრძანეს იარაღის დაყრა. მათ ვუპასუხეთ, —

147 იხ. „რა მისწერა ლაფანყურში გადარჩენილმა ბოევებმა ქართველ ჟურნალისტს, “პრაიმერინფო“, 29.08.2013, <http://primerinfo.ge/?p=7522> [ბოლოს ნანახია 10.11.2014].

რატომ ჩამოგვიყვანეთ და რატომ შეგვავიარაღეთ, თუკი უნდა დავყაროთო? ქართველმა სამხედროებმა ცეცხლი გაგვიხსნეს, ჩვენც საპასუხო სროლა დავიწყეთ. ორივე მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა. დავიქსაქსეთ სხვადასხვა მხარეს. არ ვიცი, რამდენი მოკლეს ჩვენი მხრიდან. დავგეჭრა 6 ადამიანი. ამ ინციდენტის შემდეგ გზად დავმარხეთ ორი, დავიკარგეთ ტყეში, მაგრამ ადგილობრივი ქისტების დახმარებით რამდენიმემ გამოვადწიეთ და გადავრჩით. არასოდეს არ ვაპატიებთ იმ ორგანიზატორებს და შუამავლებს, რომლებმაც გამოგვიყენეს და მახე დაგვიგეს მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ. ადგილობრივი ქისტების ჯამაათიც კი არ დაგვეხმარა. ისინი ჯამაათი კი არა, ქართული სპეცსამსახურების აგენტები არიან.“

